ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1968 წ.

10.783

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების შესახებ.
2. სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გაუმჯობესების შესახებ.
3. კაპიტალური მშენებლობის კადრებით უზრუნველყოფის ზომების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

4. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს პირუტყვის დამზადების რაიონული და სარაიონთაშორისო კანტორების კოლექტივთა სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

5. სანადირო გლუვლულიანი თოფების და მათთვის საჭირო საბრძოლო მასალის შეძენის, შენახვისა და გამოყენების წესია შესახებ.
6. იმის შესახებ, რომ უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გადასცეს მსუბუქი ავტომობილები საერთო სარგებლობის ავტომეურნეობებიდან რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

7. თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა თეატრებისათვის დაწერილ მრავალაქტიანი პიესებისათვის საავტორო გასამრჯელოს ანაზღაურების შესახებ.
8. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების შემდგომი განვითარების შესახებ.
9. ქ. სოხუმში თვითნებური ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ.
10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ნოემბრის № 1088 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
11. სახელმწიფო ვაჭრობის სავაჭრო ორგანიზაციასთან (მაღაზიასთან) არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.
12. საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ი. მ. სამეურნეო სასმელი წყლის ღირებულების ანაზღაურების შესახებ, რომელიც დახარჯულია ლიმიტის გადამეტებით.
13. ქალაქებში, სხვა დასახლებულ პუნქტებში და საავტომობილო გზებზე მოძრაობის უსაფრთხობის გაძლიერების შესახებ.
14. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიური საბჭოს შექმნის შესახებ.
15. საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ.
16. თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის სამმართველოსა და მის საწარმოებში სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების გამოყენების თავისებურებათა შესახებ.
17. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნაკრძალების მოვლა-დაცვის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
19. უსინათლო ინვალიდებისათვის ტრანსპორტით სარგებლობის დამატებით შეღავათების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

20. განკარგულება № 14-გ.

მუხ. 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

დადგენილებები

1 საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების შესახებ

შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიების მოქმედი დებულების დამატებით და ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკურ პრემიებს გამოეცვალოს სახელი და ეწოდოს საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები.

2. გადიდდეს საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების რიცხვი ოთხიდან ექვსამდე — თითო პრემია ქართული საბჭოთა ლიტერატურის, სახვითი, მუსიკალური, თეატრალური ხელოვნების, კინოხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში.

3. შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიების კომიტეტს გამოეცვალოს სახელი და ეწოდოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი.

4. დამტკიცდეს:

ა) კომიტეტის შემადგენლობა არ არის მოყვანილი.

ბ) თანდართული დებულებანი საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების შესახებ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 29 იანვარი. № 61.

სსრ ხალ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 29 იანვრის № 61
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების შესახებ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში

1. საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები მიენიჭებათ ქართული საბჭოთა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის შესანიშნავი ნაწარმოებებისათვის.

შენიშვნა: ა) საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია შეიძლება მიენიჭოს განმეორებით, თუ შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატს აქვს ახალი დიდი მიღწევები;

ბ) შრომები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ლენინური პრემიები ან სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები, საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიებზე არ იქნებიან წარდგენილი.

2. საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიებზე შრომებს წარადგენენ რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიები, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, კინემატოგრაფისტთა და არქიტექტორთა რესპუბლიკური საბჭოების გამგეობები, თეატრალური და მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოებანი, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, უმაღლესი სასწავლებლები, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციები, გამომცემლობები, რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების სარედაქციო კოლეგიები, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოლექტივების კრებები, შრომების წარდგენა ხდება მათი მნიშვნელობის შეფასებისადმი მაღალი მომთხოვნელობისა და ცალკეული პირებისა და ავტორთა კოლექტივების კანდიდატურების არგუმენტირებული განხილვის ვითარებაში.

3. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილი შრომების წინასწარი ფართო განხილვა საზოგადოებრიობის მიერ, დაწესდეს, რომ პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილი იქნებიან ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის ნაწარმოებნი, რომლებიც გამოქვეყნებულია (დაბეჭდილია, საჯაროდ შესრულებულია, აგებულია) კანდიდატურების წარდგენის დაწესებულ ვადამდე არა უგვიანეს ნახევარი წლისა.

4. საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილ შრომებს მიიღებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიების კომიტეტი ორი წლის მანძილზე იმ წლის 15 დეკემბრამდე, რომელიც წინ უძღოდა საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მინიჭებას.

იმ შრომების ნუსხა, რომლებიც შერჩეულია შემდგომ განსახილველად შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სექციების მიერ მათი შესწავლის შედეგად ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის ცალკეულ დარგებში, გამოქვეყნდება ამ ნაშრომთა ავტორების აღნიშვნით რესპუბლიკურ, საოლქო და საქალაქო გაზეთებში პრემიების მინიჭებამდე არა უგვიანეს ორი თვისა.

ერთი და იგივე ნაშრომის იმავდროულად წარდგენა საკავშირო პრემიებსა და საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიაზე არ დაიშვება.

5. საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილი ლიტერატურული და მუსიკალური ნაწარმოებნი წარედგინება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო კომიტეტს ოთხ ცალად, რომლებიც დაბეჭდილი უნდა იყოს სტამბური წესით.

სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი (გარდა მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოებებისა) წარედგინება ორიგინალად იმ ნაწარმოებთა გამოფენაზე ექსპოზიციისათვის, რომლებიც წარდგენილია პრემიების მოსაპოვებლად. მონუმენტური ხელოვნებისა და არქიტექტურის იმ ნაწარმოებთა აღწერილობანი, რომლებიც წარდგენილია საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად, წარედგინება შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს ოთხ ცალად, რომლებიც დაბეჭდილი უნდა იყოს მანქანაზე.

6. შრომები, რომლებიც წარედგინება კომიტეტს, ფართოდ და ყოველმხრივ უნდა იქნას განხილული პრესაში, სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური და სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოების თათბირებსა და სხდომებზე, მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, არქიტექტორთა და კინემატოგრაფისტთა კავშირებში, თეატრალურ და მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებებში, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოლექტივების კრებებზე.

განხილვის მოწყობა ეკისრებათ შემოქმედებითი კავშირებისა და საზოგადოებათა გამგეობებს, გაზეთებისა და ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებს, საწარმოთა, დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს. ამ განხილვის მთელი მასალები დროზე უნდა წარედგინოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს იმ მიზნით, რომ შესწავლილ იქნას ისინი პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილი შრომების განხილვის დროს.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი განიხილავს სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილ შრომებს და მიიღებს გადაწყვეტილებებს ყველაზე უკეთეს ნაშრომთა ავტორებისათვის პრემიების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები მიენიჭება ორ წელიწადში ერთხელ 6 პრემიის რაოდენობით — თითო პრემია ლიტერატურის, სახვითი, მუსიკალური, თეატრალური ხელოვნების, კინემატოგრაფიისა და არქიტექტურის დარგში — 2,5 ათასი მანეთის რაოდენობით თვითეული.

ავტორთა კოლექტივებისათვის პრემიების მინიჭების დროს კომიტეტი ხელმძღვანელობს შემდეგით: თუ ორი ავტორია — პრემია მათ შორის გაიყოფა თანაბრად; თუ სამი ავტორია — ხელმძღვანელს მიეცემა პრემიის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი გაიყოფა თანაბრად დანარჩენ ორს შორის; თუ ოთხი და მეტი ავტორია — ხელმძღვანელს მიეცემა პრემიის ერთი მესამედი, ხოლო ორი მესამედი თანაბრად გაიყოფა კოლექტივის დანარჩენ წევრებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ ავტორთა კოლექტივი არ ასახელებს ხელმძღვანელს, — პრემია გაიყოფა თანაბრად კოლექტივის ყველა წევრს შორის.

9. კომიტეტის გადაწყვეტილება საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ ძალაში შედის მას შემდეგ, რაც ამ გადაწყვეტილებას დაამტკიცებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

10. დადგენილებანი საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ გამოქვეყნდება რესპუბლიკურ, საოლქო და საქალაქო პრესაში 25 თებერვლისათვის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლისთავისათვის.

იმ პირებს, რომლებსაც საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ, მიეკუთვნებათ „საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის“ წოდება, გადაეცემათ დიპლომი და საპატიო ნიშანი.

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 29 იანვრის № 61
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს შექმნიან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს ეკისრება საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მინიჭება ქართული საბჭოთა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის შესანიშნავი ნაწარმოებებისათვის.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის შემადგენლობას დაამტკიცებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო 4 წლის ვადით.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სხდომები უფლებამოსილად ჩაითვლება, თუ მათ ესწრება კომიტეტის წევრთა არანაკლებ ორი მესამედისა.

კომიტეტის გადაწყვეტილებანი პრემიების მინიჭების შესახებ მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ ამას ფარული კენჭისყრის დროს ხმა მისცა დამსწრეთა რიცხვის სამმა მეოთხედმა.

კომიტეტის გადაწყვეტილებანი საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ ძალაში შედის მას შემდეგ, რაც დაამტკიცებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს უფლება აქვს:

— მოიწვიოს სექციები და საექსპერტო კომისიები ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის ცალკეულ დარგებში;

— გაგზავნოს კომიტეტის წევრები, ექსპერტები და საექსპერტო კომისიები, რათა ადგილზე გაეცნონ თეატრალურ დადგმებს, მონუმენტური ხელოვნებისა და არქიტექტურის ნაწარმოებებს;

— მოიწვიოს საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად შემოსულ ნაშრომთა რეცენზირებისა და ექსპერტიზისათვის ცალკეული სპეციალისტები ლიტერატურის, ხელოვნების, არქიტექტურის დარგში. ამ სპეციალისტთა შრომა აანაზღაუროს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული განაკვეთების მიხედვით.

დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომლებშიაც მუშაობენ კომიტეტის წევრები, მოვალენი არიან გაათავისუფლონ ისინი მუშაობისაგან კომიტეტის სხდომების პერიოდში.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს აქვს გერბის ბეჭედი და ანგარიში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ამ ბოლო დროს რესპუბლიკაში მიღწეულია გარკვეული წარმატებანი სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეში. უმეტესი სამეცნიერო დაწესებულებანი და უმაღლესი სასწავლებლები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრებით, რომელთაც უნარი შესწევთ თანამედროვე დონეზე გადაწყვიტონ მეცნიერების, კულტურის, ეკონომიკისა და ტექნიკის დიდმნიშვნელოვანი პრობლემები. საქართველოში განვითარდა ფიზიკა-მათემატიკის, ბიოლოგიურ, ტექნიკურ, ჰუმანიტარულ და სხვა მეცნიერებათა მრავალი მიმართულების სამეცნიერო სკოლები.

რესპუბლიკის სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაკთა 35 პროცენტს აქვს მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. სამეცნიერო ხარისხის მქონე 5.200 მეცნიერი მუშაკიდან 700 კაცზე მეტს აქვს დოქტორის ხარისხი. ასპირანტთა რაოდენობამ 1,520 კაცს მიაღწია.

ამასთან ერთად, სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეს ახასიათებს არსებითი ნაკლოვანებანი.

უკანასკნელ წლებში არ სრულდება ასპირანტურაში მიღების გეგმები. მაგალითად, 1966 წელს რესპუბლიკური დაქვემდებარების სამეცნიერო დაწესებულებებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა ასპირანტურაში მიიღეს 347 კაცი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 376 კაცისა, ხოლო 1967 წელს — 324, ნაცვლად 369 კაცისა. გეგმების პროექტების შედგენისას ხშირად არ ითვალისწინებენ რესპუბლიკის რეალურ მოთხოვნილებებს სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიურ კადრებზე. ამის შედეგად ცოდნის ცალკეული სპეციალობანი და დარგები თანაბრად არ არიან უზრუნველყოფილი სამეცნიერო კადრებით.

წლითიწლობით არ სრულდება გეგმები ასპირანტურაში მიღებისა ფიზიკა-მათემატიკის, ტექნიკურ, ეკონომიურ და სხვა მეცნიერებათა ზოგიერთი უახლესი მიმართულების მიხედვით.

დღემდე არ არის გამოყენებული სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების დაგეგმვისა და მომზადების მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდები. საქართველოს საგეგმო და მაკოორდინირებელი ორგანოები საკმაო კონტროლს არ უწევენ სამეცნიერო კადრების მომზადების გეგმების შედგენას.

სამეცნიერო დაწესებულებანი და უმაღლესი სასწავლებლები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ მოიზიდონ სამეცნიერო საქმიანობისათვის ისეთი ახალგაზრდა სპეციალისტები წარმოებიდან, რომელთაც უნარი შესწევთ აწარმოონ კვლევითი მუშაობა, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის მოგვარებული სტუდენტებთან მიზანმიმართული მუშაობა, რათა გამოვლინდეს მათი მიდრეკილება სამეცნიერო მუშაობისადმი და დაინერგოს შესაბამისი ჩვევები.

სერიოზული ნაკლოვანებანია ასპირანტებთან და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებთან მუშაობაში, რომელთა ატესტაცია ხშირად ფორმალურად მიმდინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობს. ფიზიკის, გეოფიზიკის, მეტალურგიის, ფიზიკური და ორგანული ქიმიის, მანქანათა მექანიკისა და პოლიმერული მასალების ინსტიტუტების და რესპუბლიკის მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლების ცალკეული ასპირანტები არ ასრულებენ სამუშაოთა ინდივიდუალურ გეგმებს, დროზე არ აბარებენ საკანდიდატო მინიმუმს.

ასპირანტთა დიდი უმრავლესობა არ იცავს დისერტაციის დაცვის ვადებს. 309 კაციდან, რომლებმაც 1967 წელს დაამთავრეს რესპუბლიკური დაქვემდებარების სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლესი სასწავლებლების ასპირანტურა, მხოლოდ ოთხმა დაიცვა დისერტაცია და 86 კაცმა წარადგინა სადისერტაციო შრომები.

ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადებაში ჯერ კიდევ საკმაოდ ფართოდ არ იღებენ მონაწილეობას მაღალკვალიფიციური სამეცნიერო ძალები. ამიტომ მეცნიერებათა ცალკეული დოქტორები და პროფესორები მეტისმეტად არიან დატვირთული ასპირანტებთან და ხარისხის მოპოვების მსურველებთან მუშაობით.

ზოგიერთ შემთხვევაში განყოფილებების, ლაბორატორიებისა და კათედრების ხელმძღვანელები, აგრეთვე სამეცნიერო საბჭოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ხარისხოვან მომზადებას.

დასაცავად წარდგენილ სადისერტაციო შრომებს ზოგჯერ არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს. მთელი რიგი შრომები ნაკლებად აქტუალურია, შესრულებულია დაბალ სამეცნიერო დონეზე, არ შეიცავენ მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის დიდმნიშვნელოვან დასკვნებსა და რეკომენდაციებს, ხოლო სამეცნიერო საბჭოები მათი განხილვისას ყოველთვის როდი იჩენენ საჭირო პრინციპულობას და ცალკეულ შემთხვევებში დაუმსახურებლად ანიჭებენ სამეცნიერო ხარისხს.

რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში არასაკმაოდ ტარდება ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კონფერენციები და დისკუსიები.

ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებისა და იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხებს.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით და შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 16 ნოემბრის № 1064 დადგენილებისა „სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გაუმჯობესების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, იმ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები აქვთ, რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა და სამეცნიერო დაწესებულებებმა მიიღონ ქმედითი ზომები სამეც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გასაუმჯობესებ-ლად, მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, თანამედროვე მეცნიერების განვითარების პერსპექტივების, კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის მოთხოვნების შესაბამისად.

2. სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ასპირანტურის მეშვეობით მომზადების დაგეგმვის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით:

დაეკისროთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიას და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების წლიური და პერსპექტიული გეგმების შემუშავება და ამ გეგმების შესრულებისათვის კონტროლის გაწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით;

გეგმების პროექტების შედგენისას უფრო სრულად გაითვალისწინონ მეცნიერების ყველა დარგის შემდგომი განვითარების ძირითადი ტენდენციები, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ საჭიროა გაფართოვდეს სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება მეცნიერების უმნიშვნელოვანესი დარგების მიხედვით;

გაითვალისწინონ სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ფართოდ მომზადება ქვეყნის წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან არსებულ მიზნობრივ ასპირანტურაში;

უმაღლეს სასწავლებლებსა და დარგობრივ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებისადმი სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობა დაეკისროს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, ხოლო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში — საქართველოს სსრ მეცნიერებათა **აკადემიას;**

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების დაგეგმვის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების **შემუშავებას.**

3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო დაწესებულებები აქვთ, უმაღლესი სასწავლებლების რექტორებმა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების დირექტორებმა:

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა ასპირანტურაში მიღების დასახული გეგმების შესრულებას, რომლებსაც აღმოაჩნდათ მიდრეკილება კვლევითი მუშაობისადმი;

მთავარი ყურადღება დაუთმონ ყოველწლიურ მიღებას ასპირანტურაში ფიზიკა-მათემატიკის, ბიოლოგიურ, ტექნიკურ, საზოგადოებრივ და სხვა მეცნიერებათა უახლესი მიმართულების მიხედვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააუმჯობესონ ასპირანტურაში მიღების ორგანიზაცია, მიაღწიონ ფართო კონკურსს ყველა სპეციალობაში, გააძლიერონ მომთხოვნელობა ასპირანტურაში შემსვლელებისადმი;

გააძლიერონ იმ კვლევითი სამუშაოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, რომლებსაც ეწევიან ასპირანტები და ხარისხის მოპოვების მსურველები სადისერტაციო თემების შესრულების დროს;

მოაწყონ შესაფერის სამუშაოზე ის პირები, რომლებიც ასპირანტურას ამთავრებენ.

4. უმაღლესი სასწავლებლების რექტორებმა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების დირექტორებმა:

აამაღლონ სამეცნიერო საბჭოების, კათედრების, განყოფილებების, ლაბორატორიების მუშაობის დონე ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა ატესტაციისათვის, მიაღწიონ ინდივიდუალური გეგმების, სამეცნიერო გამოკვლევების დროულად და ხარისხიანად შესრულებას, სერიოზულად იმუშაონ შესრულებული შრომების რეცენზირებისათვის, ამასთან გამოიჩინონ სათანადო პრინციპულობა;

გააძლიერონ კათედრების, განყოფილებების, ლაბორატორიების გამგეების და პირველ რიგში ასპირანტთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა აქტუალური სადისერტაციო თემების შერჩევისა და მათი ხარისხიანად შესრულების რეალური შესაძლებლობისათვის იმ ანგარიშით, რომ ეს თემები ნამდვილად შეიცავდნენ ახალ სამეცნიერო დასკვნებს და პრაქტიკულ რეკომენდაციებს და ხელს უწყობდნენ ისეთი პრობლემების დამუშავებას, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის. უფრო ფართოდ მოიზიდონ ასპირანტებისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელობის გასაწევად მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები, წევრ-კორესპონდენტები, დოქტორები და პროფესორები;

სისტემატურად მოისმინონ სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე კათედრების, განყოფილებების, ლაბორატორიების გამგეების, აგრეთვე ასპირანტთა ხელმძღვანელების მოხსენებანი და ანგარიშები სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების შესახებ;

გააძლიერონ სამეცნიერო საბჭოების პასუხისმგებლობა დისერტაციების განხილვისათვის, მიაღწიონ სათანადო პრინციპულობას ამ ნაშრომების შეფასებაში, არ დაუშვან ლიბერალიზმი სამეცნიერო ხარისხის მინიჭებაში;

ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კონფერენციებისა და დისკუსიების მოწყობა;

სისტემატური მუშაობა აწარმოონ სტუდენტებთან სამეცნიერო მუშაობისადმი მათი მიდრეკილების გამოვლინებისა და სათანადო ჩვევების დანერგვისათვის;

უფრო ფართოდ მოიზიდონ სტუდენტი ახალგაზრდობა სტუდენტთა საშეცნიერო საზოგადოებებში მუშაობისათვის, მჭიდროდ დაუკავშირონ ამ საზოგადოებათა საქმიანობა საკვლევ მუშაობას, რომელსაც აწარმოებენ უმაღლესი სასწავლებლების კათედრები და შესაბამისი პროფილების სამეცნიერო დაწესებულებები. შემოიღონ პრაქტიკაში სამეცნიერო დაწესებულებათა თანამშრომ-

ლების მონაწილეობა სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობაში თემების ხელმძღვანელებად;

შემოიღონ კათედრებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა სამეცნიერო-საკვლევ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება იმ სტუდენტთა საკურსო და სადიპლომო შრომებში, რომლებმაც გამოიჩინეს კვლევითი მუშაობის ნიჭი.

5. დაევალოთ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შეუქმნან სპეციალისტებს, რომლებმაც გამოიჩინეს სამეცნიერო მუშაობისადმი მიდრეკილება, იმისათვის საჭირო პირობები, რომ შევიდნენ ასპირანტურაში, მოამზადონ საკანდიდატო მინიმუმი, აგრეთვე დამოუკიდებლად (ასპირანტურის გარეშე) იმუშაონ დისერტაციაზე.

6. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 16 ნოემბრის № 1064 დადგენილებით „სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გაუმჯობესების შესახებ“:

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 20 აგვისტოს № 1174 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს და უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებიც ახორციელებენ სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებას, ნება ეძლევათ ასპირანტურაში მიიღონ უშუალოდ უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დროს გამოიჩინეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნიჭი;

საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებს ნება ეძლევათ შექმნან ჯგუფები იმ სპეციალისტებთან მეცადინეობისათვის, რომლებიც ემზადებიან საკანდიდატო გამოცდების, აგრეთვე ასპირანტურაში შესასვლელი გამოცდების ჩასაბარებლად, ამასთან მოიზიდონ ამ მუშაობისათვის მეცნიერი მუშაკები და პედაგოგიური კადრები;

დაწესებულია, რომ შრომის საათობრივი ანაზღაურების ოდენობა მეცნიერი ხელმძღვანელებისა და მასწავლებლებისათვის, რომელთაც აქვთ მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის ხარისხი და მეცადინეობენ ასპირანტებთან და სამეცნიერო ხარისხის მოპოვების მსურველებთან, მათ შორის იმ ჯგუფებში, რომლებიც შეიქმნება საწარმოებში, საპროექტო-საკონსტრუქტორო, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებში, უნდა შეესაბამებოდეს იმ ოდენობას, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 11 ნოემბრის № 2000 დადგენილებით იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ შესაბამისად პროფესორის ან დოცენტის სამეცნიერო წოდება;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს დაევალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალური განათლების სამინისტროსთან და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად დააწესოს აღნიშნულ პირთათვის შრომის საათობრივი ანაზღაურების დროის ნორმები და პირობები, უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედი ნორმებისა და პირობების შესაბამისად;

ნებადართულია მეცნიერ ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება მოხდეს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში სამეცნიერო კადრების მოსამზადებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯზე, საწარმოებში, საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებსა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებში — კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ასიგნებული სახსრების ხარჯზე და თვითანაზღაურების საფუძველზე შექმნილ ჯგუფებში — მსმენელთა სახსრების ხარჯზე.

7. უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების პარტიულმა ორგანიზაციებმა სისტემატურად შეისწავლონ და განიხილონ სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები, გააუმჯობესონ ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, უფრო ფართოდ ჩააბან ისინი საზოგადოებრივ მუშაობაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 13 თებერვალი, № 84.

3 კაპიტალური მშენებლობის კადრებით უზრუნველყოფის ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მიღებულია მთელი რიგი ზომები, რომლებიც მიმართულია რესპუბლიკაში სამშენებლო საქმის გაუმჯობესებისაკენ.

ამასთან ერთად სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის საქმეში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სერიოზული ნაკლოვანებანი. სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში მთლიანად არ სრულდება კაპიტალურ დაბანდებათა გეგმები. მშენებლობაში ჯერ კიდევ დაბალია მექანიზაციის დონე, სამუშაოთა დიდი მოცულობა ხელით სრულდება და ნელი ტემპებით იზრდება შრომის ნაყოფიერება.

ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია ბევრი სამეურნეო, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა მშენებელთა მუდმივი კვალიფიციური კადრების შექმნისათვის.

მთელი რიგი მშენებლობანი განიცდიან მუშების მწვავე ნაკლებობას, მათი მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მასშტაბები და დონე არ შეესაბამება კაპიტალური მშენებლობის დარგში დასახულ ამოცანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრ მშენებლობაზე ნელი ტემპებით ინერგება შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმები და პრემიალური სისტემები, საკმაო ყურადღება არ ექცევა სათანადო საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციის საკითხებს, მშენებლობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს კადრების დიდ დენადობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 იანვრის № 42 დადგენილების შესაბამისად და კაპიტალური მშენებლობის კადრებით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 იანვრის № 42 დადგენილება „კაპიტალური მშენებლობის კადრებით უზრუნველყოფის ზომების შესახებ“ დაეგზავნოთ საქართველოს კპ საოლქო კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, საქართველოს კპ რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად, ამასთან დაევალოთ მათ აღმოფხვრან მშენებელთა კადრებთან მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, ძირეულად გააუმჯობესონ მთელი პრაქტიკული საქმიანობა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მომზადებისა, აღზრდისა და მშენებლობაზე შენარჩუნებისათვის.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებში კადრების დენადობის ლიკვიდაცია, მშენებელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლება, თავისი პროფესიისათვის სიამაყის გრძნობის ჩანერგვა მათთვის, ყოველდღიური მზრუნველობა იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს მშენებლობათა მუშაკების საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო პირობები, საზოგადოებრივი კვება და სამედიცინო მომსახურება.

2. მშენებელ მუშათა შეგროვებისა და შრომითი მოწყობის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტს:

შემოიღოს პრაქტიკაში ხელშეკრულებათა დადება იმ სამინისტროებთან და უწყებებთან, რომელთა მშენებლობისათვის ტარდება მუშათა ორგანიზებული შეგროვება, გაითვალისწინოს ამ ხელშეკრულებებით, კერძოდ, მუშების გაგზავნა მშენებლობებზე საჭირო პროფესიების მიხედვით, აგრეთვე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების ვალდებულება — შეუქმნან მუშებს საჭირო საწარმოო და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები;

მიეწოდოს მოსახლეობას ფართო ინფორმაცია უმნიშვნელოვანესი მშენებლობების მხრივ მუშებზე არსებული მოთხოვნილების შესახებ.

3. მუშათა კადრებით მშენებლობის უფრო სრულად უზრუნველყოფისა და შრომითი რესურსების უკეთ გამოყენების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა, მუშაოს, 1969 წლიდან დაწყებული, სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შემადგენლობაში ბალანსები სსრ კავშირის სამშენებლო სამინისტროების, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს და სხვა სამინისტროებისა და უწყებების მოთხოვნილებისა მუშახელზე და მისი დაფარვისა საქართველოს სს რესპუბლიკაში, ამასთან გაითვალისწინოს დავალებანი შრომითი რესურსების გამოყენებისა იმისათვის, რომ შეივსოს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები კადრებით ორგანიზებული შეგროვების, სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა, ადგილობრივი მოსახლეობისაგან მიღებისა და სხვა წყაროების ხარჯზე.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს უზრუნველყოს 1969-1970 წლებში კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, რაც გამოიყოფა დარგით „სოფლის მეურნეობა“, 300-ადგილიანი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობა მშენებელ მუშათა მოსამზადებლად.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიამ და საქართველოს სსრ სახმშენმა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან ერთად უზრუნველყონ შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მოწინავე მეთოდების, მშენებლობაში გამოსაყენებელი ახალი პროგრესული მასალებისა და კონსტრუქციების სისტემატური ჩვენება და ფართო პოპულარიზაცია, რისთვისაც მოაწყონ მოძრავი გამოფენები, სემინარები და ა. შ.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის გაუმჯობესების იმ ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის № 515 დადგენილებით, უზრუნველყონ შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების ფართოდ ჩვენება უშუალოდ წარმოებაში, ამ მეთოდების სწავლება მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის მოწინავე მშენებლობების, გამოცდილების გაზიარების მუდმივმოქმედი სკოლებისა და სემინარების ბაზაზე.

დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახმშენს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიას ყოველწლიურად ჩაატარონ ტრესტების მმართველთა სემინარები, სადაც ისინი გაეცნობიან სამშენებლო წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდებს, ახალ პროგრესულ მასალებსა და კონსტრუქციებს, რომლებსაც მშენებლობაში იყენებენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე უცხო ქვეყნებშიც.

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაატარონ ასეთი სემინარები 1968 წლის 1 აგვისტომდე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს შეიმუშაოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან, ტრესტ საქჰიდროენერგომშენთან და სხვა სამშენებლო ორგანიზაციებთან ერთად, ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესება მშენებლობებზე და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებში, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა უმოკლეს ვადაში გაიხსნას სასადილოები, ბუფეტები, მაღაზიები და დუქნები იმ ობიექტებზე, რომლებიც დაშორებული არიან საზოგადოებრივი კვების ქსელსა და სავაჭრო წერტილებს.

მიღებული ზომების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 15 მაისისათვის.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის საამინისტროს შეიმუშაოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან, ტრესტ საქჰიდროენერგომშენთან და სხვა სამშენებლო ორგანიზაციებთან ერთად ღონისძიებანი იმ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან მშენებლობაში, განსაკუთრებით შორეულ ადგილებში მდებარე მშენებლობებზე.

მიღებული ზომების შესახებ მოხსენდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 15 ივნისისათვის.

8. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ სახმშენთან ერთად, წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსთან შეთანხმებული წინადადებანი საშუალო სპეციალური სასწავლებლების სამშენებლო სამინისტროების გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

*

* *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ საქართველოს სსრ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და მუშაკები საჭირო ზომებს მიიღებენ მშენებლობების კადრებით უზრუნველსაყოფად, მშენებლობაში მათი შენარჩუნებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად და ყოველ ღონეს იხმარენ იმ ამოცანების შესასრუ-

მუზ. 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლებლად, რომლებიც დასახულია სკკპ XXIII ყრილობის მიერ კაპიტალური მშენებლობის დარგში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 28 თებერვალი, № 98.

10783

საქართველოს სსრ სახელმწიფო
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

4 საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს პირუტყვის დამზადების რაიონული და სარაიონთაშორისო კანტორების კოლექტივთა სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ მოეწყოს 1968 წლის მეორე კვარტალიდან საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს პირუტყვის დამზადების რაიონული და სარაიონთაშორისო კანტორების კოლექტივთა რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება.

2. დაწესდეს რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივების წასახალისებლად საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით; თითო მეორე და მესამე ფულადი პრემიები.

3. დამტკიცდეს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 8 თებერვალი, № 67.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და
საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის
1968 წლის 8 თებერვლის № 67
დადგენილებით

პირობები

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს პირუტყვდამზადების რაიონული და სარაიონთაშორისო კანტორების კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა

I.

ღირსეულად აღნიშნეს რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი, საბჭოთა კავშირის მშრომელები ცდილობენ განამტკიცონ და ამრავლონ მიღწეული წარმატებანი.

მოსკოვის, ლენინგრადის და ჩვენი ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრების მოწინავე საწარმოთა კოლექტივების თაოსნობამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა, რის შედეგადაც მთელ ჩვენს ქვეყანაში ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისა და ღირსშესანიშნავი თარიღის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების ახლანდელ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება პარტიის XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებას, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ტემპების დაჩქარებას.

მხარს უჭერენ რა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს დამამზადებელი ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა შრომითს აქტივობას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აცხადებენ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს პირუტყვის დამზადების რაიონული და სარაიონთაშორისო კანტორების კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შემდეგ პირობებს:

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან პირუტყვის დამზადების იმ რაიონული და სარაიონთაშორისო კანტორების კოლექტივები, რომლებიც საუკეთესო შედეგებს მიაღწევენ შემდეგი ძირითადი მაჩვენებლების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების საქმეში:

პირუტყვის დამზადების გეგმის შესრულება;

პირუტყვის წონის ნამატის ჩაბარების გეგმის შესრულება;

ერთ სულ პირუტყვზე წონის საშუალო-სადღეღამისო მატების გეგმის შესრულება;

წონის ერთ კილოგრამ ნამატზე ხარჯების შემცირება;

წონის ერთი ცენტნერი ნამატის თვითღირებულების შემცირება;

საბალანსო შედეგები (მოგების საერთო თანხა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასათვალისწინებელი მაჩვენებლები

შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობა;

მუშაობა რაციონალიზაციისა და გამომგონებელის ხაზით;

შრომის დისციპლინის მდგომარეობა;

სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მდგომარეობა;

მუშათა კადრების მომზადება;

ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება;

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მასალები შეჯამდება სტატისტიკური და საბუღალტრო ანგარიშგების და ოპერატიული აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე.

II.

რესპუბლიკური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესი

პირუტყვის დამზადების კანტორების კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს ყოველკვარტალურად შეაჯამებენ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის არა უგვიანეს 20 რიცხვისა.

წარდგენილი მასალები უნდა შეიცავდნენ ცნობებს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესრულების მაჩვენებლების შესახებ. იმავდროულად მაჩვენებლებს უნდა დაერთოს ცნობები:

ბაზების სანიტარული მდგომარეობის შესახებ (ცნობას იძლევიან სანიტარული ზედამხედველობის ორგანოები);

სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მდგომარეობის შესახებ;

კოლექტივის მიერ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

დაწესებული ვადის შემდეგ წარდგენილი მასალები, აგრეთვე ისეთი მასალები, სადაც დაშვებულია შეცდომები, რომლებიც ამახინჯებენ მაჩვენებლებს და ადგილი აქვს უზუსტობას, შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას განხილული არ იქნება.

პირუტყვის დამზადების კანტორების იმ კოლექტივების წასახალისებლად, რომლებმაც რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს, დაწესებულია: საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით; ერთი მეორე და ერთი მესამე ფულადი პრემიები.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივებს ფულადი პრემიები მიეცემათ ზეგეგმითი მოგებისა და თვითღირებულების შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირებისაგან მიღებული ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე, დაჯილდოების სკალის თანახმად, მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივებისათვის გამოყოფილი სახსრები დაიხარჯება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1959 წლის 30 დეკემბრის № 1430 დადგენილების შესაბამისად.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას: იმ კანტორებში, სადაც დარიცხული პრემია შეადგენს ორ ათას მანეთზე ნაკლებს — გამოყოფილი თანხის 100 პროცენტამდე, სადაც დარიცხული პრემია ორ ათას მანეთს აღემატება — პრემიის დარიცხული თანხის 60-70 პროცენტამდე.

პრემიის დანარჩენი ნაწილი გამოყენებული იქნება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის.

მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის განკუთვნილი სახსრები უნდა შეადგენდეს მუშაკთა ხელფასის საერთო ფონდში მათი ხელფასის ფონდის პროპორციულ თანხას.

პირუტყვის დამზადების კანტორების მმართველები და უფროსი ბუღალტრები, როდესაც კანტორის კოლექტივს მიეკუთვნება პირველი პრემია, შეიძლება დაჯილდოებულ იქნან თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტამდე, მეორე პრემია — 40 პროცენტამდე და მესამე პრემია — 30 პროცენტამდე.

პრემიების კონკრეტული რაოდენობა დაწესდება საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით.

სოციალისტური შეჯიბრების ხაზით დაჯილდოების მთელ სახსრებს ხარჯავენ კანტორების ხელმძღვანელები ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

5 სანადირო გლუვლულიანი თოფების და მათთვის საჭირო საბრძოლო მასალის შეძენის, შენახვისა და გამოყენების წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ბევრი მოქალაქე, რომლებსაც სანადირო გლუვლულიანი თოფები აქვთ, ვერ უზრუნველყოფენ მათ სწორად შენახვას, რაც ხშირად იწვევს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას და საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში რეგისტრირებულია რამდენიმე უბედური შემთხვევა, აგრეთვე დანაშაული, რომლებიც ჩადენილია სანადირო გლუვლულიანი თოფების გამოყენებით.

სანადირო გლუვლულიანი თოფების აღრიცხვისა და რეგისტრაციის უქონლობის შედეგად არის ამ იარაღის უკონტროლოდ გაყიდვის ან ისეთი პირებისათვის გადაცემის შემთხვევები, რომლებიც არ არიან გაცნობილი მათი სარგებლობის წესებთან და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მათ შენახვას.

სანადირო გლუვლულიანი თოფების და მათთვის საჭირო საბრძოლო მასალის შეძენაში, შენახვასა და გამოყენებაში წესრიგის დამყარების, აგრეთვე ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს მონადირეთა კავშირმა — „მონკავშირმა" 1968 წლის 1 აპრილამდე ჩაატაროს ყველა მონადირის და მათს სარგებლობაში არსებული სანადირო თოფების ხელახალი რეგისტრაცია.

2. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ ამავე ვადაში ჩაატაროს იმ სანადირო თოფების რეგისტრაცია, რომლებითაც დაწესებულებანი და საწარმოები სარგებლობენ.

3. დაწესდეს, რომ:

ა) სანადირო გლუვლულიანი თოფების და მათთვის საჭირო საბრძოლო მასალის გაყიდვა წარმოებს მხოლოდ საქართველოს მონადირეთა კავშირის და სამხედრო-სანადირო საზოგადოების მაღაზიების მეშვეობით იმ პირებზე, რომლებსაც შეუსრულდათ 18 წელი, არიან საქართველოს მონადირეთა კავშირის და ამ საზოგადოების წევრები და აქვთ მილიციის ორგანოების ან სამხედრო ნაწილის სარდლობის მიერ გაცემული ნებართვა თოფების შეძენის შესახებ;

ბ) მაღაზიების დირექტორები, რომლებიც დაარღვევენ სანადირო გლუვლულიანი თოფების და მათთვის საჭირო საბრძოლო მასალის გაყიდვის წესს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯარიმდებიან ადმინისტრაციული წესით 20 მანეთამდე, ჯარიმას დაადებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ადმინისტრაციული კომისიები;

გ) იმ სანადირო გლუვლულიანი თოფებისა და მათთვის საჭირო საბრძოლო მასალის აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევისათვის, რომლებითაც დაწესებულებები და საწარმოები სარგებლობენ, თანამდებობის პირები დაჯარიმდებიან 30 მანეთამდე, ჯარიმას დაადებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ადმინისტრაციული კომისიები.

4. უფლება მიენიჭოთ მილიციის ორგანოებს ჩამოართვან სანადირო თოფები იმ პირებს, რომლებიც სისტემატურად არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც ფსიქიურად არიან დაავადებული.

5. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წინადადება, რომ დაემატოს პირველ მუხლს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულებისა „ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და გამოყენების წესის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ მითითება, რომ იმ პირებს, რომლებსაც არა აქვთ სანადირო ბილეთები და გლუვლულიანი სანადირო იარაღის შენახვისა და ხმარების ნებართვები, თოფებს ჩამოართმევენ მილიციის ორგანოები მათი ღირებულების აუნაზღაურებლად.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს განიხილონ და დაამტკიცონ ინსტრუქცია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სანადირო გლუვლულიანი თოფების და მათთვის საჭირო საბრძოლო მასალის შეძენის, შენახვისა და გამოყენების წესის შესახებ.

7. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს.

8. ეთხოვოს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს განიხილოს ამ დადგენილებიდან გამომდინარე და ოლქის სამხედრო-სანადირო საზოგადოებასთან დაკავშირებული საკითხები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

9. ძალადაკარგულად ჩაითვალოს პუნქტი 13 დებულებისა საქართველოს სსრ ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის შესახებ, რომელიც დამტკიცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 აგვისტოს № 536 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 8 იანვარი, № 5.

6 იმის შესახებ, რომ უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გადასცეს მსუბუქი ავტომობილები საერთო სარგებლობის ავტომეურნეობებიდან რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გადასცეს მსუბუქი ავტომობილები საერთო სარგებლობის ავტომეურნეობებიდან რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს უსასყიდლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს მიზანშეწონილია და მოიპოვება საავტომობილო პარკის შენახვისათვის საჭირო პირობები.

მსუბუქი ავტომანქანების გადაცემა მოხდეს დადგენილი წესით ბალანსიდან ბალანსზე, შრომის სათანადო გეგმებით, ხელფასის ფონდით და მასალების ფონდებით, რაც შემდგომ ეცნობოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 5 იანვარი, № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7 თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა თეატრებისათვის დაწერილ მრავალაქტიანი პიესებისათვის საავტორო გასამრჯელოს ანაზღაურების შესახებ

საბავშვო დრამატული ნაწარმოებების ავტორთა შრომის ანაზღაურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წინადადება და 1968 წლის 1 იანვრიდან დაწესდეს თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა თეატრებისათვის დაწერილ პიესებზე (შეკვეთილი ხნ შეძენილი საჯარო შესრულებისათვის) ერთდროული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები დანართის თანახმად.

2. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 6 თებერვლის № 81 დადგენილების № 2 დანართის პირველი თავის მეორე პუნქტიდან ამოღებული იქნას სიტყვები „პიესები თოჯინების თეატრებისათვის და“.

იმავე თავს დაემატოს პუნქტები: „7. პიესები თოჯინების თეატრებისათვის“ და 8. „მრავალაქტიანი პიესები მოზარდმაყურებელთა თეატრებისათვის“ ამ დადგენილებით დაწესებული ახალი განაკვეთებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1968 წლის მეორე ნახევარში, თუ საჭიროება მოითხოვს, წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა თეატრებისათვის დაწერილი პიესების საავტორო ანაზღაურების გაზრდასთან დაკავშირებით დამატებითი სახსრების გამოყოფის შესახებ.

4. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ მკაცრი კონტროლი გაუწიოს თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა თეატრებისათვის შესაძენი პიესების იდეურ-მხატვრულ და აღმზრდელობით მხარეს, არ დაუშვას ამ თეატრების რეპერტუარების სუსტი და არამხატვრული პიესებით შევსების შემთხვევები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 12 იანვარი, № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 12 იანვრის № 10
დადგენილების დანართი

განაკვეთები

ერთდროული საავტორო გასამრჯელოსი დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებებისათვის, რომლებიც შეძენილი ან შეკვეთილია საჯარო შესასრულებლად

ნაწარმოებთა სახეობანი	საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი (მანეთობით)			
	1	2	3	4
პიესები თოჯინების თეატრებისათვის				
პროზად	450	750	1050	1500
ლექსად	750	1200	1650	2250
მრავალაქტიანი პიესები მოზარდმაყურებელთა თეატრებისათვის				
პროზად	1040	1950	2860	3900
ლექსად	1950	2600	3900	5200

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების შემდგომი განვითარების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 16 სექტემბრის № 856 დადგენილება „სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების შემდგომი განვითარების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებს, შესაბამის სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს და რაიონულ საწარმოო სამმართველოებს:

ა) დასახონ და განახორციელონ, ისე, რომ ამან ზიანი არ მიაყენოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, საჭირო ღონისძიებანი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებში ისეთი დამხმარე საწარმოების შემდგომი განვითარებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობაში არსებული მუშახელის, მასალებისა და ნედლეულის რესურსების სეზონური ნამეტის უფრო სრულად და რაციონალურად გამოყენებას.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ადგილობრივი საშენი მასალების, პირველ რიგში საკედლე მასალების (სამშენებლო ქვა, აგური, კრამიტი, კირი, საკედლე ბლოკები და სხვ.) წარმოებას; კერამიკული ნაკეთობების — ღვინის ქვევრების, ჭურჭლის, მილების, მოსაპირკეთებელი ფილების, სუვენირებისა და სხვ., წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის წარმოებას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, გარეული ჩილისა და კენკრის (პანტა, შინდი, ასკილი და სხვ., ჯონჯოლის, დანდურის) სამრეწველო გადამუშავებას; ხმელი ხილის (ლეღვის, შავი ქლიავის, ვაშლის, ხურმის და სხვ.) და სახალხო მოხმარების სხვა საქონლის წარმოებას, აგრეთვე სამრეწველო საწარმოებთან საწარმოო კავშირურთიერთობის განვითარებას;

ბ) კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამხმარე საწარმოების მოწყობისას გაითვალისწინონ ამ საწარმოების პროდუქციაზე არსებული მოთხოვნილება და მისი რეალიზაციის შესაძლებლობა, ამასთან არ დაუშვან უპერსპექტივო და არარენტაბელურ წარმოებათა შექმნა;

გ) დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებს იმ მხრივ, რომ შეადგინონ დამხმარე საწარმოებისა და სარეწების საწარმოო გეგმები, რომლებსაც აწესებენ თვით კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სამეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციები, და შეიმუშაონ განაცხადები საჭირო მოწყობილობის, მექანიზმების, ინვენტარისა და მასალების, აგრეთვე გრძელვადიანი კრედიტების შესახებ.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ უზრუნველყოს კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციები მოწყობილობით, ლითონის ნარჩენებით, ტარით, საფუთავი მასალებით, რომლებიც საჭიროა დამხმარე საწარმოებისა და სარეწებისათვის.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ განაცხადებით იმ მოწყობილობისა და მექანიზმების წარმოება და გამოყოფა, რომლებიც საჭიროა სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწებისათვის.

5. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ შეიმუშაონ და სამი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად დამხმარე საწარმოებში და სარეწებზე დასაქმებულ კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების რეკომენდაციების დამატებანი.

6. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირმა:

ა) უფრო ფართოდ მოიზიდონ სავაჭრო ქსელში სახალხო მოხმარების საქონელი, რომელსაც ამზადებენ სოფლის მეურნეობის დამხმარე საწარმოები და სარეწები;

ბ) სოფლის მეურნეობის დამხმარე საწარმოებისა და სარეწების პროდუქციის რეალიზაციის გაუმჯობესებისა და ამ პროდუქციაზე არსებული მოთხოვნილებისა და მიწოდების შესწავლის, აგრეთვე მისი პოპულარიზაციის მიზნით, მოაწყონ ბაზრობები ამ საწარმოებისა და სარეწების საქონლის გასაყიდად.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და ცეკავშირს შეიმუშაონ 1968—1969 წლებში, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განაცხადებით, სოფლის მეურნეობის დამხმარე საწარმოთა პროექტები, აგრეთვე მათთვის საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობის კომპლექტები.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და ცეკავშირს შეიმუშაონ ღონისძიებანი, რათა შეიქმნას 1968—1970 წლებში კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებში, სადაც ეს მიზანშეწონილია, შესაბამის სამრეწველო საწარმოთა სეზონური ფილიალები. ამ საკითხზე წინადადებანი წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშაონ 1968 წლის პირველი კვარტალის დამლევამდე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებული წინადადებანი იმის შესახებ, რომ მომზადებულ იქნან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში კვალიფიციური მუშები სოფლის მეურნეობის დამხმარე საწარმოებისა და სარეწებისათვის.

10. სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების მუშაობის კოორდინაციისა და ხელმძღვანელობის მიზნით, აგრეთვე იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები მოწყობილობით, მექანიზმებითა და მასალებით დამხმარე საწარმოებისა და სარეწებისათვის:

ა) შეიქმნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2-3 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი სამინისტროს აპარატისათვის დამტკიცებული პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ხარჯზე;

ბ) შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში ქვეგანყოფილება სამი ერთეულის შემადგენლობით, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის აპარატისათვის დამტკიცებული ხელფასის ფონდისა და პერსონალის რაოდენობის ხარჯზე.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა ფართოდ გააშუქონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების მოწინავე დამხმარე საწარმოებისა და სარეწების მუშაობა, ცალკეულ მეურნეობათა მიღწევები შრომითი რესურსების რაც შეიძლება უფრო სრულად გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების, ადგილობრივი საშენი მასალების და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დარგში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 15 იანვარი, № 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 856

1967 წლის 16 სექტემბერი

მოსკოვი, კრემლი

სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების შემდგომი განვითარების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხარეო, საოლქო აღმასკომებმა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიიღონ ზომები, რათა განვითარდეს, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ზიანის მიუყენებლად, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებში დამხმარე საწარმოები და სარეწები, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშახელის სეზონური ნამეტის, სოფლის მეურნეობაში არსებული მატერიალური და ნედლეული რესურსების უფრო სრულად გამოყენებას.

ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების, გარეული ხილის, კენკრის, სოკოს სამრეწველო გადამუშავებას, ადგილობრივი საშენი მასალების, და პირველ რიგში საკედლე მასალების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას, აგრეთვე სამრეწველო საწარმოებთან საწარმოო კავშირურთიერთობის განვითარებას.

დამხმარე საწარმოებისა და სარეწების საწარმოო გეგმებს დააწესებენ თვით კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციები და ზემდგომი ორგანიზაციების მიერ მათი დამტკიცება საჭირო არ არის.

2. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციები მოახდენენ დამხმარე საწარმოებისა და სარეწების პროდუქციის რეალიზაციას იმ ხელშეკრულებათა საფუძველზე, რომლებსაც დადებენ სამომხმარებლო კოოპერაციის, სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებთან, სამრეწველო საწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოებთან და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებთან, აგრეთვე ქალაქისა და სოფლის ბაზრებში.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების დამხმარე საწარმოების და სარეწების იმ პროდუქციის ფასები და ტექნიკური პირობები, რომელიც მზადდება სამომხმარებლო კოოპერაციის, სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებთან, სამრეწველო საწარმოებთან და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებებით, — დაწესდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ბაზრებში გასასაღებელი პროდუქციის ფასებსა და ტექნიკურ პირობებს დაამტკიცებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციები.

სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები მოახდენენ აღნიშნული პროდუქციის რეალიზაციას მათ მიერ დაწესებულ ფასებში, მისი შესყიდვისა და გაყიდვის ხარჯების ანაზღაურების და ამ ოპერაციათა რენტაბელობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ ამგვარად დაწესებული ფასები აღემატება ანალოგიური საქონლის სახელმწიფო საცალო ფასებს, სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებმა ეს საქონელი უნდა გაყიდონ ცალკეულ მაღაზიებში, ფარდულებში ან მაღაზიების სექციებში იმის აღნიშვნით, რომ საქონელი დამზადებულია დამხმარე საწარმოებში და სარეწებზე სოფლის მეურნეობაში.

ასეთივე წესით გაყიდიან ამ პროდუქციას სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებიც, გარდა სასურსათო საქონლისა, რომლის ფასები დაწესდება არა უმეტეს იმ საცალო ფასებისა, რომლებიც რეალიზაციის ადგილებში მოქმედებენ.

3. დაეკისროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკას“ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების უზრუნველყოფა მოწყობილობით, ლითონის ნარჩენებით, ტარით, საფუთავი და სხვა მასალებით, რომლებიც საჭიროა დამხმარე საწარმოებისა და სარეწებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ განაცხადებით, იმ მოწყობილობისა და მექანიზმების წარმოება და გამოყოფა, რომლებიც საჭიროა დამხმარე საწარმოებისა და სარეწებისათვის სოფლის მეურნეობაში.

4. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს აძლიოს საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებს კრედიტი დამხმარე საწარმოების ასაშენებლად და მოწყობილობის შესაძენად ამ საწარმოებისა და სარეწებისათვის 6 წლის ვადით იმ ანგარიშით, რომ კრედიტის დაფარვა დაწყებულ იქნას მესამე წლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაწესდეს, რომ საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკებს, რომლებიც დასაქმებული არიან დამხმარე საწარმოებში და სარეწებზე, ხელფასი მიეცემათ ხელფასის იმ ფონდის გადამეტებით, რაც გათვალისწინებულია საწარმოო-საფინანსო გეგმით მეურნეობის ძირითადი საქმიანობის მიხედვით, დამხმარე საწარმოებისა და სარეწების პროდუქციის რეალიზაციისაგან მიღებული ამონაგების ხარჯზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით დაადგინოს წესი სახსრების გაცემისა იმ მუშაკთა ხელფასისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დამხმარე საწარმოებში და სარეწებზე.

6. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შეიტანონ კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების რეკომენდაციებში დამატებანი დამხმარე საწარმოებისა და სარეწების სამუშაოებზე დასაქმებულ კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების წესის შესახებ.

7. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა მატერიალური დაინტერესება დამხმარე საწარმოებისა და სარეწების განვითარებით, დაწესდეს, რომ ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების ჯგუფებზე აღნიშნულ მეურნეობათა მიკუთვნების დროს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის (წარმოების) მოცულობასთან ერთად, გათვალისწინებულ უნდა იქნას აგრეთვე დამხმარე საწარმოებისა და სარეწების პროდუქციის რეალიზაციის (წარმოების) დაგეგმილი მოცულობა.

8. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხარეო აღმასკომებმა, საოლქო აღმასკომებმა, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ და „ცენტროსოიუზმა“ გააძლიერონ სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობა იმ მხრივ, რომ მოიზიდონ სავაჭრო ქსელში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების მიერ სოფლის მეურნეობაში დამზადებული სახალხო მოხმარების საქონელი, ხოლო საგარეო ვაჭრობის სამინისტრომ და „ცენტროსოიუზმა“ — მოიზიდონ ეს საქონელი საექსპორტოდ მიწოდებისათვის.

9. ნება დაერთოს სავაჭრო ორგანიზაციებს გამოიყენონ, როგორც გამონაკლისი, საბაზრო ფონდის ცალკეული საქონელი შეკვეთების საწყისებზე მისაცემ ნედლეულად და დამხმარე მასალებად სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების დამხმარე საწარმოებში და სარეწებზე, მათთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით.

10. დამხმარე საწარმოებისა და სარეწების პროდუქციის რეალიზაციის გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე ამ პროდუქციაზე არსებული მოთხოვნილებისა და მიწოდების შესწავლისა და მისი პოპულარიზაციისათვის მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცენტროსოიუზმა“ სისტემატურად მოაწყონ ბაზრობები სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების საქონლის გასაყიდად.

11. ნება დაერთოს საწარმოებს მიჰყიდონ კოლმეურნეობებს და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებს ზედმეტი, საწარმოებში გამოუყენებელი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები, ინვენტარი, ნედლეული, მასალები, სათბობი, საწარმოო ნარჩენები, აგრეთვე აძლიონ მათ თავიანთი რესურსებიდან მასალები და მაკომპლექტებელი მოწყობილობა დაწესებული ნორმების მიხედვით იმისათვის, რომ დაამზადონ ხელშეკრულებათა საფუძველზე მოცემული საწარმოსათვის საჭირო პროდუქცია.

12. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები მოვალენი არიან მოიყვანონ მათთვის გამოყოფილი მიწები, რომლებზედაც წარმოებს თიხის, ქვიშის, კირქვის, თაბაშირისა და სამშენებლო ქვის, ცარცისა და ტორფის დამზადება, სასოფლო-სამეურნეო გამოყენებისათვის ვარგის მდგომარეობაში.

13. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების დაინტერესება დამხმარე საწარმოებისა და სარეწების შექმნითა და გაფართოებით, ნება დაერთოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გამოიყენონ იმ სავალუტო ამონაგების 50 პროცენტი, რომელიც მიღებულია დამხმარე საწარმოებისა და სარეწების საქონლის საგარეო ბაზარზე გაყიდვისაგან, მათთვის საჭირო საქონლისა და მოწყობილობის შესაძენად საგარეო ვაჭრობის სამინისტროს ან „ცენტროსოიუზის“ მეშვეობით.

14. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ და „ცენტროსოიუზმა“ შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შეიქმნას 1967—1970 წლებში კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებში, სადაც ეს მიზანშეწონილია, შესაბამისი სამრეწველო საწარმოების სეზონური ფილიალები.

15. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ და „ცენტროსოიუზმა“ შეიმუშაონ 1968—1969 წლებში, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების განაცხადებით, სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოთა პროექტები, აგრეთვე მათთვის საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობის კომპლექტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა მოაწყონ ისეთი კვალიფიციური მუშების მომზადება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც საჭიროა დამხმარე საწარმოებისა და სარეწებისათვის სოფლის მეურნეობაში.

17. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან და „ცენტროსოიუზთან" ერთად მოამზადოს გამოსაცემად იმ ნაკეთობათა კატალოგები, რომლებსაც ამზადებენ დამხმარე საწარმოები და სარეწები სოფლის მეურნეობაში.

18. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტმა უფრო ფართოდ გააშუქონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების დამხმარე საწარმოებისა და სარეწების მუშაობა, ცალკეულ მეურნეობათა მიღწევები შრომითი რესურსების უფრო სრულად გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების, ადგილობრივი საშენი მასალებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების საქმეში.

დაევალოთ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარ კომიტეტს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოაწყონ გამოფენის პავილიონებში იმის ჩვენება, თუ რა მიღწევები აქვთ მოწინავე მეურნეობებს, დამხმარე საწარმოებისა და სარეწების განვითარებაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ა. კოსიგინი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. სმირტიუკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9 ქ. სოხუმში თვითნებური ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ

აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს არ გამოუტანიათ სათანადო დასკვნები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 18 იანვრის № 39 დადგენილებიდან „აფხაზეთის ასსრ ქ. სოხუმში თვითნებური და უპროექტო ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ფაქტების შესახებ", რის შედეგადაც 1963—1967 წლების პერიოდში ქალაქ სოხუმში დაშვებულია 195 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის თვითნებური და უპროექტო მშენებლობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს აწარმოონ გადამწყვეტი ბრძოლა მიწების მიტაცებისა და თვითნებური საბინაო მშენებლობის წინააღმდეგ და დაუყოვნებლივ მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 18 იანვრის № 39 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, ნება დაერთოს სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს გაატაროს რეგისტრაციაში, როგორც გამონაკლისი, პირადი საკუთრების უფლებით მხოლოდ იმ მოქალაქეთა სახლები, რომლებმაც 1967 წლის 1 იანვრამდე თვითნებურად ააშენეს უპროექტო სახლები იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც მათ წინათ კანონიერად ჰქონდათ გამოყოფილი, იმ პირობით, თუ:

ა) ამ შენობათა აღება არ არის გამოწვეული ქალაქის დაგეგმვისა და განაშენიანების ინტერესებით;

ბ) ამ სახლებში მცხოვრები მოქალაქეები ეწევიან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, არიან დიდი სამამულო ომის და შრომის ინვალიდები.

დანარჩენი თვითნებურად აშენებული სახლების და მიტაცებული მიწის ნაკვეთებზე აშენებული სახლების მიმართ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 18 იანვრის № 39 დადგენილებით „აფხაზეთის ასსრ ქ. სოხუმში თვითნებური და უპროექტო ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ფაქტების შესახებ".

3. ვინაიდან მთელ რიგ შემთხვევებში სასამართლო ორგანოებმა კონფისკაცია უყვეს თვითნებურად აშენებულ მცირეფართობიან სახლებს, რომელთა ექსპლუატაცია სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო ორგანოების მიერ აშკარად მიზანშეუწონელია, — ნება დაერთოს სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაუბრუნოს ასეთი სახლები მათ აშენებელ მოქალაქეებს იმ პირობებში, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 18 იანვრის № 39 დადგენილებით.

დაწესდეს, რომ იმ პირებისათვის მცირეფართობიანი საცხოვრებელი სახლების დაბრუნების საკითხებს, რომლებმაც თვითნებურად ააშენეს ეს სახლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, გადაწყვეტს სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი ყოველ ცალკე შემთხვევაში, კონკრეტული პირობებისა და სამეურნეო მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 16 იანვარი, № 23.

10 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ნოემბრის № 1088 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ნოემბრის № 1088 დადგენილებისა „სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 მარტის № 198 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 28 ივლისის № 1014 დადგენილება „სამრეწველო საწარმოებთან, მშენებლობებთან და დაწესებულებებთან არსებული სასადილოებისა და ბუფეტებისათვის კომუნალური მომსახურების გაწევის, ტრანსპორტისა და სათბობის მიცემის შესახებ“, გარდა იმ ნაწილისა, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი კვების საწარმოებს დაეთმობათ ტრანსპორტი ფასგადახდით.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 26 სექტემბრის № 1252 დადგენილება „სამრეწველო საწარმოებთან, მშენებლობებთან და დაწესებულებებთან არსებული სამომხმარებლო კოოპერაციის სასადილოებისა და ბუფეტებისათვის კომუნალური მომსახურების გაწევის, ტრანსპორტისა და სათბობის დათმობის შესახებ“, გარდა იმ ნაწილისა, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი კვების საწარმოებს ტრანსპორტი დაეთმობათ ფასგადახდით.

3. „საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 30 აგვისტოს № 624 დადგენილების მე-4 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 27 იანვრის № 86 განკარგულების 1 პუნქტის მეორე აბზაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 18 იანვარი, № 27.

11 სახელმწიფო ვაჭრობის სავაჭრო ორგანიზაციასთან (მაღაზიასთან) არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება სახელმწიფო ვაჭრობის სავაჭრო ორგანიზაციასთან (მაღაზიასთან) არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 19 იანვარი, № 34.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 19 იანვრის № 34
დადგენილებით

დებულება

სახელმწიფო ვაჭრობის სავაჭრო ორგანიზაციასთან (მაღაზიასთან) არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიის შესახებ

1. სახელმწიფო ვაჭრობის სავაჭრო ორგანიზაციასთან (მაღაზიასთან) არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისია შეიქმნება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებისაგან, საწარმოთა, დაწესებულებათა, აგრეთვე საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან იმ მყიდველთა რიცხვიდან, რომლებიც ცხოვრობენ მაღაზიების მახლობლად მდებარე სახლებში, იმ რაოდენობით, რასაც განსაზღვრავს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც ეს კომისია შექმნა.

კომისიის შემადგენლობას დაამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

2. სავაჭრო ორგანიზაციასთან (მაღაზიასთან) არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისია თავის მუშაობას აწარმოებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიის ხელმძღვანელობით.

3. კომისიის მუშაობა ტარდება კომისიის სხდომაზე დამტკიცებული კვარტალური გეგმების მიხედვით.

4. ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიის სხდომებს მოიწვევს კომისიის თავმჯდომარე საჭიროების მიხედვით, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც. კომისიის სხდომაზე ყველა საკითხი გადაწყდება ხმების უბრალო უმეტესობით. კომისიის გადაწყვეტილება კანონიერია, თუ სხდომას ესწრება მისი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისია აწარმოებს თავისი სხდომების ოქმს, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

5. სავაჭრო ორგანიზაციასთან (მაღაზიასთან) არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიის ძირითადი ამოცანაა მუდმივი საზოგადოებრივი კონტროლი გაუწიოს იმას, თუ რამდენად იცავენ შესაბამისი სავაჭრო საწარმოები სახალხო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის დაწესებულ საცალო ფასებს და ვაჭრობის წესებს.

ამ მიზნით კომისია შეამოწმებს:

ა) იცავენ თუ არა სავაჭრო საწარმოები დაწესებულ საცალო ფასებს, ფასნამატს (ფასდაკლებას);

ბ) აღნიშნულია თუ არა საცალო ფასები სახალხო მოხმარების გასაყიდ საქონელზე, საიმპორტო საქონლის ჩათვლით, დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) არსებობს თუ არა ფასების იარლიყები (საფასარები) მაღაზიების დახლებსა და ვიტრინებში გამოფენილი საქონლის ნიმუშებზე და რამდენად სწორადაა აღნიშნული საცალო ფასები მათზე;

დ) უზრუნველყოფილია თუ არა საქონლის მიცემა მომხმარებლებისათვის სრული წონითა და ზომით;

ე) დაცულია თუ არა მყიდველთა მომსახურების კულტურა, შემოღებულია თუ არა სავაჭრო საწარმოებში საჩივრებისა და წინადადებათა წიგნები, რა მდგომარეობაშია მყიდველთა საჩივრებისა და წინადადებათა განხილვის საქმე და რამდენად ეფექტიანია მათ გამო მიღებული ზომები.

6. სავაჭრო ორგანიზაციასთან (მაღაზიასთან) არსებულ ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიას უფლება აქვს:

ა) გაეცნოს სავაჭრო ორგანიზაციაში (მაღაზიაში) ინსტრუქციებს, ბრძანებებს, სხვა დოკუმენტებსა და მასალებს, რომლებიც კომისიას სჭირდება ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის ფუნქციების შესასრულებლად;

ბ) მიიღოს კონტროლგასაწევი სავაჭრო ორგანიზაციისა და სავაჭრო საწარმოს ხელმძღვანელებისა და სხვა მუშაკებისაგან საჭირო სიბუთები და ახსნა-განმარტებანი, რომლებიც დაკავშირებულია კომისიის მიერ ჩატარებულ შემოწმებასთან;

გ) აწარმოოს საქონლის საკონტროლო შესყიდვა; აკრძალოს ისეთი საქონლის გაყიდვა, რომელიც გადაფასებულ უნდა იქნას, მაგრამ არ არის გადაფასებული; დააყენოს საკითხი სავაჭრო ორგანიზაციის (მაღაზიის) ხელმძღვანელობის წინაშე ამოიღოს ხმარებიდან გაუსწორებელი ან უდამღო საწონ-საზომი ხელსაწყოები, შეადგინოს აქტები ფასებისა და ვაჭრობის წესების დარღვევის შესახებ;

დ) მოისმინოს კომისიის სხდომაზე კონტროლგასაწევი სავაჭრო ორგანიზაციებისა და სავაჭრო საწარმოების ხელმძღვანელთა ინფორმაცია კომისიის გამგებლობაში შემავალ საკითხებზე;

ე) მოიწვიოს სავაჭრო ორგანიზაციისა და მაღაზიის სპეციალისტები კონსულტაციისათვის;

ვ) შეიტანოს სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობის განსახილველად წინადადებანი, რათა პასუხისგებაში იქნან მიცემული საწარმოთა ხელმძღვანელები, რომლებიც არ იღებენ ზომებს ფასების დარღვევის, მყიდველთა ანგარიშში მოტყუებისა და სხვა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.

7. სავაჭრო ორგანიზაციასთან (მაღაზიასთან) არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისია ზეგავლენას მოახდენს იმ პირებზე, რომლებმაც დაუშვეს ფასებისა და ვაჭრობის წესების დარღვევა, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული შესაბამისი კომისიის, აგრეთვე სავაჭრო ორგანიზაციის (მაღაზიის) ხელმძღვანელობის მეშვეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიას შეუძლია საჭირო შემთხვევებში მისცეს წინადადება ვაჭრობის ხელმძღვანელებს საქონლის ნაშთების მოხსნის შესახებ ვაჭრობის იმ საწარმოებში, რომლებშიაც აღმოჩენილია ფასების დარღვევის, მყიდველთა ზომასა და წონაში მოტყუების ფაქტები.

---

12 საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ იმ სამეურნეო-სასმელი წყლის ღირებულების ანაზღაურების შესახებ, რომელიც გახარჯულია ლიმიტის გადამეტებით

საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სამეურნეო-სასმელი წყლის მომჭირნეობით ხარჯვის, აგრეთვე რესპუბლიკის კომუნალური წყალსადენებიდან მიღებული წყლის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. იმასთან დაკავშირებით, რომ საწარმოებსა და ორგანიზაციებს დაუწესდათ კომუნალური წყალსადენებიდან სამეურნეო-სასმელი წყლის მიცემის ლიმიტი, გადახდეთ მათ 1968 წლის პირველი აპრილიდან ამ ლიმიტების გადამეტებით გადახარჯული წყლის ფასი სამმაგი რაოდენობით.

2. დაევალოთ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს განახორციელონ 1968 წლის პირველ კვარტალში ყველა საჭირო ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიება კომუნალური წყალსადენებიდან მიღებული წყლის არარაციონალურად ხარჯვის მაქსიმალურად შემცირებისათვის და არ დაუშვა წყლის ხარჯვა დაწესებული ლიმიტის გადამეტებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 25 იანვარი, № 40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13 ქალაქებში, სხვა დასახლებულ პუნქტებში და საავტომობილო გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების გაძლიერების შესახებ

ამონაკრები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 29 ნოემბრის № 1092 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა განიხილონ ქალაქებში, დასახლებულ პუნქტებში და საავტომობილო გზებზე ავარიულობის საკითხი და მიიღონ გადაუდებელი ზომები საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილებისათვის.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას მოძრაობის უსაფრთხობის რესპუბლიკური კომისია, შესაბამისი კომისიები აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში იმ ანგარიშით, რომ ამ კომისიებში მონაწილეობა მიიღონ სატრანსპორტო, საგზაო და საპროექტო და კომუნალური მეურნეობის ორგანიზაციების, მილიციის, სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელებმა და პროფესიულ კავშირთა საბჭოების (კომიტეტების) წარმომადგენლებმა.

დამტკიცდეს მოძრაობის უსაფრთხობის რესპუბლიკური კომისია[1]).

დაეკისროს ამ კომისიას აგრეთვე ის ფუნქციები, რომლებსაც ასრულებდა მუდმივმოქმედი კომისია გადასასვლელების მდგომარეობის სისტემატურ შესასწავლად ავტოტრანსპორტისა და სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის მოძრაობის უსაფრთხობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, და ამასთან დაკავშირებით გაუქმდეს აღნიშნული მუდმივმოქმედი კომისია.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა ყოველ ექვს თვეში ერთხელ ჩააბარონ რესპუბლიკურ კომისიას ანგარიში ავტომოტოტრანსპორტზე, მათს ქვესაუწყებო ორგანიზაციებში ავარიულობის მდგომარეობისა და იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილებისათვის.

3. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა შეისწავლონ და დასახონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ბრძოლის გაძლიერება ავარიულობის წინააღმდეგ მათს ქვესაუწყებო საავტომობილო მეურნეობებში, აწარმოონ, დადგენილი წესის მტკიცე შესაბამისობით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღრიცხვა, გამოავლინონ მათი მიზეზები და ამ საფუძველზე შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი ავარიების რიცხვის შემცირებისათვის.

ავტოსატრანსპორტო საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის შეფასების დროს გაითვალისწინონ არამარტო გეგმის მაჩვენებლების შესრულება, არამედ საავტომობილო ავარიები და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, რომლებიც მოხდა ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა მიზეზით.

[1]) კომისიის შემადგენლობა არ არის მოყვანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სკოლების, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებისათვის ქუჩაში მოძრაობის წესების სწავლება შემოღებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 28 ივნისის № 400 დადგენილების მე-10 და 11 პუნქტებით.

5. საავტომობილო ტრანსპორტზე ავარიულობის თავიდან აცილების მიზნით, რჩევა მიეცეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს მიიღოს ზომები, რათა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა აწარმოონ აღმზრდელობითი მუშაობა საავტომობილო ტრანსპორტის, ტრამვაის, ტროლეიბუსების მძღოლთა შორის, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასებს შორის ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხობის უზრუნველყოფისათვის.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ, რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ პირველი და მეორე კატეგორიის მშენებარე საავტომობილო გზებზე ასფალტბეტონის საბურების მოწყობა მხოლოდ მქისე ზედაპირით; მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ 1968-1975 წლებში მქისე საბურების მოწყობა ამ კატეგორიების არსებული საავტომობილო გზების ყველა უბანზე, რომლებიც საშიშია ავტომობილების მოძრაობისათვის.

7. დაევალოს მოძრაობის უსაფრთხობის რესპუბლიკურ კომისიას ჩაატაროს 1968-1969 წლებში ყველა სარკინიგზო გადასასვლელის გამოკვლევა და წარმოადგინოს წინადადებანი მოძრაობის უსაფრთხობის გაძლიერებისა და გადასასვლელების გამტარუნარიანობის გაუმჯობესების შესახებ, იმ ადგილებში გზახიდების მშენებლობის რიგითობის შესახებ, სადაც მოძრაობის წესების მიხედვით ერთ დონეზე გადაკვეთა ვერ უზრუნველყოფს საკმაო გამტარუნარიანობას და მოძრაობის უსაფრთხობას, აგრეთვე იმ გადასასვლელების დახურვის შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მოძრაობის უშიშროებას.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ, რესპუბლიკის საპროექტო, სამშენებლო და საგზაო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 28 ივნისის № 400 დადგენილების მე-9 პუნქტის შესრულება, რომელიც ავალებს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის წარმომადგენლებს აუცილებლად მიიღონ მონაწილეობა საავტომობილო გზების, ქალაქის ქუჩების, მათი მომიჯნავე ნაკვეთების განაშენიანების, ხიდებისა და სხვა საინჟინერო ნაგებობათა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტების შედგენაში.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა მოყვანილ იქნან ხიდები, ჯებირები, კაშხალები და სხვა ნაგებობანი ისეთ მდგომარეობაში, რომელიც აკმაყოფილებს მოძრაობის უსაფრთხობის მოთხოვნებს, და შეიტანონ ეს ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებში;

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ორგანოების წარდგენით დაამზადონ და დააყენონ საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე, ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში საგზაო ნიშნები, მაჩვენებლები, დამცველი მოწყობილობანი, მონიშნონ გზების სავალი ნაწილი, მოაწყონ წარმმართველი და უსაფრთხობის კუნძულები, გადასასვლელები, აგრეთვე შეასრულონ სატრანსპორტო საშუალებათა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების სხვა სამუშაოები;

გააუმჯობესონ ინფორმაცია საავტომობილო გზებზე და ქალაქებში, რისთვისაც, კერძოდ, დააყენონ მაჩვენებლები საკვანძო პუნქტებში და გამოუშვან ქალაქების სქემა-გეგმები, აგრეთვე შეიმუშაონ საავტომობილო გზების სქემები მარშრუტების, მომსახურების სადგურების, ავტოგასაწყობი სადგურების, სასტუმროებისა და სხვათა აღნიშვნით.

10. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ მოეწყოს მარეფლექტირებელი საგზაო ნიშნების წარმოება საპატიმრო ადგილების სამმართველოსთან და 1968 წლის პირველი კვარტალიდან უზრუნველყოფილი იქნას მათი გამოშვება.

11. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა განიხილონ საკითხი ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში ქუჩაში მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებათა დანერგვის, აგრეთვე ამ ტექნიკურ საშუალებათა ექსპლუატაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ და ყოველწლიურად გამოყონ ამ მიზნისათვის საჭირო სახსრები.

არ დაუშვან მთავარ მაგისტრალურ გზებთან მისასვლელების მოწყობა ისე, თუ ეს სათანადოდ არ იქნა შეთანხმებული საქართველოს სსრ საგზაო ორგანოებთან.

12. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ მიიღოს ზომები III, II და I კლასის შოფრების მოსამზადებლად იმ რაოდენობით, რაც დააკმაყოფილებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინოს 1968-1970 წლებში ავტოსატრანსპორტო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილება ავტორემონტის მუშებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფის სახელმწიფო **კომიტეტს:**

— შექმნას დაინტერესებული უწყებებისა და სამინისტროების შეკვეთებით და მათ ხარჯზე კინოფილმები მოძრაობის უსაფრთხობის შესახებ;

სისტემატურად გასწიოს კინოფილმებში მოძრაობის უსაფრთხობის წესების პროპაგანდა, ამავე მიზნით გამოუშვას დიაფილმები, დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების განაცხადებით;

გამოუყოს სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც შოფრების მომზადებას ახორციელებენ, მათი განაცხადებით, ასლები ფილმებისა მოძრაობის უსაფრთხობის **შესახებ.**

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა სისტემატურად აწარმოოს გადაცემები, რომლებიც გასწევენ იმის პროპაგანდას, რომ მოსახლეობამ აუცილებლად დაიცვას ქუჩაში მოძრაობის წესები.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო **კომიტეტმა:**

ა) მოაწყოს საუკეთესო (საკავშირო კონკურსში გამარჯვებული) სახელმძღვანელოს თარგმნა და გამოცემა ქართულ ენაზე III, II და I კლასის შოფრებისა და ავტომოყვარულ შოფრებისათვის. უზრუნველყოს საჭირო რაოდენობის სახელმძღვანელოების ყოველწლიურად გამოცემა შოფრებისათვის;

ბ) უზრუნველყოს ისეთი სამახსოვროების, დამხმარე ხელსაწყოების, პლაკატებისა და სხვა ნაბეჭდი გამოცემების ყოველწლიურად გამოშვება, რომლებიც გასწევენ მოძრაობის წესების დაცვის აუცილებლობის პროპაგანდას.

17. აღინიშნოს, რომ არსებული საგზაო სელექტორული კავშირი არადამაკმაყოფილებლად **მუშაობს.**

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ მიიღოს ზომები საგზაო სელექტორული კავშირის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მისი ნორმალური მუშაობის **უზრუნველყოფისათვის.**

19. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირს შეიტანონ სავაჭრო ქსელში მოსახლეობისათვის მისაყიდად მოტოციკლისტთა დამცველი ჩაფხუტები, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ შემოზიდოს ისინი საქართველოს სსრ ორგანიზაციებისა და უწყებებისათვის, აიკრძალოს 1968 წლის 1 ივლისიდან მოტოციკლებითა და მოტოროლერებით სიარული უჩაფხუტებოდ.

21. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა განიხილოს ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხობის ისეთი სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიის შექმნის საკითხი, რომლის ამოცანა იქნება: სატრანსპორტო ნაკადების შესწავლა რესპუბლიკის ქუჩებში და გზებზე, მოძრაობის ორგანიზაცია, რეგულირების ტექნიკურ საშუალებათა შემუშავება, საგზაო-სატრანსპორტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევების მიზეზებისა და გარემოებათა შესწავლა, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 26 იანვარი, № 46.

14 საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიური საბჭოს შექმნის შესახებ

საწარმოებში, ორგანიზაციებსა და საბიუჯეტო დაწესებულებებში საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხების კოორდინაციის, საბუღალტრო აღრიცხვის სრულყოფის, აღრიცხვის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვისათვის საზოგადოებრიობის მოზიდვის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიური საბჭო 29 კაცის შემადგენლობით, დანართის თანახმად[1].

2. უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით შეიტანოს ცვლილებანი საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიური საბჭოს შემადგენლობაში ამ საბჭოს ზოგიერთი წევრის გასვლასთან დაკავშირებით, აგრეთვე დაამტკიცოს დებულება საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიური საბჭოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 2 თებერვალი, № 55.

---

[1]) **დანართი არ არის მოყვანილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

15 საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 დეკემბრის № 1152 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა გააძლიერონ ყურადღება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურების საკითხებისადმი, მიიღონ ზომები ამ ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციისა და ავტობუსების, ტროლეიბუსებისა და ტრამვაის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, საქალაქო სატრანსპორტო მეურნეობაში ხარჯების შემცირებისა და მისი რენტაბელობის ამაღლებისათვის, რისთვისაც:

— შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი ყველა სახის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ამასთან უმოკლეს ვადაში დაამყარონ სათანადო წესრიგი მგზავრთა გადაყვანაში, განსაკუთრებით დილისა და საღამოს „პიკის საათებში", უფრო ეფექტიანად გამოიყენონ მოძრავი შემადგენლობის პარკი და გააუმჯობესონ მისი რემონტის ხარისხი.

— განამტკიცონ ავტობუსის პარკები, ტროლეიბუსისა და ტრამვაის დეპოები, სარემონტო ქარხნები, სატრანსპორტო სამმართველოები და კანტორები გამოცდილი კვალიფიციური კადრებით, რომლებსაც უნარი შესწევთ უზრუნველყონ სატრანსპორტო-საექსპლუატაციო სამსახურის ორგანიზაციის მაღალი დონე და გააუმჯობესონ ქალაქის მოსახლეობის მომსახურება სამგზავრო ტრანსპორტით.

— გააძლიერონ ავტობუსის პარკების, ტროლეიბუსისა და ტრამვაის დეპოების, სარემონტო ქარხნების, სატრანსპორტო სამმართველოებისა და კანტორების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მდგომარეობისათვის, საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებისა და საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის რენტაბელობის ამაღლებისათვის.

— უზრუნველყონ იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, რასაც აღგილი აქვს მგზავრებისათვის მგზავრობის საფასურის გადახდევინების ორგანიზაციის საქმეში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მგზავრთა უკონდუქტორო მომსახურებას.

2. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა უზრუნველყოს 1968-1970 წლებში:

ტრამვაისა და ტროლეიბუსის ხაზების, წევის ქვესადგურების, საკაბელო ქსელების, ტროლეიბუსის დეპოების, ავტობუსებისა და ტაქსომოტორების გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჟების და ლიანდაგის სამსახურის სახელოსნოების მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაცემა, № 1 დანართის თანახმად;

ავტობუსებისა და ტაქსომოტორების კაპიტალური რემონტის, მათი სათადარიგო ნაწილების დამამზადებელი ქარხნების, აგრეთვე საგარაჟო მოწყობილობის დამამზადებელი ქარხნის მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაცემა, № 2 დანართის თანახმად;

სპეციალური სადგომების გამოყოფა საექსპლუატაციო პერსონალისათვის ავტობუსის, ტროლეიბუსისა და ტრამვაის არსებული და ახლად მოსაწყობი ხაზების საბოლოო პუნქტებში.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ და რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ გაითვალისწინონ წლიური გეგმების პროექტებით, რომ გამოეყოთ:

საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის საექსპლუატაციო მეურნეობებს და მოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნებს აგრეგატები, კვანძები, სათადარიგო ნაწილები, მასალები, ინსტრუმენტი, ხელსაწყოები, მოწყობილობანი, მექანიზმები და სხვა ნაკეთობანი, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებანი სარემონტო-საექსპლუატაციო საჭიროებათა უზრუნველსაყოფად, ხარჯვის დამტკიცებული ნორმებისა და აღჭურვილობის ტიპობრივი ტაბელების შესაბამისად;

მიზნობრივი დანიშნულებით 1968-1970 წლებში სპეციალური და უნივერსალური ლითონმჭრელი ჩარხები და სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობა, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მშენებარე სარემონტო ქარხნების, დეპოებისა და გარაჟების აღსაჭურავად იმ ნომენკლატურისა და რაოდენობის მიხედვით, რაც აღნიშნულია საპროექტო დოკუმენტაციაში, და იმისათვის, რომ დაკომპლექტდეს და გამოიცვალოს გაცვეთილი და მორალურად მოძველებული სადაზგო მოწყობილობა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოქმედ საწარმოებში.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გაითვალისწინონ წლიური გეგმების პროექტებით კაპიტალურ დაბანდებათა და მატერიალური რესურსების გამოყოფა, რათა განვითარდეს საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტი და შეიქმნას მისთვის საწარმოო-ტექნიკური და სარემონტო ბაზა ისეთი სიმძლავრისა, რომელიც საჭიროა ამ დადგენილებით გათვალისწინებულ დავალებათა შესასრულებლად.

5. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა შეიმუშაონ 1969 წლის დამლევამდე ქალაქ ქუთაისისა, სოხუმისა, რუსთავისა და ბათუმისათვის ყველა სახეობის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის განვითარების კომპლექსური სქემები 10-15 წლისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის, ამასთან გამოყონ 5 წლისათვის ნაანგარიშევი პირველი რიგის სამუშაოები და განსაზღვრონ საინჟინერო და საგზაო-სატრანსპორტო ნაგებობათა მშენებლობის სამუშაოთა მოცულობა ამ წლებისათვის; სქემა წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შემდგომ შესათანხმებლად.

დაწესდეს, რომ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ნაგებობათა მშენებლობა და რეკონსტრუქცია უნდა წარმოებდეს ამ ქალაქებში 1970 წლიდან, დამტკიცებული სქემების მტკიცე შესაბამისობით.

6. საქართველოს სსრ სახმშენმა და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა რესპუბლიკის ქალაქების გენერალური გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინონ, რომ აუცილებლად გამოიყოს და დარეზერვდეს ტერიტორია იმისათვის, რომ აშენდეს დეპოები, გარაჟები, სარემონტო სახელოსნოები და ქარხნები, წევის გარდამქმნელი ქვესადგურები, სადგურები, ღია გასაჩერებელი ადგილები ინდივიდუალური მსუბუქი ავტომობილების ხანგრძლივ შესანახად, სატრანსპორტო მაგისტრალები ჩქაროსნული და ტრანზიტული მოძრაობისათვის, მოძრაობის განართები სხვადასხვა დონეზე და საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სხვა ობიექტები.

7. საჭიროდ ჩაითვალოს აშენდეს ქ. თბილისში 1969-1972 წლებში ცენტრალური სადისპეტჩერო სადგური ყველა სახეობის ისეთი საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრაობის კოორდინირებული მართვისათვის, რომელიც გაწყობილია კავშირგაბმულობის, ავტომატიკის, ტელემექანიკისა და ტელევიზიის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით.

დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიმდინარე წლის 1 ივლისამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი წინადადებანი დაპროექტების, მშენებლობისა და დაფინანსების ვადების შესახებ.

8. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ (მოწვევა), საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ მოეწყოს რესპუბლიკაში რკინა-ბეტონის შპალებისა და საკონტაქტო ქსელის საყრდენების დამზადება იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს საქალაქო და სამგზავრო ელექტროტრანსპორტის განვითარების ამ დადგენილებით დაწესებულ დავალებათა შესრულებას.

9. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით, 1968 წლის 1 აპრილამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქნას ცდის სახით ცალკეულ მეურნეობებში ავტობუსების, ტროლეიბუსების და ტრამვაის მძღოლებისა და კონდუქტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისათვის, რომლებიც საქალაქო რეგულარულ სამგზავრო ხაზებზე მუშაობენ, ისეთი სამუშაო დღე, რომელიც ცვლის შიგნით გაიყოფა ორ ნაწილად და რისთვისაც მიეცემათ დანამატი ნამუშევარი დროისათვის თვითეულ ცვლაში სამუშაოზე ორი გამოსვლით სატარიფო განაკვეთის 30 პროცენტამდე, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ ასეთი ცვლების რაოდენობა ერთ მომუშავეზე არ უნდა აღემატებოდეს ცვლების თვიური რაოდენობის 20 პროცენტს, რაც გათვალისწინებულია გრაფიკით მოცემული მძღოლისა და კონდუქტორისათვის. მუშაობის ამ რეჟიმზე გადაყვანა შეიძლება მოხდეს მუშაკის თანხმობით, ხოლო შიგაცვლის შესვენების დრო სამუშაო დროში არ ჩაითვლება.

10. გაუდიდდეთ 1968 წლის 1 იანვრიდან საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებული ოდენობა პრემიებისა ქ. თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის მეურნეობებში (რომლებიც არ არიან გადაყვანილი დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე):

ავტობუსების, ტროლეიბუსების და ტრამვაის მძღოლებს ყოველ რეისში, რომელიც შესრულებულია გარბენის ცხრილით (გრაფიკით ან მოცემულ დროში) — იმ თვიური სატარიფო განაკვეთის ნაწილის 40 პროცენტამდე, რაც მოცემული რეისისათვის ერგება;

ავტობუსების, ტროლეიბუსების და ტრამვაის კონდუქტორებს — ზეგეგმიური ამონაგების 5 პროცენტამდე. აღნიშნულ კონდუქტორებს პრემია მიეცემათ იმ პირობით, თუ მათ შეასრულეს ამონაგების გეგმა, რომელიც კორექტირებულია ხაზზე ფაქტიურად ნამუშევარი დროის თანახმად.

ამ პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებანი განხორციელდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ხელფასის ფონდების ფარგლებში ისე, რომ არ იქნას გამოყოფილი დამატებითი სახსრები. მეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების ღონისძიებათა გატარების ხარჯზე, მმართველობის სტრუქტურის სრულყოფის, მოძრავი შემადგენლობის უკეთ გამოყენებისა და სიჩქარეთა გადიდების, ხაზზე დანაკარგების შემცირებისა და სხვა ღონისძიებათა განხორციელების გზით.

11. იმ მიზნით, რომ დაუწესდეთ შრომის საზღაური ამონაგების პროცენტულად იმ მუშაკებს, რომლებსაც სამუშაოზე იღებენ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებში სააბონენტო ტალონებისა და სეზონური ბილეთებას გასაყიდად, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით, ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება, რათა შეთანხმებულ იქნას იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან.

12. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს აღმასკომმა ორი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ მოეწყოს საქართველოს სსრ ქალაქებისათვის ტრამვაისა და ტროლეიბუსების კაპიტალური რემონტი.

13. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1968 წლის 1 აპრილამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ დაჯილდოებულ იქნან საქალაქო სამგზავრო ტარნსპორტის გეგმიან-საზარალო საწარმოების მუშაკები გეგმიანი ზარალის შემცირებისათვის დაწესებულ ნორმატივებთან შედარებით (იმ პირობით, თუ შესრულებულია მოცემული ხარისხობრივი მაჩვენებლები), ამასთან გაითვალისწინონ, რომ ამ მიზნებისათვის წარიმართება ზარალიანობის დონის შემცირებისაგან მიღებული ეკონომიის თანხის 60 პროცენტამდე.

14. საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მუშაკთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გაითვალისწინონ წლიური გეგმებით საცხოვრებელი სახლების, საერთო საცხოვრებლების და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის დავალებანი საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მუშაკთა უზრუნველსაყოფად.

15. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა უზრუნველყონ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მუშაკთა მოსამზადებელი კურსები სასწავლო-საწარმოო სადგომებით და მოაწყონ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ყველა დიდ საწარმოში გაწყობილი ტექნიკური კაბინეტები და სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები ამ საწარმოების მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ახალი საწარმოების მშენებლობის პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით გაითვალისწინონ საჭირო ფართობები ტექნიკური კაბინეტებისა და სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებისათვის, აგრეთვე მათი გაწყობისათვის საჭირო სახსრები.

16. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1967 წლის 26 დეკემბრის № 1152 დადგენილებით „საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ“ დაავალა:

— რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს — უზრუნველყოს, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, ტრამვაის, ტროლეიბუსებისა და მეტროპოლიტენების ტექნიკური ექსპლუატაციის მოქმედი წესების გადამუშავება 1967-1968 წლებში მეცნიერე-

მ. ჯავახიშვილის ბიბლიოთეკა

ბისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების გათვალისწინებით, აგრეთვე ავტობუსების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შემუშავება და დამტკიცება.

— სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — გაითვალისწინოს წლიური გეგმებით კაპიტალურ დაბანდებათა და მატერიალური რესურსების გამოყოფა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის განვითარებისა და მისთვის საწარმოო-ტექნიკური და სარემონტო ბაზის შექმნისათვის ისეთი სიმძლავრით, რაც საჭიროა ამ დადგენილებით გათვალისწინებულ დავალებათა შესასრულებლად.

— ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების სამინისტროს — შეიმუშაოს 1968-1971 წლებში რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს დავალებით საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრაობის ავტომატური კონტროლის, ამ მოძრაობის რეგისტრაციისა და მისი დისპეტჩერული მართვის აპარატურა და მოაწყოს, 1971 წლიდან დაწყებული, ამ აპარატურის სამრეწველო წარმოება.

— სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს — გამოყოს სადისპეტჩერო კავშირისა და საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრაობის კონტროლის ავტომატიზაციის უზრუნველსაყოფად დიდ ქალაქებში კავშირის არხები საქალაქო აღმასკომების განაცხადებით.

17. ეცნობოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 დეკემბრის № 1152 დადგენილებით „საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ“:

— იმ სამრეწველო საწარმოებს და სამშენებლო ორგანიზაციებს, რომელთა საცხოვრებელი მასივები და საწარმოო ობიექტები დაშორებულია საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის საერთო ხაზებს, უფლება ენიჭებათ დადონ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის საწარმოებთან ხელშეკრულებანი იმის შესახებ, რომ მოეწყოს აღნიშნულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებისათვის სპეციალური სატრანსპორტო მარშრუტები იმ ვარაუდით, რომ დაიფაროს დამატებითი ხარჯები ასეთი მარშრუტების ექსპლუატაციის ზარალიანობის შემთხვევაში;

— ნება დაერთოთ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებს აძლიონ დანამატი სტაჟიორთა მიერ სტაჟის გავლის პერიოდში სამგზავრო ხაზებზე მათი ხელმძღვანელობისათვის ავტობუსებისა და ტროლეიბუსების პირველი და მეორე კლასის მძღოლებს 15 კაპიკი საათში და ტრამვაის პირველი და მეორე კლასის მძღოლებს — 10 კაპიკი საათში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 8 თებერვალი, № 65.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის სამმართველოსა და მის საწარმოებში სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების გამოყენების თავისებურებათა შესახებ

შესაბამისად სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულებისა (პუნქტი 3), რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაწესდეს, რომ თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის სამმართველოსა და მის დამოუკიდებელ საწარმოებში, რომლებიც ჩამოთვლილია ამ დადგენილების დანართში, სოციალისტურ სახელმწიფო საწარმოს დებულება გამოყენებული იქნება შემდეგ თავისებურებათა გათვალისწინებით:

მოძრავი შემადგენლობის, ექსკალატორების, ლიანდაგის ზედა აღნაგობის, მიწის ვაკისისა და ნაგებობათა ღირებულების საამორტიზაციო ანარიცხებს, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური რემონტისათვის, გადაანაწილებს მეტროპოლიტენის სამმართველო;

კაპიტალურ მშენებლობას და ძირითადი ფონდების რეკონსტრუქციას, რომლებიც ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ხორციელდება, აწარმოებს მეტროპოლიტენის სამმართველო;

შრომის დაცვის, უსაფრთხობის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის უზრუნველყოფის სამუშაოთა სატიტულო სიებს დაამტკიცებს მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსი პროფკავშირის გაერთიანებულ ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით;

ძირითადი საქმიანობის ხაზით სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ახორციელებს მეტროპოლიტენის სამმართველო;

მორალურად მოძველებული, გაცვეთილი და შემდგომ გამოსაყენებლად უვარგისი მოძრავი შემადგენლობის, მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებათა ჩამოწერას ბალანსიდან აწარმოებს მეტროპოლიტენის სამმართველო.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ორი კვირის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად თბილისის მეტროპოლიტენის წესდება, სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების გამოყენების თავისებურებათა გათვალისწინე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით, და დაამტკიცოს იმ საწარმოთა წესდებანი, რომლებსაც მეტროპოლიტენის სამმართველო აერთიანებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 8 თებერვალი, № 66.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 8 თებერვლის № 66
დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის საწარმოებისა, რომლებშიაც გამოყენებულია დებულება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ

1. მეტროპოლიტენის სამმართველო
2. მოძრაობის სამსახური
3. მოძრავი შემადგენლობის სამსახური
4. ლიანდაგისა და სანტექნიკის სამსახური
5. გვირაბთა, შენობათა და ნაგებობათა სამსახური
6. ექსკალატორების, ელექტროქვესადგურებისა და ქსელების სამსახური
7. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის, ბლოკირებისა და კავშირის სამსახური
8. გაერთიანებული სახელოსნოები
9. ელექტროდეპო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

17 საქართველოს სსრ სახელმწიფო ნაკრძალების მოვლა-დაცვის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაუმჯობესდა სახელმწიფო ნაკრძალების დაცვა და შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.

რესპუბლიკის 14 სახელმწიფო ნაკრძალში, რომლებსაც უჭირავს 86 ათასი ჰექტარი ფართობი, გეგმაზომიერად ტარდება ღონისძიებათა კომპლექსი ფლორისა და ფაუნის შენარჩუნებისა და კვლავწარმოებისათვის, ამასთან ერთად ამაღლდა სამეცნიერო-საკვლევი თემების შესწავლის დონე.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის კომისიის შემოწმებით გამოვლინდა, რომ სახელმწიფო ნაკრძალებში ჯერ კიდევ ვხვდებით ტყის თვითნებურ ჭრას, პირუტყვის უნებართვო ძოვებას, ნადირობის წესების დარღვევებსა და სხვა ნაკლოვანებებს, რაც იმის შედეგია, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი ჯეროვან ზომებს არ იღებდა სანაკრძალო რეჟიმის დამრღვევთა მიმართ, რომელთა წინააღმდეგ ენერგიულად არ იბრძვის აგრეთვე მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო.

1967 წელს მოსახლეობის მიერ უნებართვოდ მოჭრილია: რიწის სახელმწიფო ნაკრძალში 32 კუბური მეტრი ხე-ტყე; ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალში — 11 კუბური მეტრი, ხოლო ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალში, რომელიც შედარებით უკეთ დაცულ ნაკრძალადაა მიჩნეული, 1965-66 წლებში იყო თვითნებურად ჭრის 18 შემთხვევა და უნებართვო ნადირობის 7 შემთხვევა.

ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის № 21 კვარტალში ბორჯომის ხორცკომბინატის მწყემსმა შეუშვა კომბინატის 800 სულამდე ცხვარი, რის შედეგად 1,5 ჰექტარ ფართობზე მთლიანად განადგურდა 2-წლიანი ფიჭვის კულტურა. ამ სახელმწიფო ნაკრძალში სისტემატურად აძოვებენ პირუტყვს დვირის, ქვაბისხევის, ჭობისხევის, ყვიბისისა და რველის კოლმეურნეობები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 სექტემბრის № 611 დადგენილებით ნაკრძალებში აკრძალულია ძოვება, ახმეტის რაიონის ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა და ზოგიერთი კოლმეურნეობა სისტემატურად უნებართვოდ აძოვებენ პირუტყვს ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალის პანტიშარის მასივში და ამით ზიანს აყენებენ ნაკრძალს.

მსგავსი შემთხვევებია აგრეთვე აჯამეთის, ბიჭვინთა-მიუსერის, ლაგოდეხის, რიწისა და კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალებში.

1967 წელს ირემზე უნებართვო ნადირობისათვის ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალში დაკავებულ იქნა ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ვახანში მცხოვრები ე. სხილაძე, უ. ჭიქავა, ა. ფერაძე და ბ. ლაცაბიძე, რომელთა მიმართ შედგენილი საქმე 1967 წლის 4 ოქტომბერს გადაეგზავნა ბორჯომის რაიმილიციის განყოფილებას, მაგრამ დამნაშავენი დღემდე არ დაუსჯიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადირობის წესების დარღვევები გამოვლინებულია აგრეთვე ლაგოდეხის, საგურამოს, რიწის, ბაწარა-ბაბანაურისა და სხვა სახელმწიფო ნაკრძალებში.

შემოწმებით დადგენილია, რომ ზოგიერთი ორგანიზაცია, რომელიც მიზნობრივად დაშვებულია სახელმწიფო ნაკრძალებში საძიებო სამუშაოების ჩასატარებლად, უხეშად არღვევს ნაკრძალში მუშაობის წესებს. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველო. ამ სამმართველოს გეოლოგიურმა პარტიამ რიწის სახელმწიფო ნაკრძალში არ ამოავსო მის მიერ გათხრილი ღრმა ორმოები, რაც საფრთხეს უქმნის როგორც ფაუნას, ისე იქ მოსიარულე ადამიანებს; ლაგოდეხისა და რიწის სახელმწიფო ნაკრძალებში მძლავრ აფეთქებათა შედეგად მოხდა იმ ადგილებში მობინადრე ფაუნის გადანაცვლება-მიგრაცია, ამასთან გეოლოგიური პარტიის მუშაკები არ იცავენ სახანძრო უშიშროების წესებს: ტყეში უნებართვოდ ანთებენ ცეცხლს, რომელსაც ჩაუქრობლად სტოვებენ, რის შედეგადაც რიწის სახელმწიფო ნაკრძალში გაჩნდა ხანძარი.

იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთი სახელმწიფო ნაკრძალი საკურორტო და ტურისტულ ზონებშია მოქცეული, დამსვენებლები და ტურისტები სახელმწიფო ნაკრძალებში ღამის გასათევ თავშესაფარ კარვების მოსაწყობად ხშირად ჩეხავენ ტყეს, ანთებენ ცეცხლს და არღვევენ ნაკრძალის წესებს, ხოლო დამნაშავეთა მიმართ სახელმწიფო ნაკრძალების დაცვის პერსონალი არ იღებს საჭირო ზომებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველომ რესპუბლიკის სახელმწიფო ნაკრძალების პოპულარიზაციის საქმეში ჯერ კიდევ ფართოდ ვერ ჩაება მეცნიერები, მწერლები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები. ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ რედაქცია იშვიათად აქვეყნებს ნაკრძალებთან დაკავშირებულ საყურადღებო მასალებს.

რესპუბლიკის სახელმწიფო ნაკრძალების დაცვის გაძლიერებისა და აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს გადაჭრით გააძლიეროს ხელმძღვანელობა რესპუბლიკის სახელმწიფო ნაკრძალების მუშაობისადმი, შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ნაკრძალების ფლორისა და ფაუნის დაცვისა და აღდგენის მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესებას, რისთვისაც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სრულიად აღკვეთოს სახელმწიფო ნაკრძალებში უნებართვო ტყის ჭრა, პირუტყვის ძოვება და ნადირობა, ხოლო წესების დამრღვევ პირთა მიმართ მიიღოს მკაცრი ზომები.

ბ) 1968-70 წლებში ჩაატაროს და დაამთავროს იმ ნაკრძალების პირველი თანრიგით მოწყობა, რომლებიც მოუწყობელია ან მოწყობის სარევიზიო ვადები გასულია. ამასთან, სახელმწიფო ნაკრძალების მუშაობა წარმართოს დამტკიცებული პერსპექტიული გეგმების სრული შესაბამისობით;

გ) გააძლიეროს ბიოტექნიკურ ღონისძიებათა შესრულება და მკაცრი კონტროლი გაუწიოს სამეცნიერო-საკვლევი თემების დადგენილ ვადებში ხარისხიანად შესრულებას;

დ) გააუმჯობესოს ტყის ფიტო და ენტო მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოები, განსაკუთრებით გააძლიეროს ბრძოლა ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალში — ლაფანჭამიას, ხოლო აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალში — ხარაბუზას წინააღმდეგ;

ე) ყოველწლიურად მოამზადოს გამოსაცემად ნაკრძალებში შესრულებული სამეცნიერო თემების კრებული და ცალკეული ნაკრძალების მეგზურები.

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს და იმ რაისაბჭოს აღმასკომებს, რომელთა ადმინისტრაციულ ტერიტორიებზედაც განლაგებულია სახელმწიფო ნაკრძალები, სისტემატურად განიხილონ ნაკრძალების მუშაობის საკითხები და ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ მათ სანაკრძალო წესების დაცვის საქმეში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიის სამმართველოს მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა სახელმწიფო ნაკრძალებში დაშვებულმა გეოლოგიურმა პარტიებმა გათვალისწინებულ ვადებში დაამთავრონ საძიებო სამუშაოები და მკაცრად დაიცვან ნაკრძალის რეჟიმი (აღკვეთონ ნაკრძალში ხის მოჭრა, ნადირობა, ცეცხლის დანთება, გათხრების შემდეგ ამოავსონ ორმოები და სხვა).

4. დაევალოს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს დაუყოვნებლივ შეასრულოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 8 მაისის № 561 განკარგულება და 1966 წლის 30 ივლისის № 460 დადგენილება ბიჭვინთის ტერიტორიიდან უნებართვოდ ჩასახლებული ორგანიზაციების გაყვანის შესახებ.

5. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ პროკურატურამ და საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ მიიღონ ქმედითი ზომები სახელმწიფო ნაკრძალებში წესების დამრღვევ პირთა საქმეების დროულად გამოძიებისა და გარჩევის შესახებ.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა ყოველწლიურად გაითვალისწინოს ნაკრძალების სამეცნიერო შრომათა კრებულისა და ცალკეული ნაკრძალის მეგზურის გამოცემა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს დაკვეთით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა პერიოდულად მოაწყოს გადაცემები საქართველოს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის საკითხებზე.

7. დამტკიცდეს თანდართული დებულება „საქართველოს სსრ სახელმწიფო ნაკრძალების შესახებ". ამასთან დაკავშირებით გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 სექტემბრის № 611 დადგენილებით დამტკიცებული დებულება „საქართველოს სსრ სახელმწიფო ნაკრძალების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 9 თებერვალი, № 69.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 9 თებერვლის № 69
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ სახელმწიფო ნაკრძალების შესახებ

I. ზოგადი ნაწილი

1. სახელმწიფო ნაკრძალებად ჩაითვლებიან განსაკუთრებული სამეურნეო, სამეცნიერო ან კულტურული ღირებულების მქონე მიწის ნაკვეთები და წყლის სივრცეები, აგრეთვე იშვიათი ძვირფასი ცხოველებისა და მცენარეთა არეალები, რომელთა ბუნებრივი სიმდიდრენი გამოიყენება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად სახალხო მეურნეობის პრაქტიკული ინტერესებისათვის.

სახელმწიფო ნაკრძალთა ტყეები მიეკუთვნება პირველი ჯგუფის ტყეებს, ტყის მეურნეობის წარმოების განსაკუთრებული რეჟიმით.

2. სახელმწიფო ნაკრძალების მოწყობა და ტერიტორიის განსაზღვრა ხდება საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებით მოქმედი წესების დაცვით.

3. სახელმწიფო ნაკრძალების ტერიტორია, ამ ტერიტორიაზე არსებული ბუნების მთელი ობიექტებით შეადგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო ნაკრძალის ფონდს და თანახმად საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ 1958 წლის 28 ნოემბრის კანონისა გამოირიცხება სამეურნეო ექსპლუატაციიდან. მისი გამოყენება სხვა მიზნებისათვის შეიძლება განსაკუთრებულ შემთხვევაში, მხოლოდ საქართველოს სსრ მთავრობის საგანგებო გადაწყვეტილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სახელმწიფო ნაკრძალები იმყოფებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს უშუალო გამგებლობაში.

5. სახელმწიფო ნაკრძალებში ტარდება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, პირველ რიგში სოფლის, ტყის და სანადირო მეურნეობის თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.

6. სახელმწიფო ნაკრძალები:

ა) იცავენ თავიანთ ტერიტორიას მასზე არსებული მთელი ბუნებრივი სიმდიდრეებით და უზრუნველყოფენ სათანადო რეჟიმის დაცვას ნაკრძალ მეურნეობაში;

ბ) აწარმოებენ ნაკრძალის სატყეო ფონდის, დასაცავ ცხოველთა და ძვირფას მცენარეთა აღრიცხვას.

II. სახელმწიფო ნაკრძალების ამოცანები

7. სახელმწიფო ნაკრძალებს ეკისრებათ შემდეგი ამოცანების შესრულება:

ა) ნაკრძალებისა და მათი მომიჯნავე რაიონების ფლორისა და ფაუნის დაცვა და გამდიდრება;

ბ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს მიერ დამტკიცებული გეგმების თანახმად;

გ) მოცემული გეოგრაფიული ზონის ან რაიონისათვის ბუნების ყველაზე ტიპობრივი ნაკვეთების, აგრეთვე ბუნების უნიკალური ობიექტების ბუნებრივ მდგომარეობაში შენარჩუნება;

დ) იმ იშვიათი მცენარეებისა და ცხოველების მარაგის დაცვა და აღდგენა, რომლებიც განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენენ სამეურნეო ან კულტურული თვალსაზრისით;

ე) სამეურნეო ღირებულების თვალსაზრისით ძვირფას გარეულ ცხოველთა და მცენარეთა რეზერვატების შექმნა, მათი გამრავლება და განახლება მეურნეობრივად გამოსაყენებელ ტერიტორიაზე;

ვ) ნაკრძალის ტიპობრივი ბუნებრივი კომპლექსების შენარჩუნება და აღდგენა;

ზ) იმ ნადირ-ფრინველისა და მცენარეების შესწავლა, ო

ლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობისათვის, აგრეთვე გარემოსთან მათი ურთიერთ დამოკიდებულებისათვის;

თ) სანადირო-სარეწაო ფაუნის რაოდენობრივი აღრიცხვის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების, მისი გადიდების, გამდიდრებისა და ყველაზე მიზანშეწონილად გამოყენების ხერხების შემუშავება და გამოცდა;

ი) გარეულ მცენარეთა და ცხოველთა სასარგებლო თვისებების, მათი გამრავლებისა და სახალხო მეურნეობის პრაქტიკული ინტერესებისათვის გამოყენების საშუალებათა გამოვლინება;

კ) ფრინველის დარგოლვა და მხეცების ნიშანდება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ) ნაკრძალის ტყეების დაცვა, მათი მოვლა, აგრეთვე ტყის ფართობების გაწმენდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს ნებართვით;

მ) ნაკრძალთა ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობა;

ნ) ნაკრძალის ტერიტორიაზე სხვა ორგანიზაციების მიერ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარების ხელის შეწყობა;

ო) სახელმწიფო ნაკრძალების ტერიტორიაზე ექსკურსიების ჩატარება და მშრომელთა ტურიზმისათვის ხელის შეწყობა;

პ) ხანძარსაწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა გატარება და ხანძართან ბრძოლა;

ჟ) ტყეში მავნე მწერებისა და ტყის დაავადებათა გამოვლინების დროული შეტყობინება.

III. სახელმწიფო ნაკრძალების რეჟიმი

8. სახელმწიფო ნაკრძალების ტერიტორიაზე აკრძალულია:

ა) ყოველგვარი ნადირობა, თევზჭერა, კვერცხისა და ბუმბულის შეგროვება, რაიმე საშუალებებით გარეული ცხოველებისა და ფრინველების დაჭერა და მოსპობა, მათი ბუდეების, სოროებისა და სხვა საცხოვრებლებისა და ნაგებობათა დანგრევა და დაშლა;

ბ) მერქნის დამზადება, საქონლის ძოვება, კოცონების დანთება, თივის, სამკურნალწამლო მცენარეების, კენკრის, თესლების, ნაყოფებისა და სოკოების დამზადება, ხეების, ბუჩქების და სხვა მცენარეთა დაზიანება;

გ) წიაღისეულის მოპოვება, გრუნტების ამოღება, ასაფეთქებელი, გეოლოგიური და სხვა საძიებო სამუშაოები, აგრეთვე ნაკრძალის ბუნებრივი მდგომარეობის დარღვევის ყველა ფორმები;

დ) სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ამ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების მოსათავსებლად ნაგებობათა აშენება, აგრეთვე ისეთი ობიექტების აგება, რომლებიც ნაკრძალის საქმიანობასთან არ არიან დაკავშირებული.

სახელმწიფო ნაკრძალთა რეჟიმის დამრღვევნი პასუხისგებაში მიეცემიან დადგენილი წესის თანახმად.

უკანონო მოქმედებებით სახელმწიფო ნაკრძალებისათვის მიყენებული ზარალი გამოიანგარიშება დამტკიცებული ნიხრებისა და ოდენობის მიხედვით და დამნაშავეს გადახდება დადგენილი წესით;

9. კერძო პირებმა შეიძლება იმგზავრონ და იარონ სახელმწიფო ნაკრძალების ტერიტორიაზე მხოლოდ საერთო სარგებლობის გზებზე, ხოლო ნაკრძალის ტერიტორიის სხვა უბნებზე — ნაკრძალის დირექციის ნებართვით.

10. ნაკრძალის ტერიტორიაზე იარაღით, ძაღლებით, სანადირო ფრინველებით, ბადეებით, აგრეთვე ნადირობისა და თევზჭერის სხვა იარაღებით, ან ნადირობითა და თევზჭერით მოპოვებული პროდუქციით ყოფნა ნადირობასა და თევზჭერას ეთანაბრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადირობისა და თევზჭერის იარაღი, აგრეთვე დამრღვევის მიერ მოპოვებული პროდუქცია ჩამოერთმევა მას ღირებულების აუნაზღაურებლად.

ნადირობისა და თევზჭერის იარაღი ინახება ნაკრძალში დამრღვევის პასუხისგების საკითხის გადაწყვეტამდე, ხოლო დამრღვევის მიერ მოპოვებული პროდუქციის რეალიზაცია მოხდება დადგენილი წესით.

11. ნაკრძალში დარღვეული ბუნებრივი პროცესების აღდგენისა და მისი ძირითადი ამოცანების განხორციელებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველომ შეიძლება დაუშვას ნაკრძალში შემდეგ ღონისძიებათა ჩატარება:

ა) ცხოველებისა და ფრინველების მოპოვება, აგრეთვე თევზჭერა მათი რიცხობრივობის რეგულირების მიზნით, ამასთან, აგრეთვე, როგორც გამონაკლისი, სამეცნიერო-საკვლევი მიზნებისათვის;

ბ) მცენარეული და ცხოველთა სამყაროს ძირითადი ობიექტების უკეთ შენარჩუნების უზრუნველყოფისათვის და მათ საარსებოდ ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის საჭირო ბიოტექნიკურ ღონისძიებათა გატარება;

გ) მიწის ნაკვეთების გამოყენება ექსპერიმენტული სამუშაოების ჩატარებისა და სალაბორატორიო, საცხოვრებელი და სამეურნეო, აგრეთვე ნაკრძალის სხვა სამეურნეო მიზნებისათვის საჭირო ნაგებობათა აშენება;

დ) სამეცნიერო გამოკვლევებისათვის და ნაკრძალის ბუნებრივი კომპლექსის გამდიდრებისათვის ბალახებისა და მერქნიან ბუჩქნარ ჯიშთა თესლების ან მათი ფესვების შეგროვება;

ე) საჭიროების შემთხვევაში, დაიშვება სანიტარული და ტყის მოვლითი ჭრა და ხანძრისაგან ან სხვა სტიქიური უბედურებისაგან დაზიანებულ ნაკვეთებზე ტყის ხელოვნური ან ბუნებრივი აღდგენისათვის ხელის შემწყობი სამუშაოები.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს ნებართვით, თვით ნაკრძალის სამეურნეო საჭიროების დასაკმაყოფილებლად, წარმოებს მიწის ნაკვეთების გამოყოფა სახელმწიფო ნაკრძალთა ტერიტორიაზე.

13. სახელმწიფო ნაკრძალებში სავალდებულო წესით ტარდება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი და მავნე მწერებთან და ტყის დაავადებასთან ბრძოლა.

14. სახელმწიფო ნაკრძალებში შეიძლება გამოიყოს ნაკვეთები, რომლებშიაც მთლიანად გამოირიცხება ბუნებრივ პროცესებში ადამიანის ჩარევა.

ამ ნაკვეთების სიდიდე განისაზღვრება მთელი ბუნებრივი კომპლექსის ბუნებრივ მდგომარეობაში შენარჩუნების ინტერესებით.

IV. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სახელმწიფო ნაკრძალებში

15. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სახელმწიფო ნაკრძალებში ტარდება სახელმწიფო ნაკრძალების მიერ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებით.

16. სახელმწიფო ნაკრძალებში ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მონაცემები გამოიყენება:

ა) აღრიცხვის, კვლავწარმოების, გამდიდრების (რეაკლიმატიზაციის გზით) და ცხოველთა და მცენარეული რესურსების სახალხო მეურნეობაში რაციონალური გამოყენების მეთოდების გამომუშავებისათვის;

ბ) ნაკრძალის მოსაზღვრე ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსების სამეურნეო გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრისა და შედეგების გამოვლინებისათვის;

გ) ნაკრძალების ტერიტორიების ბუნებრივი კომპლექსების ბუნებრივ მდგომარეობაში შენარჩუნების ღონისძიებათა დამუშავებისათვის;

დ) ზიანის მიმყენებელ ცხოველებთან, მწერებთან და მცენარეებთან ბრძოლის, პირველ რიგში ბიოლოგიური მეთოდების გამომუშავებისათვის;

ე) იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგომ ცხოველთა და მცენარეთა დაცვის, აღდგენისა და გამრავლების ღონისძიებათა დამუშავებისათვის;

ვ) გარეულ ცხოველთა რიცხობრივობის შეცვლის და მცენარეთა მოსავლიანობის განმაპირობებელ მიზეზთა დადგენა მათი ყოველწლიური პროგნოზირების მიზნით;

ზ) ბუნებაში მიმდინარე პროცესებზე არსებულ სამეცნიერო ცოდნათა პრაქტიკული მასალის გამდიდრებისათვის.

17. სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს სახელმწიფო ნაკრძალებში ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში ან მისი შემცვლელი პირი.

18. სახელმწიფო ნაკრძალებში არსდება სამეცნიერო საბჭოები, რომელთა შემადგენლობას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო ამტკიცებს.

სამეცნიერო საბჭოს ეკისრება:

ა) ნაკრძალში სამეცნიერო გამოკვლევათა პროგრამებისა და მეთოდიკის განხილვა და სამმართველოს უფროსისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ბ) მეცნიერ მუშაკთა ანგარიშების განხილვა პროგრამებისა და კალენდარული გეგმების შესაბამისად;

გ) დასაბეჭდად გამზადებული სამეცნიერო შრომებისა და გამოკვლევების შედეგების პრაქტიკულად გამოყენების საკითხების განხილვა;

დ) რესპუბლიკის ნაკრძალებსა და ქვეყნის სხვა ნაკრძალებში სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვა.

19. შრომებს ნაკრძალებში შესრულებული სამეცნიერო გამოკვლევების შედეგების შესახებ ამზადებს გამოსაცემად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

V. სახელმწიფო ნაკრძალების მართვა-გამგეობა

20. სახელმწიფო ნაკრძალები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ ამ დებულების შესაბამისად და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს მიერ თითოეული ნაკრძალისათვის, მისი თავისებურების გათვალისწინებით, დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

21. სახელმწიფო ნაკრძალებს სათავეში უდგანან დირექტორები, რომლებსაც დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო.

22. სახელმწიფო ნაკრძალთა დაცვის პერსონალი მოქმედებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულების საფუძველზე „სახელმწიფო ნაკრძალთა დაცვის შესახებ“ და სარგებლობს სსრ კავშირის სახელმწიფო ტყის დაცვის ყველა უფლებით.

23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს მუშაკებს და სახელმწიფო ნაკრძალების მუშაკებს (გარდა საანგარიშო და ტექნიკური პერსონალისა) ნება ეძლევათ ატარონ რევოლვერი, ხოლო ნაკრძალების მცველებს — კარაბინი. იარაღის გაცემა, ტარება, შენახვა და გამოყენება ხდება დადგენილი წესების შესაბამისად.

24. სახელმწიფო ნაკრძალები იმყოფებიან რესპუბლიკურ ბიუჯეტზე.

25. სახელმწიფო ნაკრძალების ლიკვიდაცია წარმოებს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებით.

26. სახელმწიფო ნაკრძალებს აქვთ ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და სათანადო ნაკრძალის დასახელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 აგვისტოს № 476 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს დებულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ.

დებულების მე-19 პუნქტიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „შტატის ბუღალტერ-ექსპერტების მუშაობისათვის წარდგენილი ანგარიშებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო“ და მე-19 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„19. სახსრებს, რაც ბიუროს ან მის ფილიალებს ერგებათ შტატგარეშე ბუღალტერ-ექსპერტების მუშაობისათვის, გადარიცხავენ წარდგენილი ანგარიშებით სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს სპეციალური სახსრების მიმდინარე ანგარიშზე:

ა) საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები სისხლის სამართლის საქმეებზე — მათთვის ამ მიზნით გამოყოფილი თანხებიდან, ხოლო სამოქალაქო საქმეებზე — იმ თანხებიდან, რომლებსაც მხარეები შეიტანენ;

ბ) არბიტრაჟის ორგანოებში გადასაწყვეტ საქმეებზე — არბიტრაჟი, იმ სახსრებიდან, რომლებსაც მისი გადაწყვეტილებებით გადაახდევინებენ რომელიმე მხარეს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 15 თებერვალი, № 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19 უსინათლო ინვალიდებისათვის ტრანსპორტით სარგებლობის დამატებითი შეღავათების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 8 თებერვლის № 86 დადგენილებით „უსინათლო ინვალიდებისათვის ტრანსპორტით სარგებლობის დამატებითი შეღავათების მინიჭების შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 9 მარტის № 399 დადგენილების დამატებით, უფლება ენიჭებათ უსინათლო ინვალიდებს უფასოდ იმგზავრონ საგარეუბნო მიმოსვლის სარკინიგზო ტრანსპორტით და შიდასაქალაქო და საგარეუბნო მიმოსვლის წყალთა ტრანსპორტით (გადასასვლელთა ჩათვლით), აგრეთვე საგარეუბნო და შიდასარაიონო ხაზების ავტობუსებით.

უსინათლო ინვალიდები აღნიშნული სახეობის ტრანსპორტით უფასო მგზავრობის უფლებით სარგებლობენ უსინათლოთა საზოგადოების საწევრო ბილეთების წარდგენისას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 20 თებერვალი, № 81.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

20 განკარგულება № 14-გ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 დეკემბრის № 1142 დადგენილება „სსრ კავშირის ვეტერინარული წესდების დამტკიცების შესახებ“ და სსრ კავშირის ვეტერინარული წესდება დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 3 იანვარი, № 14-გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 1142

1967 წლის 22 დეკემბერი

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის ვეტერინარული წესდების დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის თანდართული ვეტერინარული წესდება და შემოღებულ იქნას იგი სამოქმედოდ 1968 წლის 1 იანვრიდან.

2. დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას მოამზადონ დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ, სსრ კავშირის ახალი სავეტერინარო წესდების დამტკიცებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 22 დეკემბრის № 1142
დადგენილებით

სსრ კავშირის ვეტერინარული წესდება

განაყოფი I

სავეტერინარო სამსახური სსრ კავშირში და მისი ამოცანები

1. სავეტერინარო სამსახურს სსრ კავშირში ახორციელებენ:

სახელმწიფო ვეტერინარიის ორგანიზაციები და დაწესებულებები — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების, სოფლის მეურნეობის სამხარეო, საოლქო სამმართველოების სავეტერინარო ორგანოები და მათს გამგებლობაში არსებული ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი სადგურები (რაიონული ვეტერინარული სადგურები), ვეტერინარული საავადმყოფოები, უბნები, ლაბორატორიები, ხორცის, რძისა და კვების საკონტროლო სადგურები და სახელმწიფო სავეტერინარო ქსელის სხვა ორგანიზაციები და დაწესებულებები;

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების ვეტერინარი ექიმები და ვეტერინარი ფერშლები, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების სავეტერინარო ორგანიზაციები და დაწესებულებები.

სახელმწიფო ვეტერინარიის ორგანიზაციები და დაწესებულებები ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს ყველა იმ საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების მიმართ (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად), რომლებიც მდებარეობენ სახელმწიფო ვეტერინარიის შესაბამისი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოქმედების ზონაში.

2. სსრ კავშირში ვეტერინარული სამსახურის ამოცანებია:

ცხოველთა (ფრინველების, ბეწვიანი ნადირის, ზოოპარკის ცხოველების, თევზისა და ფუტკრის ჩათვლით) გადამდები და არაგადამდები სნეულების თავიდან აცილება და ლიკვიდაცია კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე მოქალაქეთა მეურნეობებში;

ისეთ ვეტერინარულ ღონისძიებათა ორგანიზაცია და გატარება, რომელთა მიზანია მეცხოველეობის განვითარებისა და პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ამაღლების გეგმების შესრულება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ;

ცხოველური წარმოშობის ვეტერინარულ-სანიტარული მხრივ კეთილხარისხოვანი პროდუქტების წარმოების უზრუნველყოფა;

მოსახლეობის დაცვა ადამიანისა და ცხოველებისათვის საერთო დაავადებისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ტერიტორიის დაცვა ცხოველთა გადამდები სნეულების ძემოტანისაგან უცხო სახელმწიფოებიდან.

3. ამ წესდების მე-2 მუხლში აღნიშნული ამოცანების შესრულების მიზნით, სახელმწიფო ვეტერინარიის ორგანიზაციები და დაწესებულებები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ვეტერინარი ექიმები და ვეტერინარი ფერშლები, სამინისტროებისა და უწყებების ვეტერინარული ორგანიზაციები და დაწესებულებები შესაბამისად განახორციელებენ:

ვეტერინარულ-სანიტარულ, პროფილაქტიკურ, ეპიზოოტიის საწინააღმდეგო და სამკურნალო ღონისძიებებს (იმ დაავადებათა კერების გამოვლინებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებათა ჩათვლით, რომლებიც ადამიანს გადაეედება ცხოველებისაგან) კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე მოქალაქეთა მეურნეობებში;

ვეტერინარულ ღონისძიებებსა და ვეტერინარულ-სანიტარულ ექსპერტიზას ცხოველთა დამზადებისა და დაკვლის, ხორცის, ხორცის პროდუქტების, რძის, რძის პროდუქტების, კვერცხის, თევზის, მეფუტკრეობის პროდუქტების, სოკოსა და სხვა მცენარეულის პროდუქტების ვაჭრობის დროს, აგრეთვე ამ პროდუქტების სავაჭრო ადგილების სანიტარული მდგომარეობისადმი ზედამხედველობას ბაზრებში და ბაზრობებზე;

ვეტერინარულ-სანიტარულ ზედამხედველობას პირუტყვის შენახვისა, დამზადებისა და დაკვლისადმი, პირუტყვის გარეკვისადმი, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, ტყავის, ბეწვეულის და ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებისა, შენახვისა და გადამუშავებისადმი, აგრეთვე ცხოველთა, ხორცის, რძის, კვერცხისა და ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტებისა და ნედლეულის ყველა სახეობის ტრანსპორტით გადაზიდვისადმი, მათი იმპორტისა და ექსპორტისადმი;

ზედამხედველობას იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ ვეტერინარულ-სანიტარული წესების დაცვისადმი, რომლებიც ახორციელებენ ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებას, შენახვასა და გადამუშავებას, აგრეთვე ამ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ვეტერინარულ-სანიტარული მდგომარეობისადმი;

ვეტერინარულ ზედამხედველობას თევზსამეურნეო წყალსატევებისადმი და ზედამხედველობას ვეტერინარულ-სანიტარული წესების დაცვისადმი ვეშაპსანადირო სარეწებზე.

4. ვეტერინარული დახმარება სსრ კავშირში უფასოა.

თანაყოფი II

ვეტერინარული სამსახურის ხელმძღვანელობა და მეცხოველეობის ვეტერინარული მომსახურების ორგანიზაცია

5. სავეტერინარო სამსახურის ხელმძღვანელობას სსრ კავშირში ახორციელებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო:

ა) შეისწავლის ჩვენი ქვეყნის მეცხოველეობისა და ტერიტორიის ვეტერინარულ-სანიტარულ მდგომარეობას, მოაწყობს ვეტერინარულ-სამკურნალო მუშაობას, განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ გადამდებ და არაგადამდებ სნეულებათა თავიდან აცილებას, გადამდებ სნეულებათა ლიკვიდაციას, ცხოველთა ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირებას, სადედე სულადობის ბერწიანობის წინააღმდეგ ბრძოლას;

ბ) შეიმუშავებს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან და სხვა სამინისტროებთან (უწყებებთან) ერთად და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანების დაცვას ისეთი დაავადებისაგან, რაც საერთოა ადამიანისა და ცხოველებისათვის;

გ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სსრ კავშირის ტერიტორიის დაცვას ცხოველთა გადამდები სნეულების შემოტანისაგან უცხო სახელმწიფოებიდან, განახორციელებს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად ვეტერინარულ-სანიტარულ ღონისძიებებს ცხოველთა (ფრინველების, ბეწვიანი ნადირის, ზოოპარკის ცხოველების, თევზისა და ფუტკრის ჩათვლით), ხორცისა და ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტებისა და ნედლეულის და ფურაჟის ექსპორტისა და იმპორტის დროს, აგრეთვე კონტროლს გაუწევს თავისი კომპეტენციის ფარგლებში იმას, რომ სსრ კავშირის საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შეასრულონ ის მოთხოვნები, რომლებიც გამომდინარეობენ უცხო სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან ვეტერინარიის საკითხებზე;

დ) განახორციელებს კონტროლს ცხოველთა შენახვისა და პროფილაქტიკურ და ვეტერინარულ-სანიტარულ ღონისძიებათა განხორციელებისადმი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, ცხოველთა კვლავწარმოების დროს ვეტერინარულ-სანიტარული წესების, ძროხების სამანქანო წველის წესების შესრულებისადმი და ვეტერინარულ კონტროლს მეცხოველეობაში გამოსაყენებელი საკვებისა და წყლის ხარისხისადმი;

ე) საერთო ხელმძღვანელობას გაუწევს თევზის დაავადების წინააღმდეგ ბრძოლას, აგრეთვე განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ გატარდეს ვეტერინარულ-სანიტარული და ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებანი ქვეყნის თევზსამეურნეო წყალსატევებში და დაცულ იქნას ვეტერინარულ-სანიტარული წესები ვეშაპსანადირო სარეწებზე;

ვ) შეიმუშავებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ცხოველთა დაცვა იმ შხამქიმიკატების მავნე მოქმედებისაგან, რომლებსაც სოფლისა და სატყეო მეურნეობაში იყენებენ, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ამ შხამქიმიკატებით გაბინძურების თავიდან აცილება და ცხოველთა რადიაციული და ბაქტერიალური უსაფრთხობის უზრუნველყოფა;

ზ) განახორციელებენ ვეტერინარიის საკითხებზე სამეცნიერო გამოკვლევათა კოორდინაციას და დაგეგმვას, კონტროლს გაუწევს სამინისტროებისა და უწყებების (სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის საზოგადოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გარდა) ვეტერინარულ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების საქმიანობას;

თ) შეიმუშავებს ცხოველთა სავეტერინარო მომსახურების ნორმებს და დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას ვეტერინარ სპეციალისტებზე, უზრუნველყოფს ვეტერინარ მუშაკთა კადრების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;

ი) გამოცდის და ვეტერინარიის პრაქტიკაში დანერგავს ბიოლოგიურ და ფარმაცევტულ პრეპარატებს, განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას ამ პრეპარატებზე (მეცხოველეობისა და ვეტერინარიის საჭიროებისათვის) და მოაწყობს მეცხოველეობაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური პრეპარატების წარმოებას;

კ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს ვეტერინარულ ღონისძიებათა გასატარებლად საჭირო მედიკამენტების, ბიოლოგიური პრეპარატებისა და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებათა ხარჯვის ნორმებს, იმის ნორმებს, რომ აღჭურვილ იქნან ვეტერინარული დაწესებულებანი, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც ცხოველები ჰყავთ, მედიკამენტებით, ვეტერინარული ინსტრუმენტებითა და ქონებით;

ლ) მოაწყობს ვეტერინარული დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მომარაგებას მედიკამენტებით, სადეზინფექციო საშუალებებით, ბიოლოგიური, ქიმიურ-თერაპიული და სხვა პრეპარატებით, რომლებსაც მეცხოველეობასა და ვეტერინარიაში იყენებენ, ვეტერინარული ინსტრუმენტებით, ლაბორატორიული, სადეზინფექციო და ვეტერინარული მოწყობილობით, აგრეთვე მოაწყობს ამ პრეპარატების, ინსტრუმენტებისა და მოწყობილობის ვაჭრობას;

მ) დადგენილი წესით წარადგენს დასკვნებს გამოგონებათა სარგებლიანობის შესახებ, გამოცდის და პრაქტიკაში დანერგავს გამოგონებებსა და რაციონალიზატორულ წინადადებებს ვეტერინარიის დარგში;

ნ) დაამტკიცებს დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით ვეტერინარულ-სანიტარულ მოთხოვნებს მეცხოველეობის ფერმების (მეფრინველეობისა და ნადირთმომშენებლობის ფერმების ჩათვლით), მეთევზეობის მეურნეობებისა და ცხოველთა საკლავი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადამმუშავებელ-შემნახველი საწარმოების დაპროექტებისა და მშენებლობისათვის; განიხილავს და დაამტკიცებს დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მეცხოველეობისა და ვეტერინარიის ობიექტების ტექნოლოგიური დაპროექტების ნორმებს;

ო) განიხილავს პირუტყვისა და ფრინველის დასაკლავად, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადასამუშავებლად და შესანახად განკუთვნილი სამრეწველო ობიექტების ტექნოლოგიური დაპროექტების ნორმებს, ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ქიმიური და ფარმაკოლოგიური პრეპარატების, ცხოველებისათვის საჭირო ახალი სახეობის საკვების, სასმელი წყლის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორცის, რძისა და ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების პროექტებს, მეცხოველეობის ფერმებისათვის, ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების სადგურებისა და პუნქტებისათვის საჭირო ახალი სახეობის ტექნოლოგიური მოწყობილობის, ცხოველთა, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის დასატვირთავად, გადმოსატვირთავად და გადასაზიდად განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებათა პროექტებსა და კონსტრუქციებს, მისცემს დასკვნებს, თუ რამდენად შეესაბამება ეს ნორმები, პროექტები და კონსტრუქციები ვეტერინარულ-სანიტარულ მოთხოვნებს;

პ) მოაწყობს სსრ კავშირის ცენტრალურ-სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით სტატისტიკურ აღრიცხვასა და ანგარიშგებას ვეტერინარიის დარგში;

ჟ) განახორციელებს დადგენილი წესით კავშირ-ურთიერთობასა და თანამშრომლობას უცხო სახელმწიფოების ვეტერინარულ-ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ვეტერინარულ ორგანიზაციებთან;

რ) მოაწყობს და ჩაატარებს ვეტერინარულ-სანიტარულ საგანმანათლებლო მუშაობას მოსახლეობაში.

6. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის საველერინარო წესდების საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებს, ინსტრუქციებს და მისცემს მითითებებს ვეტერინარიის საკითხებზე.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ვეტერინარიის საკითხებზე გამოცემული ბრძანებები, ინსტრუქციები და მითითებანი სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სამინისტროსა და უწყებისათვის, კოლმეურნეობისა, საბჭოთა მეურნეობისა, სხვა საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, აგრეთვე მოქალაქეებისათვის.

7. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო განახორციელებს ვეტერინარული სამსახურის ხელმძღვანელობას ჩვენს ქვეყანაში ვეტერინარიის მთავარ სამმართველოსა და სამინისტროს სისტემაში შემავალი სხვა ვეტერინარული ორგანოების მეშვეობით, აგრეთვე სხვა სამინისტროებისა და უწყებების საველერინარო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მეშვეობით.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის მთავარ სამმართველოს უფლება ენიჭება აძლიოს სამინისტროების, უწყებებისა და სხვა ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მიერ შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი ვეტერინარიის საკითხებზე, რომლებიც გამომდინარეობენ სსრ კავშირის საველერინარო წესდებიდან, მოქმედი კანონებიდან, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებიდან და განკარგულებებიდან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებებიდან და ინსტრუქციებიდან.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების ვეტერინარულ ორგანოებში იქმნებიან სახელმწიფო საველერინარო ინსპექციები, ხოლო ავტონომიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების, სოფლის მეურნეობის სამხარეო, საოლქო სამმართველოების სავეტერინარო ორგანოებში — სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორები.

8. ჩვენს ქვეყანაში ვეტერინარული საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის მთავარ სამმართველოსთან შეიქმნება ვეტერინარიის საქმეთა საბჭო (სათათბირო ორგანოს უფლებებით), რომელშიაც შევლენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სხვა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები, აგრეთვე მეცნიერი და პრაქტიკოსი ვეტერინარი მუშაკები. საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას და მის დებულებას დაამტკიცებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

9. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის მთავარი სამმართველოს უფროსი თანამდებობის მიხედვით იმავდროულად არის სსრ კავშირის მთავარი სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორი, ხოლო ვეტერინარიის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეები — სსრ კავშირის მთავარი სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორის მოადგილეები.

მოკავშირე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის მთავარი სამმართველოს (სამმართველოს) უფროსი თანამდებობის მიხედვით იმავდროულად არის მოკავშირე რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორი, ხოლო მისი მოადგილეები — მოკავშირე რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორის მოადგილეები.

ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამხარეო, საოლქო სამმართველოს ვეტერინარიის განყოფილების უფროსი თანამდებობის მიხედვით იმავდროულად არის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის მთავარი სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორი, ხოლო მისი მოადგილე — ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორის მოადგილე.

სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოს მთავარი ვეტერინარი ექიმი, რაიონის (ქალაქის) მთავარი ვეტერინარი ექიმი თანამდებობის მიხედვით იმავდროულად არის რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორი.

საქალაქო აღმასკომის ვეტერინარიის განყოფილების გამგე, ქალაქის (მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის, სამხარეო, საოლქო ცენტრის) მთავარი (უფროსი) ვეტერინარი ექიმი თანამდებობის მიხედვით იმავდროულად არის ქალაქის მთავარი სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორი.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარული სამსახურის უფროსი რკინიგზის სამმართველოსთან, ნაოსნობასთან თანამდებობის მიხედვით იმავდროულად არის რკინიგზის, აუზის მთავარი სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორი.

10. მთავარი სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორები და მათი მოადგილეები და სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორები მოვალენი არიან შესაბამისად თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში კონტროლი გაუწიონ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) იმას, თუ როგორ ასრულებენ სამინისტროები, უწყებები, სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, თანამდებობის პირები და ცალკეული მოქალაქეები;

სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობას და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებს ვეტერინარიის საკითხებზე;

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოცემულ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს (დარიგებებს, წესებს) ვეტერინარიის საკითხებზე;

ბ) ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა (ადამიანისა და ცხოველებისათვის საერთო დაავადების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიების ჩათვლით) გეგმების შესრულებას, იმას თუ რამდენად სწორად არის მოწყობილი და ხორციელდება გადამდები და არაგადამდები სნეულებებით ცხოველთა დაავადების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის, აგრეთვე უცხო სახელმწიფოებისაგან ცხოველთა გადამდები სნეულების შემოტანისაგან სსრ კავშირის ტერიტორიის დაცვის ღონისძიებანი;

გ) სამინისტროებისა და უწყებების ვეტერინარული დარგების მუშაობას (სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარის ნაწილებისა და ქვეგანაყოფების სავეტერინარო დარგების გარდა);

დ) მეცხოველეობის ფერმების, რძის ქარხნების, ხორცკომბინატების, მაცივრებისა და სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ვეტერინარულ-სანიტარულ მდგომარეობას. რომლებიც ახორციელებენ ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებას, შენახვასა და გადამუშავებას; ბაზრების, ბაზრობების ვეტერინარულ-სანიტარულ მდგომარეობას, აგრეთვე ისეთ ვეტერინარულ-სანიტარულ ღონისძიებათა გატარებას, რომლებიც მიმართულია ადამიანთა საკვებით მოწამვლის პროფილაქტიკისაკენ;

ე) შესაბამისი წესით დადგენილი ზოოჰიგიენური ნორმების და ვეტერინარულ-სანიტარული მოთხოვნების დაცვას მეცხოველეობის სადგომების, მეთევზეობის მეურნეობების, პირუტყვის საკლავი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების დაპროექტების, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს;

ვ) იმ სატრანსპორტო საშუალებათა ვეტერინარულ-სანიტარულ დამუშავებას, რომლებსაც იყენებენ ცხოველების გადასაყვანად, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადასაზიდად;

ზ) ბიოლოგიური, ქიმიური და სხვა პრეპარატების გამოყენება მეცხოველეობასა და ვეტერინარიაში, საკვების გამოყენებას (იმ მიზნით, რომ არ იქნას დაშვებული პირუტყვისათვის ისეთი საკვების მიცემა, რომელიც შეიცავს შხამიან და სხვა მავნე ნივთიერებებს), აგრეთვე ისეთ ღონისძიებათა გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოველთა რადიაციულ და ბაქტერიალურ უსაფრთხობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. მთავარ სახელმწიფო ვეტერინარ ინსპექტორებს და მათ მოადგილეებს და სახელმწიფო ვეტერინარ ინსპექტორებს უფლება ენიჭებათ შესაბამისად მათი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) აძლიონ სამინისტროებსა და უწყებებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებს მათ მიერ შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი ვეტერინარულ-სანიტარული და ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების შესახებ და დააწესოს მათი შესრულების ვადები;

ბ) აძლიონ სამინისტროებსა და უწყებებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს (საჭირო შემთხვევებში სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებთან ერთად) შესასრულებლად სავალდებულო დასკვნები, რომლებიც ემყარება მოქმედ ზოოჰიგიენურ, ვეტერინარულ-სანიტარულ და სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებსა და წესებს:

მეცხოველეობის ფერმების, პირუტყვისა და ფრინველის საკლავი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების, საუტილიზაციო ქარხნების, კომბინირებული საკვების ქარხნების, მეთევზეობის მეურნეობების, ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების სადგურების და მეცხოველეობის სხვა ობიექტების დაგეგმვისა და მშენებლობის პროექტების, აგრეთვე ამ ობიექტებზე ჩამდინარე წყლების გამაუსნებოვნებელ ნაგებობათა მშენებლობის პროექტების გამო;

იმ პროექტების გამო, რომლებიც ეხება მიწის ნაკვეთების გამოყოფას ყველა სახის აღნიშნული მშენებლობისათვის და წყალსაღები ადგილების ამორჩევას ცხოველებისათვის ან ხორცკომბინატებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადამმუშავებელი და შემნახველი სხვა საწარმოების წყალმომარაგებისათვის;

გ) აძლიონ დასკვნები იმის შესახებ, რომ თუ რამდენად აკმაყოფილებენ მოქმედ ზოოჰიგიენურ ნორმებს და ვეტერინარულ-სანიტარულ მოთხოვნებს საექსპლუატაციოდ გადასაცემი საწარმოო ობიექტები მეცხოველეობის ფერმებში, მეთევზეობის მეურნეობებში, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოებში, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადამმუშავებელ და შემნახველ საწარმოებში;

დ) აძლიონ ყველა საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულებისა და მოქალაქის მიერ შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი — დაკლან ან მოსპონ ცხოველები, თუ ისინი დაავადებულია განსაკუთრებით საშიში გადამდები სნეულებით, იმ ნუსხის მიხედვით, რასაც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო დააწესებს, აგრეთვე მოსპონ, გადაამუშაონ ან სხვაგვარად გამოიყენონ ცხოველური წარმოშობის პროდუქტები და ნედლეული, რომლებიც ცხოველთა დაავადების გამო ცნობილია ხმარებისათვის უვარგისად;

ე) გადამდებ სნეულებათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, აკრძალონ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი ინსტრუქციებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ცხოველების გაყვანა, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გატანა (ექსპორტის ჩათვლით)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონებიდან, ცალკეული საწარმოებიდან, ორგანიზაციებიდან, დაწესებულებებიდან და მოქალაქეთა მეურნეობებიდან, აგრეთვე მათი იქ შეყვანა-შეტანა (საზღვარგარეთიდან შემოყვანა-შემოტანის ჩათვლით);

ვ) აკრძალონ, ვიდრე გამოვლინებული ნაკლოვანებანი აღმოიფხვრებოდეს, ვაგონების, გემების, თვითმფრინავებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენება ცხოველების გადასაყვანად, ხორცისა და ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტებისა და ნედლეულის და ფურაჟის გადასაზიდად იმ შემთხვევებში, თუ დადასტურდა ამ საშუალებათა არადამაკმაყოფილებელი ვეტერინარულ-სანიტარული მდგომარეობა ან არსებობს იმისი საფრთხე, რომ ისინი მავნე ზემოქმედებას მოახდენენ ცხოველთა ჯანმრთელობაზე ან პროდუქტების ხარისხზე;

ზ) აკრძალონ, ვიდრე საჭირო ვეტერინარულ-სანიტარული და ეპიზოოტიისწინააღმდეგო ღონისძიებანი გატარდებოდეს, მეცხოველეობის ობიექტების, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოების, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადასამუშავებელი და შესანახი საწარმოების ექსპლუატაცია იმ შემთხვევებში, თუ გამოვლინებულ იქნა აღნიშნული ობიექტებისა და საწარმოების არაკეთილსაიმედობა ცხოველთა გადამდები სნეულების მხრივ ან დადასტურდა მათი არადამაკმაყოფილებელი ვეტერინარულ-სანიტარული მდგომარეობა;

თ) შეაჩერონ ზოოჰიგიენური ნორმებისა და ვეტერინარულ-სანიტარული წესების დარღვევის შემთხვევებში, ვიდრე გამოვლინებული დარღვევები გამოსწორდებოდეს, ახლად აშენებული, აღდგენილი და რეკონსტრუირებული ობიექტების გადაცემა საექსპლუატაციოდ მეცხოველეობის ფერმებში, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადამმუშავებელ და შემნახველ საწარმოებში;

ამ მუხლის „ზ“ და „თ“ პუნქტებში აღნიშნული ზომების გამოყენების მესახებ თანამდებობის პირები, რომლებიც სახელმწიფო ვეტერინარულ-სანიტარულ ზედამხედველობას ახორციელებენ, აცნობებენ სამინისტროების, უწყებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების ხელმძღვანელებს, რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან ეს ობიექტები, აგრეთვე იმ ბანკებს, რომლებიც ამ ობიექტების მშენებლობასა და რეკონსტრუქციას აფინანსებენ.

12. სახელმწიფო ვეტერინარიის ორგანიზაციათა და დაწესებულებათა თანამდებობის პირები, რომლებიც ვეტერინარულ ზედამხედველობას ახორციელებენ, აგრეთვე სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ვეტერინარიის დარგების თანამდებობის პირები (თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში) მოვალენი არიან:

ა) შეიტანონ, საჭიროების შემთხვევაში, ცხოველთა ავადობისა და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ვეტერინარულ-სანიტარული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე, შესაბამისი მეურნეობების (საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების) და მმართველობის ორგანოების განსახილველად წინადადებანი გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) აცნობონ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომ მათდამი დაქვემდებარებული მუშაკები არ იცავენ ზოოჰიგიენურ ნორმებს, ვეტერინარულ-სანიტარულ წესებს და ეს მუშაკები არ ასრულებენ ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს, რათა მიცემულ იქნან დამნაშავე პირები პასუხისგებაში დადგენილი წესით.

13. სახელმწიფო ვეტერინარიის ორგანიზაციათა და დაწესებულებათა თანამდებობის პირებს, რომლებიც ვეტერინარულ ზედამხედველობას ახორციელებენ, აგრეთვე სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ვეტერინარული დარგების თანამდებობის პირებს (თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში) უფლება აქვთ:

ა) დაუბრკოლებლივ მივიდნენ სამსახურებრივი მოწმობით ვეტერინარული ზედამხედველობის ობიექტებზე დღეღამის ყოველ დროს და აძლიონ შესასრულებლად სავალდებულო წინადადებანი ვეტერინარულ-სანიტარული წესების აღმოჩენილი დარღვევების აღმოფხვრის შესახებ;

ბ) მოთხოვონ თანამდებობის პირებს და ცალკეულ მოქალაქეებს:

წარადგინონ ცნობები და დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა ცხოველთა ეპიზოოტური მდგომარეობის გამოსარკვევად კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და მოქალაქეთა მეურნეობებში, აგრეთვე ამ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მეურნეობების ვეტერინარულ-სანიტარული მდგომარეობის გამოსარკვევად;

გაატარონ შესაბამისი ინსტრუქციებით გათვალისწინებული ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ გადამდებ სნეულებათა გავრცელების თავიდან აცილებას და ლიკვიდაციას.

14. კოლმეურნეობათა კუთვნილი ცხოველების და იმ ცხოველების ვეტერინარულ მომსახურებას, რომლებიც მოქალაქეთა პირად სარგებლობაში იმყოფება, ახორციელებენ სახელმწიფო ვეტერინარიის ორგანიზაციები და დაწესებულებები. ცხოველთა ვეტერინარული მომსახურებისათვის კოლმეურნეობებს შეუძლიათ იყოლიონ თავიანთი ვეტერინარი ექიმები და ვეტერინარი ფერშლები, რომელთა შენახვის ხარჯებს კოლმეურნეობები გასწევენ თავიანთი სახსრებიდან.

საბჭოთა მეურნეობების, სანაშენოების, ცხენსაშენების, მეფრინველეობის ფაბრიკების, სასუქებელი, დამხმარე და სხვა მეურნეობების ცხოველთა ვეტერინარულ მომსახურებას და პირუტყვის დაკვლის, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადამუშავება-შენახვის სხვა ღონისძიებებს ახორციელებენ ამ მეურნეობების (საწარმოების) ვეტერინარი ექიმები და ვეტერინარი ფერშლები, აგრეთვე სახელმწიფო ვეტერინარიის ორგანიზაციები და დაწესებულებები.

იმ ცხოველებს, რომლებიც იმყოფებიან საბჭოთა მეურნეობების და სხვა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა პირად საკუთრებაში, აგრეთვე იმ პირთა საკუთრებაში, რომლებიც მომსახურებას უწევენ ამ მეურნეობებს, ვეტერინარულ-სანიტარულ დახმარებას გაუწევს საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მეურნეობების ვეტერინარული პერსონალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. ვეტერინარული სამსახურის ორგანიზაცია სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში და ამ სამსახურის ხელმძღვანელობა ეკისრება შესაბამისად აღნიშნულ სამინისტროებსა და კომიტეტს.

16. ვეტერინარული საქმიანობის უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებმაც დაამთავრეს შესაბამისი უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლები და მიიღეს ვეტერინარი ექიმის, ვეტერინარ-სანიტარი ექიმის, ვეტერინარი ფერშლის (ვეტერინარი ტექნიკოსის) კვალიფიკაცია.

განაყოფი III

კოლმეურნეობათა გამგეობების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, სხვა საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების, ცხოველთა მფლობელი მოქალაქეებისა და ვეტერინარი მუშაკების მოვალეობანი ცხოველთა გადამდები სნეულების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის საქმეში

17. კოლმეურნეობათა გამგეობები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები და სხვა თანამდებობის პირები, რომლებიც პასუხს აგებენ მეცხოველეობის მდგომარეობისათვის, მოვალენი არიან დროზე განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ცხოველთა გადამდები სნეულების გავრცელების თავიდან აცილება, აგრეთვე ლიკვიდაცია მისი წარმოშობის შემთხვევაში.

18. ცხოველთა გადამდები სნეულების თავიდან აცილების მიზნით, კოლმეურნეობათა გამგეობები, საბჭოთა მეურნეობების, მეფრინველეობის ფაბრიკების დირექტორები და სხვა საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან:

ა) უზრუნველყონ მეცხოველეობის ფერმების (მეფრინველეობისა და ნადირთმომშენებლობის ფერმების ჩათვლით) დაცვა ცხოველთა გადამდები სნეულების შემოტანისაგან, აშენონ ამ მიზნით საჭირო ზღუდეები და სათანადო ვეტერინარულ-სანიტარული ობიექტები (ვეტერინარულ-სანიტარული გამტარები, იზოლატორები, სასაკლაო პუნქტები), არ დაუშვან პირუტყვის შეყვანა მეურნეობებში და მისი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა მეურნეობის შიგნით ვეტერინარ სპეციალისტთა ნებადაურთველად, არ დაუშვან ვეტერინარულ-სანიტარული მხრივ შეუმოწმებელი საკვების შეტანა ფერმებში და მისი ხმარება; შეზღუდონ გარეშე პირთა შესვლა ფერმებში;

ბ) იზოლირებულად შეინახონ 30 დღის განმავლობაში მეურნეობაში ახლადშემოსული ყველა ცხოველი და გამოიყენონ ისინი ცალკე აღნიშნული ვადის განმავლობაში, დაუყოვნებლივ აცნობონ რაიონის (ქალაქის) მთავარ ვეტერინარ ექიმს ან უბნის (პუნქტის, მეურნეობის) ვეტერინარ ექიმს, ვეტერინარ ფერშალს მეურნეობაში ცხოველთა შემოსვლა; არ დაუშვან ცხოველების (ფრინველის ჩათვლით) უზედამხედველო შენახვა ფერმებისა და დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე; გაუკეთონ ნიშანი მეურნეობის კუთვნილ პირუტყვს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სათანადო ვეტერინარულ-სანიტარულ მდგომარეობაში შეინახონ მეცხოველეობის ფერმები, ცხოველთა სადგომები, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესანახი და გადასამუშავებელი სადგომები და ნაგებობანი, უზრუნველყონ ვეტერინარი სპეციალისტის მითითებით მათი დროული დეზინფექცია და დერატიზაცია, აგრეთვე, სათანადო წესების დაცვით, ცხოველთა ლეშის ტექნიკური უტილიზაცია ან მოსპობა;

დ) სათანადო ვეტერინარულ-სანიტარულ მდგომარეობაში იქონიონ საძოვრები, წყალსატევები და ცხოველთა თავმოყრის ადგილები პირუტყვგასარეკ ტრასებზე, რკინიგზის სადგურებზე, გემთმისადგომებზე, ელევატორებზე, წისქვილებში, გამოფენებზე, ბაზრობებზე, ბაზრებში, ბაზებში, სასაკლაო პუნქტებში, შესარეკ ეზოებში და ა. შ.;

ე) დაიცვან ზოოჰიგიენური და ვეტერინარულ-სანიტარული ნორმები და მოთხოვნები მეცხოველეობის სადგომების (მეფრინველეობის, ნადირთმომშენებლობის სადგომების ჩათვლით), ვეტერინარული ობიექტების, თევზსამომშენებლო ტბორების, აგრეთვე სასაკლაო პუნქტების, საფურაჟე საწყობებისა და სხვათა მშენებლობის დროს;

ვ) უზრუნველყონ ვეტერინარულ-სანიტარული და ზოოჰიგიენური წესების (მათ შორის ცხოველთა კვების, შენახვის, გამოყენების და მათი მოვლის წესების, ძროხების სამანქანო წველის წესების) შესრულება, ხოლო ცხოველთა დაავადების დროს დროზე მიიღონ ზომები მათთვის სამკურნალო დახმარების აღმოჩენისა და დაავადების ლიკვიდაციისათვის;

ზ) უზრუნველყონ ვეტერინარული აფთიაქების, პუნქტების, სამკურნალოების, ამბულატორიებისა და სხვათა მშენებლობა მეურნეობებში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად, აგრეთვე ააგონ მეცხოველეობის ფერმებში და სათანადო სანიტარულ წესრიგზე შეინახონ საყოფაცხოვრებო დანიშნულების სადგომები ამ ფერმების მუშაკებისათვის;

თ) უზრუნველყონ ვეტერინარი სპეციალისტების მოთხოვნით ცხოველთა წარდგენა გასასინჯავად, დიაგნოსტიკური გამოკვლევებისათვის, წინასწარი აცრებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დამუშავებისათვის, ამასთან გამოყონ ამ მიზნებისათვის მუშები, აგრეთვე შეუქმნან ვეტერინარ მუშაკებს ვეტერინარულ ღონისძიებათა გატარებისათვის საჭირო პირობები;

ი) დაუყოვნებლივ აცნობონ ვეტერინარულ დაწესებულებას (ორგანიზაციას), რომელიც მომსახურებას უწევს მეურნეობას, სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოს პირუტყვის უეცარი დახოცვის ან რამდენიმე ცხოველის ერთდროულად დაავადების ყველა შემთხვევა და ვეტერინარი სპეციალისტის მოსვლამდე მიიღონ ზომები დაავადებული პირუტყვის იზოლირებულად შენახვისათვის. არ დაუშვან ვეტერინარი ექიმის ან ვეტერინარი ფერშლის ნებადაურთველად იძულებით დაკლული პირუტყვის ხორცისა და სხვა პროდუქტების ხმარება საჭმელად, ცხოველთა გამოსაკვებად და გაყიდვა, აგრეთვე ავადმყოფი და დაავადების მხრივ საეჭვო ცხოველების და მათგან მიღებული რძის, კვერცხისა და ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტების გაყიდვა; უზრუნველყონ ცხოველთა კარანტინის წესების უცილობლივ დაცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. ხორცკომბინატების, მეფრინველეობის კომბინატების, სასაკლაოების, საუტილიზაციო ქარხნების, მაცივრების და ხორცის, რძისა და ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტებისა და ნედლეულის გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების ხელმძღვანელები მოვალენი არიან დაიცვან ვეტერინარულ-სანიტარული ნორმები ამ საწარმოების მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს.

აღნიშნული საწარმოების მიღება საექსპლუატაციოდ წარმოებს სახელმწიფო ვეტერინარიის ორგანიზაციის (დაწესებულების) წარმომადგენლის მონაწილეობით.

20. ცხოველთა მფლობელი მოქალაქენი მოვალენი არიან:

ა) აცნობონ სახელმწიფო ვეტერინარიის ორგანიზაციას (დაწესებულებას, მეურნეობის ვეტერინარ სპეციალისტს) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ცხოველთა შეძენის შესახებ და 30 დღის განმავლობაში არ გაუშვან ახლადშეძენილი პირუტყვი საერთო ჯოგში;

ბ) წარადგინონ ვეტერინარ სპეციალისტთა მოთხოვნით ცხოველები (ფრინველის, ბეწვიანი ნადირის, ძაღლების, კატების ჩათვლით) გასასინჯავად, დიაგნოსტიკური გამოკვლევებისა, წინასწარი აცრებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დამუშავებისათვის;

გ) დაუყოვნებლივ აცნობონ ვეტერინარ ექიმს ან ვეტერინარ ფერშალს, რომელიც მომსახურებას უწევს მეურნეობას (დასახლებულ პუნქტს), ცხოველთა უეცარი დახოცვის ყველა შემთხვევა ანუ იჭვის მიტანა იმაზე, რომ პირუტყვი დაავადებულია გადამდები სნეულებით, და ვეტერინარი სპეციალისტის მოსვლამდე მოახდინოს ავადმყოფი პირუტყვის იზოლაცია;

დ) არ დაუშვან ვეტერინარი ექიმის ან ვეტერინარი ფერშლის ნებადაურთველად ცხოველთა დაკვლა მეურნეობაში სახორცედ, ნაკლავის ხორცის და სხვა პროდუქტების (იძულებით დაკლულ ცხოველთა ხორცისა და პროდუქტების ჩათვლით) ხმარება საჭმელად, ცხოველთა გამოსაკვებად და გასაყიდად, აგრეთვე ავადმყოფი და ავადმყოფობის მხრივ საეჭვო ცხოველების და მათგან მიღებული რძის, კვერცხის და ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტების გაყიდვა;

ე) სათანადო ვეტერინარულ-სანიტარულ მდგომარეობაში შეინახონ ცხოველთა სადგომები და შეასრულონ ვეტერინარ სპეციალისტთა მითითებანი ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ზომების შესახებ.

21. სახელმწიფო ვეტერინარიის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მეფრინველეობის ფაბრიკების და სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ვეტერინარი ექიმები და ვეტერინარი ფერშლები მოვალენი არიან მოაწყონ და განახორციელონ მათს სამომსახურეო მეურნეობებში (დასახლებულ პუნქტებში) პროფილაქტიკური და ვეტერინარულ-სანიტარული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოველთა დაავადების თავიდან აცილებას, ზოოტექნიკურ პერსონალთან ერთად უზრუნველყონ ცხოველთა კვების, შენახვისა და კვლავწარმოების, მათი მოვლის ზოოტექნიკური და ვეტერინარული წესების დაცვა მეურნეობების მიერ, აგრეთვე ცხოველთა სწორად გამოყენება.

22. რაიონის (ქალაქის) მთავარი ვეტერინარი ექიმი, ცხოველთა ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლის სადგურის, ვეტერინარულ სამკურნალოს, ვეტერინარულ უბნის (პუნქტის), მეურნეობის ვეტერინარი ექიმი, ვეტერინარი ფერშალი მეურნეობაში ცხოველთა (ფრინველის, ბეწვიანი ნადირის, თევზის, ფუტკრის) შემოსვლის დროს დააწესებს მათთვის პროფილაქტიკურ კარანტინს და მოაწყობს ამ კარანტინის საჭირო ვეტერინარულ ღონისძიებათა გატარებას მეურნეობაში, მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად.

23. ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სადგურის, ვეტერინარული სამკურნალოს, ვეტერინარული უბნის (პუნქტის), მეურნეობის ვეტერინარი ექიმი, ვეტერინარი ფერშალი ცხოველთა დაავადების დროს ვალდებულია გამოყოს ავადმყოფი პირუტყვი საერთო ჯგუფიდან, გამოარკვიოს დაავადების მიზეზი, დასვას დიაგნოზი და მიიღოს საჭირო ზომები ცხოველთა მკურნალობისა და მათი დაავადების ლიკვიდაციისათვის.

ცხოველთა გადამდები სნეულების დადგენის დროს ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სადგურის, ვეტერინარული სამკურნალოს, ვეტერინარული უბნის (პუნქტის), მეურნეობის ვეტერინარი ექიმი, ვეტერინარი ფერშალი ვალდებულია:

ა) ჩაატაროს ცხოველთა მთლიანი ან ნაწილობრივი (ამორჩევითი) გაშოკვლევა მეურნეობაში (დასახლებულ პუნქტში), გამოარკვიოს თუ რამდენად გავრცელებულია ავადმყოფობა, მოაწყოს ავადმყოფი და გადამდები სნეულებით დაავადების მხრივ საეჭვო პირუტყვის იზოლირებული შენახვა, მიიღოს ზომები ინფექციის წყაროსა და მისი შემოტანის გზების გამოსავლინებლად, აგრეთვე დააწესოს დაკვირვება ავადმყოფობის გადადებაში ეჭვმიტანილ ცხოველებზე და დანარჩენ ცხოველებზე მეურნეობაში (დასახლებულ პუნქტში), როდესაც მათი შენახვა ჩვეულებრივ პირობებში წარმოებს;

ბ) ჩაატარონ წინასწარი და სამკურნალო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაავადების უსწრაფეს ლიკვიდაციას (ცხოველთა პროფილაქტიკური აცრები ან სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკური დამუშავება), ამასთან საჭიროების შემთხვევაში გასცენ განკარგულება ცხოველთა დაკვლის შესახებ ისე, რომ შემდგომ გამოყენებულ იქნას ისინი სახორცედ ან მოხდეს ნაკლავი პირუტყვის უტილიზაცია ან მოსპობა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტრუქციის შესაბამისად;

გ) მოაწყოს ნაკელისაგან გაწმენდა და დეზინფექცია სადგომებისა და სხვა ადგილებისა, სადაც იმყოფება ავადმყოფი და გადამდები სნეულებით დაავადების მხრივ საეჭვო პირუტყვი, აგრეთვე იმ საგნების დეზინფექცია, რომლებსაც კონტაქტი ჰქონდა ამ ცხოველებთან ან მათგან მიღებულ ცხოველური წარმოშობის პროდუქტებთან და ნედლეულთან და ნარჩენებთან; მოაწყონ ცხოველთა ლეშის გატანა, მათი შემდგომი უტილიზაცია ან მოსპობა;

დ) საჭიროების შემთხვევაში შემოიღოს შეზღუდვები, რომლებიც შეეხება ადამიანების შესვლას ცხოველთა გადამდები სნეულების მხრივ არაკეთილსაიმედო მეურნეობებში (სადგომებში), ცხოველთა გამოყვანას და მათგან მიღებული პროდუქტების გამოტანას მეურნეობიდან, შეზღუდონ ცხოველთა ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილიდან მეორეზე გადაყვანა მეურნეობის შიგნით, პირუტყვის ძოვება, დარწყულება საერთო წყალსატევებიდან, აგრეთვე მოაწყონ იმ პირთა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სანიტარული დამუშავება, რომლებსაც კონტაქტი აქვთ ავადმყოფ და დაავადების მხრივ საეჭვო ცხოველებთან და დასენიანებულ საგნებთან;

ე) დაუყოვნებლივ აცნობოს ავადმყოფობის გაჩენა რაიონის (ქალაქის) მთავარ ვეტერინარ ექიმს და ზემდგომ ორგანიზაციას, რომელსაც ემორჩილება ცხოველთა გადამდები სნეულების მხრივ არაკეთილსაიმედო მეურნეობა.

24. როგორც კი მიიღებენ ცნობას ცხოველთა გადამდები სნეულებით დაავადების შესახებ, რაიონის (ქალაქის) მთავარი ვეტერინარი ექიმი, სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველო და ზემდგომი ორგანიზაცია, რომელსაც ემორჩილება ცხოველთა გადამდები სნეულებით დაავადების მხრივ არაკეთილსაიმედო მეურნეობა, — მოვალენი არიან სწრაფად მიიღონ საჭირო ზომები დაავადების გავრცელების თავიდან აცილებისა და მისი უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის.

გადამდები სნეულების ხასიათისა და მისი გავრცელების მასშტაბის მიხედვით რაიონის (ქალაქის) მთავარი ვეტერინარი ექიმი მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ცხოველთა ავადმყოფობის გაჩენის შესახებ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რათა მან მიიღოს შესაბამისი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაავადების გავრცელების თავიდან აცილებას და მის უსწრაფეს ლიკვიდაციას (მეურნეობების, დასახლებული პუნქტების გამოცხადება ცხოველთა გადამდები სნეულების მხრივ არაკეთილსაიმედო ან საშიშ პუნქტებად, რაც უნდა ეცნობოს მოსახლეობას, ვეტერინარული შეზღუდვების, კარანტინის დაწესება და ა. შ.), აგრეთვე სოფლის მეურნეობის სამხარეო, საოლქო სამმართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან იმ მოკავშირე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელსაც საოლქო დაყოფა არა აქვს, და მომიჯნავე რაიონებისა და მეზობელი ქალაქების ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, ხოლო ისეთი გადამდები სნეულების გაჩენისას, რომელიც საერთოა ადამიანისა და ცხოველებისათვის, ამის გარდა, ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებსაც.

განყოფი IV

ცხოველთა გადამდები სნეულების დროს კარანტინის დაწესებისა და მოხსნის წესის შესახებ

25. კარანტინი გამოცხადდება შემდეგ გადამდებ სნეულებათა დროს, როგორიცაა: ცხოველთა თურქული, ციმბირული წყლული, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფილტვების მმუსრავი ანთება, ემფიზემატოზური კარბუნკული, ცხენის ქოთაო, ეპიზოოტური ლიმფანგოიტი, ინფექციური ანემია, ენცეფალომიელიტი, ზემო სასუნთქი გზების გადამდები კატარი და კონტაგნოზური პლევროპნევმონია, ღორის ჭირი და ბაცილარული წითელი ქარი, ცხვრის ყვავილი, თხის ინფექციური პლევროპნევმონია, ფრინველის ჭირი, ფსევდოჭირი, პასტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელეზი, ყვავილდიფტერიტი, მიკოპლაზმოზი, ვირუსული ჰეპატიტი, კანიანი წითურა, ბრაიქიომიკონი, კალმახის ფურუნკულიოზი, ინფექციური ანემია, ორგაგულის დისკოკოტელეზი და ბრუალა.

დაავადებათა აღნიშნული ნუსხის შეცვლა და დამატება შეუძლია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

26. ცხოველთა (ფრინვლის, ბეწვიანი ნადირის, თევზისა და ფუტკრის ჩათვლით) გადამდები სნეულების გამოვლინებისას ცალკეული ეზოები, ნახირები, ფარები, ცხენის ჯოგები, ფერმები, ტბორები, საფუტკრეები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სასუქებელი პუნქტები, მეფრინველეობის ფაბრიკები, სანაშენოები, ცხენსაშენები, იპოდრომები, დამამზადებელი ბაზები, სატბორე, დამხმარე და სხვა მეურნეობები ან მათი განყოფილებები (ბრიგადები) გამოცხადდება მოცემული გადამდები სნეულების მხრივ არაკეთილსაიმედოებად, ხოლო ამ წესდების 25-ე მუხლით გათვალისწინებულ დაავადებათა გამოვლინების დროს მათში დაუყოვნებლივ გამოცხადდება კარანტინი.

საჭიროების შემთხვევაში ცხოველთა გადამდები სნეულების მხრივ არაკეთილსაიმედოდ და კარანტინირებულად გამოცხადდება რკინიგზის სადგურები, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურები და გემთმისადგომები, აეროპორტები, ქალაქები და სხვა დასახლებული პუნქტები, რაიონები, რაიონების ჯგუფი, ოლქი, მხარე, რესპუბლიკა.

ცხოველთა ცალკეული გადამდები სნეულების დროს იმ ნუსხის მიხედვით, რომელსაც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო დააწესებს, კარანტინირებული ობიექტის ირგვლივ დაწესდება საშიში ზონა.

ხორცკომბინატში (მეფრინველეობის კომბინატში, სასაკლაოში, სასაკლაო პუნქტში) ამ წესდების 25 მუხლით გათვალისწინებული გადამდები სნეულებით დაავადებული პირუტყვისა და ფრინვლის გამოვლინების დროს რაიონის მთავარი ვეტერინარი ექიმის, ქალაქის მთავარი (უფროსი) ვეტერინარი ექიმის (საქალაქო აღმასკომის ვეტერინარული განყოფილების) მითითებით საწარმოში შემოღებული იქნება ვეტერინარულ-სანიტარული შეზღუდვები სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტრუქციების შესაბამისად იმ ვადით, რაც საჭიროა დაავადების ლიკვიდაციისა და ვეტერინარულ-სანიტარულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

27. ცალკეული ეზოების, ნახირების, ფარების, ცხენის ჯოგების, ფერმების, ტბორების, საფუტკრეების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასუქებელი პუნქტების, მეფრინველეობის ფაბრიკების, სანაშენოების, ცხენსაშენების, იპოდრომების, დამამზადებელი ბაზების, სატბორე, დამხმარე და სხვა მეურნეობების ან მათი განყოფილებების (ბრიგადების) და სხვა ორგანიზაციების, რკინიგზის სადგურების, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურების და გემთმისადგომების, აეროპორტების, სოფლების, ქალაქის ტიპის დაბების, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების გამოცხადება ცხოველთა გადამდები სნეულების მხრივ არაკეთილსაიმედოებად და მათში კარანტინის დაწესება წარმოებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით რაიონის (ქალაქის) მთავარი ვეტერინარი ექიმის წარდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენით, რაც შემდგომ ერთი დღეღამის განმავლობაში უნდა ეცნობოს სოფლის მეურნეობის საოლქო, სამხარეო სამმართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან იმ მოკავშირე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელსაც საოლქო დაყოფა არა აქვს, აგრეთვე ზემდგომ ორგანოებს საწარმოთა და ორგანიზაციათა კუთვნილების მიხედვით.

საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის, რაიონის, რაიონების ჯგუფის, ოლქის, მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის გამოცხადება ცხოველთა გადამდები სნეულების მხრივ არაკეთილსაიმედოებად და მათში კარანტინის დაწესება წარმოებს შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო, საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ან მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით შესაბამისი ვეტერინარული ორგანოს წარდგენით, რაც შემდგომ ერთი დღეღამის განმავლობაში უნდა ეცნობოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

გადამდები სნეულებით ცხოველთა დაავადების მხრივ საშიში ზონის დაწესება ხდება კარანტინის შემოსაღებად გათვალისწინებული წესით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, კოლმეურნეობათა გამგეობები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და სხვა საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები მანამ, ვიდრე შემოღებული იქნებოდეს კარანტინი დადგენილი წესით, დაუყოვნებლივ მიიღებენ საჭირო ზომებს გადამდები სნეულების გავრცელების თავიდან აცილებისა და მისი უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის.

28. კარანტინის დაწესების დროს ტარდება შემდეგი ღონისძიებანი:

ა) აკრძალულია ცხოველთა გაყვანა (გარეკვა) კარანტირებულ ტერიტორიაზე გავლით, ამ დაავადების ადვილადამთვისებელ (საჭირო შემთხვევებში არაამთვისებელ) ცხოველთა შემოყვანა და გაყვანა ამ ტერიტორიიდან;

ბ) აიკრძალება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაწესებულ შემთხვევებში ცხოველთა, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის, თივის, ჩალისა და სხვა უხეში საკვების დამზადება კარანტინირებულ ტერიტორიაზე;

გ) კარანტინირებული ტერიტორიის ფარგლებში დაიხურება, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, ბაზრები და აიკრძალება ცხოველთა (ფრინველის, ბეწვიანი ნადირის, ძაღლების ჩათვლით) ბაზრობების, ბაზრებისა და გამოფენების ჩატარება;

დ) აიკრძალება ავადმყოფ ცხოველთა ძოვება, დარწყულება და სხვა კონტაქტი ჯანსაღ ცხოველებთან, ისეთი ცხოველების გამოშვება სადგომებიდან, რომლებსაც შეუძლიათ ინფექციის გავრცელება;

ე) აიკრძალება ცხოველთა გადაჯგუფება (გადაყვანა) მეურნეობის შიგნით ვეტერინარი სპეციალისტის თანხმობის გარეშე;

ვ) გადამდები სნეულებისაგან დახოცილ ცხოველთა ლეში, დაავადების ხასიათის მიხედვით, დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს ან მოხდეს მისი უტილიზაცია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) ავადმყოფ ან გადამდები სნეულების დაავადების მხრივ საეჭვო ცხოველთა ნაკელი, საფენი და საკვების ნარჩენები მოისპობა ან გაუსნებოვნდება. ამ ცხოველთა ნაკელის სამეურნეო გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მისი წინასწარი გაუსნებოვნების შემდეგ;

თ) აიკრძალება ადამიანების შესვლა (გარდა მომსახურე პერსონალისა) ცხოველთა სადგომებში, ნახირში, ფარებში, ცხენის ჯოგებში და ა. შ.;

კარანტინირებულ ობიექტებზე (კარანტინირებულ ტერიტორიაზე) საცავ-საკარანტინო და სხვა ვეტერინარულ-სანიტარულ ღონისძიებათა გატარების და საშიშ ზონაში შემზღუდველ და გამაფრთხილებელ ღონისძიებათა განხორციელების წესი განისაზღვრება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტრუქციებით.

29. რკინიგზის სადგურების, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურებისა და გემთმისადგომების, აეროპორტების ან იმ მეურნეობების და დასახლებული პუნქტების კარანტინირების დროს, რომლებიც 10 კილომეტრის რადიუსში იმყოფებიან რკინიგზის სადგურიდან, საზღვაო, სამდინარო ნავსადგურიდან (გემთმისადგომიდან), აეროპორტიდან,—რკინიგზის სამმართველო, ნაოსნობა, აეროპორტის უფროსი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს რკინიგზის სამმართველოსთან, ნაოსნობასთან არსებული ვეტერინარული სამსახურის უფროსის, აეროპორტის ადგილსამყოფელზე არსებული შესაბამისი ვეტერინარული ორგანოს ხელმძღვანელის წარდგენით, შეწყვეტს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტრუქციებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კარანტინის დროს ცხოველების, ხორცისა და ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტებისა და ნედლეულის და ფურაჟის დატვირთვასა და გადმოტვირთვას სადგურში, გემთმისადგომზე, ნავსადგურში, აეროპორტში. ორგანოები, რომლებიც სახელმწიფო ვეტერინარულ-სანიტარულ ზედამხედველობას ახორციელებენ, ამას ერთი დღე-ღამის ვადაში აცნობებენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და შესაბამისად გზათა სამინისტროს, საზღვაო ფლოტის სამინისტროს, სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს, სამდინარო ტრანსპორტის მმართველობის ორგანოებს, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის მმართველობის ორგანოებს.

ვეტერინარული სამსახურის შესაბამისი ორგანიზაცია (დაწესებულება) კარანტინირებული ტერიტორიის ფარგლებში მდებარე სადგურის (გემთმისადგომის, ნავსადგურის, აეროპორტის) უფროსთან ერთად მოვალეა კარანტინის მთელი პერიოდის განმავლობაში განახორციელოს სადგურში (გემთმისადგომზე, ნავსადგურში, აეროპორტში) ვეტერინარულ-სანიტარული ღონისძიებანი, მიმართული გადამდები სნეულების გავრცელების თავიდან აცილებისაკენ.

30. კარანტინირებულ ობიექტებზე (კარანტინირებულ ტერიტორიაზე) და საშიშ ზონაში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებათა საფუძველზე შესაბამისი მეურნეობანი მოვალენი არიან გამოაკრან მაუწყებელი ნიშნები შემოსავლელი გზების აღნიშვნით და დააწესონ სადარაჯო საგუშაგოები (სადარაჯოები, კორდონები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით საშიში ეპიზოოტიების გავრცელების თავიდან აცილების დასაცავ-საკარანტინო და ვეტერინარულ-სანიტარულ ღონისძიებათა გაძლიერების მიზნით, საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურ ვეტერინარულ- სანიტარულ სადგურებთან ან ვეტერინარულ ლაბორატორიებთან შეიძლება დადგენილი წესით მოეწყოს დროებითი სპეციალური ვეტერინარულ-საკარანტინო რაზმები და საგუშაგოები, რომლებიც კონტროლს გაუწევენ საკარანტინო წესების დაცვას.

31. საკარანტინო წესების დაცვისა და გადამდები სნეულების უსწრაფესად ლიკვიდაციის ღონისძიებათა განხორციელებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ მეურნეობების, საწარმოების ხელმძღვანელებს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებს და მათს ადგილობრივ ორგანოებს, აგრეთვე სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც ემორჩილებიან მეურნეობები და საწარმოები.

32. კარანტინი მოიხსნება მას შემდეგ, რაც სრულიად შეწყდება ცხოველთა დაავადება გადამდები სნეულებით და გატარდება საჭირო ვეტერინარულ-სანიტარული ღონისძიებანი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და მოქალაქეთა მეურნეობებში (შესაბამისი ინსტრუქციებით დაწესებული ვადების გასვლის შემდეგ). კარანტინს მოხსნის (საშიში ზონის დაწესების შესახებ გადაწყვეტილებას გააუქმებს) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, რომელმაც დააწესა კარანტინი (საშიში ზონა), ვეტერინარიის შესაბამისი ორგანოს წარდგენით.

33. იმისადმი კონტროლს, რომ დროულად და სწორად წარადგინონ ვეტერინარიის ორგანოებმა წინადადებანი კარანტინის (საშიში ზონის) დაწესების შესახებ, დაცულ იქნას საკარანტინო წესები, განხორციელდეს შემზღუდველი და გამაფრთხილებელი ღონისძიებანი საშიშ ზონაში და დროზე მოიხსნას კარანტინი (გაუქმდეს გადაწყვეტილება საშიში ზონის დაწესების შესახებ), განახორციელებენ შესაბამისად მთავარი, უფროსი სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორები (სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორები) მათი კომპეტენციის ფარგლებში.

განყოფი V

უცხო სახელმწიფოებიდან სსრ კავშირში ცხოველთა გადამდები სნეულების შემოტანის თავიდან აცილების შესახებ

34. დასაშვებია შემოყვანა სსრ კავშირში მხოლოდ ჯანსაღი ცხოველებისა, აგრეთვე შემოტანა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულისა, რომლებიც მიღებულია ჯანსაღი ცხოველებისაგან და გადამდებ სნეულებათა მხრივ კეთილსაიმედო მეურნეობებიდან (ტერიტორიებიდან), რომლის დროსაც დაცულ უნდა იქნას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი ვეტერინარულ-სანიტარული წესები და სსრ კავშირსა და უცხო

მუზ. 20 ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოებს შორის დადებული შესაბამისი შეთანხმებებით (კონვენციებით) გათვალისწინებული პირობები. ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია ცხოველების (ფრინველის, ბეწვიანი ნადირის, ზოოპარკის ცხოველების, თევზისა და ფუტკრის ჩათვლით) შესყიდვასთან საზღვარგარეთ და სსრ კავშირში შემოყვანასთან, აგრეთვე ხორცისა და ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტებისა და ნედლეულის და ფურაჟის შესყიდვასთან საზღვარგარეთ და სსრ კავშირში შემოტანასთან, დაიშვება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნებართვით.

35. უცხო სახელმწიფოებიდან სსრ კავშირში ცხოველთა გადამდები სნეულების შემოტანის თავიდან აცილების ღონისძიებათა განსახორციელებლად, სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე (ცხოველების შემოყვანა-გაყვანის, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის და ფურაჟის შემოტანა-გატანის ადგილებში) სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით მოაწყობს სასაზღვრო-საკონტროლო ვეტერინარულ პუნქტებს.

36. ცხოველების შემოყვანა, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის და ფურაჟის შემოტანა უცხო სახელმწიფოებიდან სახელმწიფო საზღვრის მეშვეობით სსრ კავშირში დაიშვება მხოლოდ იმ ვეტერინარული სერტიფიკატების საფუძველზე, რომლებსაც გასცემენ მათი გამოყვანის, გამოტანის ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში მყოფი ვეტერინარი ექიმები და რომლებიც ადასტურებენ ცხოველთა, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის, ფურაჟის და მათი გამოტანის ადგილების კეთილსაიმედობას ცხოველთა გადამდები სნეულების მხრივ.

აღნიშნული ცხოველების შემოყვანა, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის და ფურაჟის შემოტანა სსრ კავშირში უცხო სახელმწიფოებიდან, რომლებშიაც არ არის სახელმწიფო საველეტერინარო სამსახური, დაიშვება ყოველ ცალკე შემთხვევაში მხოლოდ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნებართვით.

შემდეგი ტრანსპორტირება სსრ კავშირის ტერიტორიაზე სსრ კავშირში სახელმწიფო საზღვრის მეშვეობით შემოყვანილი ცხოველებისა, შემოტანილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულისა და ფურაჟისა დაიშვება მხოლოდ ვეტერინარული შემოწმების, კარანტინირებისა და ვეტერინარულ-სანიტარული დამუშავების შემდეგ, რასაც ჩაატარებენ სასაზღვრო საკონტროლო ვეტერინარული პუნქტები, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტრუქციების შესაბამისად.

იმპორტირებული ცხოველების სამეურნეო მომსახურებას, რომლებიც კარანტინირებულია სასაზღვრო საკონტროლო ვეტერინარულ პუნქტებში, ახორციელებენ ის ორგანიზაციები, რომლებისთვისაც განკუთვნილია შემოყვანილი ცხოველები.

37. დაიშვება სსრ კავშირიდან გაყვანა მხოლოდ ჯანსაღი ცხოველებისა, აგრეთვე ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულისა, რომლებიც მიღებულია ჯანსაღი ცხოველებისაგან და გადამდებ სნეულებათა მხრივ კეთილსაიმედო მეურნეობებიდან (ტერიტორიებიდან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოველების გაყვანა, ხორცის და ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტებისა და ნედლეულის გატანა სსრ კავშირიდან სახელმწიფო საზღვრის მეშვეობით უცხო სახელმწიფოებში დაიშვება მხოლოდ ვეტერინარული სერტიფიკატების საფუძველზე, რომლებსაც გასცემენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასაზღვრო საკონტროლო ვეტერინარული პუნქტების ვეტერინარი ექიმები.

განაყოფი VI

ვეტერინარულ-სანიტარული ზედამხედველობა ცხოველთა გარეკვისადმი, აგრეთვე ცხოველთა გადაყვანისა, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადატანისადმი

38. ცხოველთა (ფრინველის, ბეწვიანი ნადირის, ზოოპარკის ცხოველების, თევზის, ფუტკრის ჩათვლით) გადაყვანა, ხორცისა და ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტებისა და ნედლეულის გადაზიდვა ყველა სახის ტრანსპორტით და ცხოველთა გარეკვა წარმოებს სახელმწიფო ვეტერინარიის ორგანიზაციათა და დაწესებულებათა კონტროლით, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტრუქციების დაცვით.

გადამდები სნეულებით დაავადებული ცხოველების გადაყვანა და გარეკვა არ დაიშვება, გარდა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტრუქციებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ავადმყოფი ცხოველების გადაყვანა ხდება სპეციალურ იზოლატორებში, ხორცკომბინატებში, საკლაოებში და ა.შ. ვეტერინარულ-სანიტარული წესების დაცვით.

39. გადასარეკ ცხოველებზე, აგრეთვე ცხოველებზე (ფრინველის, ბეწვიანი ნადირის, ზოოპარკის ცხოველების, თევზისა და ფუტკრის ჩათვლით), ცხოველური წარმოშობის პროდუქტებსა და ნედლეულზე, რომელთა გადაყვანა (გადაზიდვა) წარმოებს გრუნტის გზებით, გზატკეცილებითა და რკინიგზებით, წყალთა და საჰაერო ტრანსპორტით, უნდა გაიცეს ვეტერინარული მოწმობები, რომლებიც ადასტურებენ აღნიშნული ცხოველების, პროდუქტების, ნედლეულის და მათი გამოყვანის (გამოტანის) ადგილების კეთილსაიმედობას ცხოველთა გადამდებ სნეულებათა მხრივ.

ვეტერინარულ მოწმობებს გასცემენ რაიონების, ქალაქების მთავარი ვეტერინარი ექიმები, ქალაქთა ვეტერინარიის განყოფილებები, სახელმწიფო ვეტერინარიის ორგანიზაციათა და დაწესებულებათა, საბჭოთა მეურნეობების ხორცკომბინატების, მეფრინველეობის კომბინატების და მაცივრების ვეტერინარი ექიმები სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

სამხედრო ნაწილების (ქვეგანაყოფების) ცხოველთა გადაყვანის ვეტერინარულ მოწმობებს გასცემენ ამ ნაწილების (ქვეგანაყოფების) ვეტერინარი ექიმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოველთა გადაყვანა (გარეკვა), ხორცის, მატყლისა და ცხოველური წარმოშობის სხვა ნედლეულის გადატანა რაიონის შიგნით, რომლებიც დამზადებულია მოცემული რაიონის ცხოველთა გადამდები სნეულებით დაავადების მხრივ კეთილსაიმედო პუნქტებში, წარმოებს ვეტერინარი ექიმების ან ვეტერინარი ფერშლების მოწმობების (ცნობების) მიხედვით.

40. ცხოველთა გარეკვა ერთი რაიონიდან, ოლქიდან, მხარედან, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკიდან სხვა რაიონებში, ოლქებში, მხარეებში, ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებში უნდა ხდებოდეს იმ გზებით (ტრასებით), რომლებსაც ამ მიზნისათვის გამოყოფენ მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, — ამ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროები და მათი ადგილობრივი ორგანოები, იმ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები კონტროლს გაუწევენ პირუტყვის გასარეკი გზების (ტრასების) ვეტერინარულ-სანიტარულ მდგომარეობას, გამოყოფენ ამ გზების (ტრასების) მახლობლად პირუტყვის საბალახო, დასარწყულებელ და ღამის გასათევ ადგილებს, მოაწყობენ საკონტროლო ვეტერინარულ-გამსინჯველ პუნქტებს და მიიღებენ ზომებს, რათა არ იქნას დაშვებული გასარეკ ცხოველთა შენახვა, ძოვება და დარწყულება ადგილობრივი მეურნეობებისა და მოსახლეობის ცხოველებთან ერთად.

41. ცხოველთა გადაყვანა (გარეკვა), ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადატანა ერთი რაიონიდან იმავე ოლქის (მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის, მოკავშირე რესპუბლიკის, რომელსაც საოლქო დაყოფა არა აქვს) სხვა რაიონებში, თუ ოლქში (მხარეში, რესპუბლიკაში) ადგილი აქვს ცხოველთა დაავადებას თურქულით ან სხვა გადამდები სნეულებით, იმ ნუსხის მიხედვით, რომელსაც დააწესებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, — წარმოებს შესაბამისად ოლქის, მხარის, რესპუბლიკის ვეტერინარული ორგანოს ნებართვით; საოლქთაშორისო გადაყვანა (გადაზიდვა) აღნიშნულ შემთხვევებში წარმოებს მოკავშირე რესპუბლიკის ვეტერინარული ორგანოს ნებართვით, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებს შორის გადაყვანა (გადაზიდვა) — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის მთავარ სამმართველოს ნებართვით.

ცხოველთა გადაყვანა (გარეკვა) უნდა ხდებოდეს იმ მოთხოვნების დაცვით, რომლებიც უზრუნველყოფენ გადამდები სნეულებით მათი დაავადების თავიდან აცილებას (იმ სნეულებათა ჩათვლით, რომლებიც საერთოა ადამიანისა და ცხოველებისათვის).

42. რკინიგზის, წყალთა და საჰაერო ტრანსპორტით გადასაყვანი ცხოველების დატვირთვა და გადმოტვირთვა წარმოებს რკინიგზის სადგურებში, გემთმისადგომებზე, ნავსადგურებსა და აეროპორტებში, რომლებსაც განსაზღვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავენ შესაბამისად გზათა სამინისტრო, საზღვაო ფლოტის სამინისტრო, სამოქალაქო ავიაციის სამინისტრო, მოკავშირე რესპუბლიკების სამდინარო ტრანსპორტის მმართველობის ორგანოები სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის ორგანოებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

43. გზათა სამინისტრო, საზღვაო ფლოტის სამინისტრო, სამოქალაქო ავიაციის სამინისტრო და მოკავშირე რესპუბლიკების სამდინარო ტრანსპორტის მმართველობის ორგანოები მოვალენი არიან იქონიონ რკინიგზის სადგურებში, გემთმისადგომებზე, ნავსადგურებსა და აეროპორტებში, რომლებიც გამოყოფილია ცხოველთა დასატვირთავად და გადმოსატვირთავად, — მისადგომები და სათანადო დასატვირთავი ხელსაწყოები. სადგურებში, გემთმისადგომებისა და ნავსადგურების მახლობლად, მოეწყობა ბაკები ცხოველთა დროებით შესანახად.

ცხოველთა გადასაყვანად, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადასაზიდად განკუთვნილი ავტომობილები უნდა იყოს აღჭურვილი შესაბამისი მოწყობილობით.

44. იმისათვის, რომ განხორციელდეს ვეტერინარულ-სანიტარული ზედამხედველობა ცხოველების, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის დატვირთვისა, ტრანსპორტირებისა და გადმოტვირთვისადმი, აგრეთვე, რომ გატარდეს ვეტერინარულ-სანიტარული ღონისძიებანი ცხოველთა გადაყვანის, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადაზიდვის დროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოაწყობს რკინიგზის სადგურებში, სამდინარო ნავსადგურებში და გემთმისადგომებზე შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, სატრანსპორტო ვეტერინარულ-სანიტარულ უბნებს.

45. სატრანსპორტო საშუალებანი (მოწყობილობიანად), რომლებიც განკუთვნილია ცხოველთა გადასაყვანად, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადასაზიდად და განთავისუფლდებიან მათი გადაყვანის, გადაზიდვის შემდეგ, გაივლიან ვეტერინარულ-სანიტარულ დამუშავებას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტრუქციების შესაბამისად და სახელმწიფო ვეტერინარიის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კონტროლით.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით გზათა სამინისტრო მოაწყობს და იქონიებს რკინიგზებზე სადეზინფექციო-სარეცხ სადგურებს (სადეზინფექციო-სარეცხ პუნქტებს), ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების სამდინარო ტრანსპორტის მმართველობის ორგანოები მოაწყობენ და იქონიებენ სამდინარო პუნქტებში და გემთმისადგომებზე სადეზინფექციო-სარეცხ პუნქტებს. საზღვაო ნავსადგურებისა და აეროპორტების ადმინისტრაცია დაუთმობს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის დაწესებულებებს საჭირო ტექნიკურ საშუალებებს და დახმარებას გაუწევს ამ დაწესებულებებს საზღვაო გემებისა და თვითმფრინავების ვეტერინარულ-სანიტარული დამუშავების ჩატარებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

46. იმ შემთხვევებში, თუ სარკინიგზო, წყალთა ან საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანის დროს აღმოჩნდება ცხოველთა დაავადება გადამდები სნეულებით, ვეტერინარული სამსახურის შესაბამისი ორგანიზაცია (დაწესებულება) საღგურის, გემთმისადგომის, ნავსადგურის, აეროპორტის უფროსთან ერთად მოაწყობს ცხოველთა არაკეთილსაიმედო ჯგუფის კარანტინირებას გზების ზოლის (ლიანდაგების, ტრასების და ა. შ.) გარეთ ან ოლქის, მხარის რესპუბლიკის ვეტერინარიის ორგანოს მითითებით გაგზავნის ცხოველთა მთელ პარტიას უახლოეს ხორცკომბინატში, რათა დაიკლას იგი დადგენილი წესით სანიტარულ სასაკლაოში; იმავდროულად ჩატარდება სხვა საჭირო ვეტერინარულ-სანიტარული და ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებანი.

გადასაყვან ცხოველთა შორის გადამდები სნეულების გაჩენის შესახებ ის ორგანოები, რომლებიც ვეტერინარულ-სანიტარულ ზედამხედველობას ახორციელებენ ტრანსპორტზე, დაუყოვნებლივ აცნობებენ რაიონის (ქალაქის) მთავარ ვეტერინარ ექიმს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი ვეტერინარული სამსახურის უფროსს რკინიგზის სამმართველოსთან, ნაოსნობასთან, ხოლო ეს უკანასკნელი — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის მთავარ სამმართველოს.

თუ აღმოჩნდა გადამდები სნეულებით დაავადება ცხოველებისა, რომლებიც გადაყავთ ან მიერეკებიან გზატკეცილებით, გრუნტის გზებით (ტრასებით), განხორციელდება საჭირო ვეტერინარულ-სანიტარული და ეპიზოოტიისსაწინააღმდეგო ღონისძიებანი ვეტერინარიის ადგილობრივი ორგანოების მითითებით.

თანაყოფი VII

ვეტერინარულ-სანიტარული ზედამხედველობა ცხოველთა დამზადებისა და დაკვლისადმი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებისა, შენახვისა და გადამუშავებისადმი და მათი ვაჭრობისადმი

47. ცხოველებმა, თევზმა, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებმა და ნედლეულმა, რომლებიც შემოდის დამამზადებელ პუნქტებში ან ბაზრებში და ბაზრობებზე გასაყიდად, უნდა გაიაროს სავალდებულო ვეტერინარულ-სანიტარული გასინჯვა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — სათანადო გამოკვლევა.

ბაზრებში და ბაზრობებზე გასაყიდად დაიშვება მხოლოდ ჯანსაღი ცხოველები ცხოველთა გადამდები სნეულების მხრივ კეთილსაიმედო მეურნეობებიდან, რაც უნდა დადასტურდეს ვეტერინარული მოწმობებით ან ცნობებით.

48. ცხოველთა დაკვლა სახორცედ უნდა წარმოებდეს ვეტერინარ მუშაკთა ზედამხედველობით, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი ვეტერინარულ-სანიტარული წესების დაცვით. ხორცკომბინატებში, სასაკლაოებში, სასაკლაო პუნქტებში, მეფრინველეობის კომბინატებსა და ცხოველთა დასაკლავ სხვა საწარმოებში სავალდებულოდ ჩატარდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაკლავად შემოსულ ცხოველთა ყოველდღიური შემოწმება ვეტერინარი ექიმის ან ვეტერინარი ფერშლის მიერ;

ცხოველთა დაკვლისწინა გასინჯვა ვეტერინარი ექიმის ან ვეტერინარი ფერშლის მიერ, რომლის დროსაც გაიზომება ცხოველთა სხეულის ტემპერატურა;

ნაკლავი პირუტყვისა და მისი შინაგანი ორგანოების დაკვლისშემდგომი გასინჯვა და ვეტერინარულ-სანიტარული ექსპერტიზა ვეტერინარი ექიმის მიერ, რომლის დროსაც სავალდებულოა ღორის ხორცის გამოკვლევა ტრიქინელოზზე.

ნაკლავი პირუტყვისა და ტყავის დადამღვა.

საწარმოს ადმინისტრაცია მოვალეა შექმნას იმის საჭირო პირობები, რომ ვეტერინარმა სპეციალისტებმა ჩაატარონ აღნიშნული გასინჯვა, ექსპერტიზა და დადამღვა.

ცხოველთა სასაკლაო საწარმოებში უზრუნველყოფილ უნდა იქნას დასაკლავად მიღებულ ცხოველთა გულმოდგინე აღრიცხვა იმ ანგარიშით, რომ ტექნოლოგიური პროცესის ყოველ სტადიაში შესაძლებელი გახდეს ცხოველთა დამზადების ადგილის დადგენა. ფინოზით, ტრიქინელოზით ან სხვა გადამდები სნეულებით დაავადებულ ცხოველთა აღმოჩენისას, იმ ნუსხის მიხედვით, რასაც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაადგენს, შესაბამისი ინფორმაცია გაეგზავნება ვეტერინარიის ორგანოებს ცხოველთა დამზადების ადგილის და მათი დაკვლის ადგილის მიხედვით.

49. ბაზრებში და ბაზრობებზე პირუტყვის, ფრინველის, ხორცის, რძის, კვერცხის, თევზის, ხორცისა და რძის პროდუქტების, თევზეულისა და სხვა პროდუქტების და ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტებისა და ნედლეულის, თაფლის, სოკოსა და სხვა მცენარეული პროდუქტების სავაჭრო ადგილებს დააწესებს ბაზრის, ბაზრობის ადმინისტრაცია სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

50. ხორცი (საკლავი პუნქტებიდან შემოსული ხორცის ჩათვლით), თევზი, •ბრეთვე რძე, რძისა და კვების სხვა პროდუქტები, რომლებიც ბაზრებსა და ბაზრობებში შემოდის, გაივლის ვეტერინარულ-სანიტარულ გასინჯვას და გამოკვლევას ხორც-რძისა და კვების საკონტროლო სადგურში. თუ დასახლებულ პუნქტში აღნიშნული სადგური არ არის, ბაზრებში და ბაზრობებზე შემოსული ხორცის, თევზის, რძის, რძისა და კვების სხვა პროდუქტების ვეტერინარულ-სანიტარულ გასინჯვას და გამოკვლევას აწარმოებს ადგილობრივი ვეტერინარული სამკურნალოს, ვეტერინარული უბნის (პუნქტის), ვეტერინარული ლაბორატორიის ვეტერინარი ექიმი ან ვეტერინარი ფერშალი.

ხორცს, რომელიც ცნობილია საჭმელად ვარგისად, დაედება ხორცის, რძისა და კვების საკონტროლო სადგურის ან იმ სხვა ვეტერინარული დაწესებულების დამღა, რომელმაც ექსპერტიზა ჩაატარა. ჭურჭელს, რომელშიაც მოთავსებულია შემოწმებული რძე, რძისა და კვების სხვა პროდუქტები დაეკვრება ეტიკეტი ვეტერინარული დაწესებულების შტამპით.

დაუდამღავი ხორცის და შეუმოწმებელი რძის, რძისა და კვების სხვა პროდუქტების ვაჭრობა აკრძალულია, ხორცი, თევზი და დაკლული ფრინველი, რომლებიც ცნობილია საჭმელად უვარგისად, უნდა იქნას კონფისკებული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსპობილი; ხორცი და დაკლული ფრინველი, რომლებიც ცნობილია ბრუცელოზით ავადმყოფად ვარგისად, გასაყიდად დაიშვება მხოლოდ გაუსნებოვნებული სახით.

რძე, რძისა და კვების სხვა პროდუქტები, რომლებიც ცნობილია არაკეთილხარისხოვნად, უნდა მოისპოს ან მოხდეს მათი დენატურაცია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

51. ორგანიზაციები და საწარმოები, რომლებიც ეწევიან ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებას, შენახვასა და გადამუშავებას, მოვალენი არიან თავიანთ მუშაობაში დაიცვან დადგენილი ვეტერინარულ-სანიტარული წესები, იქონიონ ვეტერინარულ-სანიტარული მოთხოვნების დაცვით აშენებული საწარმოო სადგომები და ტექნიკური მოწყობილობანი ამ პროდუქტებისა და ნედლეულის დასამუშავებლად და გასაუსნებოვნებლად.

52. სახელმწიფო ვეტერინარ ინსპექტორებს, რომლებიც ახორციელებენ ვეტერინარულ-სანიტარულ ზედამხედველობას ცხოველთა სასაკლაო და ხორცისა და ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტებისა და ნედლეულის გადამმუშავებელი საწარმოებისადმი, უფლება ენიჭებათ აკრძალონ იმ პროდუქციის გამოშვება საწარმოებიდან, რომელიც არ შეესაბამება ვეტერინარულ-სანიტარულ ნორმებს, აგრეთვე შეაჩერონ, ვიდრე საჭირო ღონისძიებანი განხორციელდებოდეს, საწარმოების (საამქროების) მუშაობა მათი მიერ ვეტერინარულ-სანიტარული წესების დარღვევის შემთხვევებში.

სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორის გადაწყვეტილება საწარმოდან პროდუქციის გამოშვების აკრძალვისა და საწარმოს (საამქროს) მუშაობის შეჩერების შესახებ შეიძლება გაუქმებულ იქნას მხოლოდ ზემდგომი სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორის მიერ.

53. არაგადამდები სნეულების შედეგად დახოცილი ცხოველები აუცილებლად უნდა იქნას გატყავებული.

გადამდები სნეულების შედეგად დახოცილ ცხოველთა გატყავება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევებში და იმ წესით, რომლებსაც დაადგენს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

არასასაკლაო წარმოშობის ტყავნედლეული და ქურქნედლეული (ნაკრები) დაიწყობა დამამზადებელ ბაზებსა და გადამმუშავებელ საწარმოებში ცალკე და დამუშავებამდე სავალდებულოდ გაივლის გამოკვლევას ციმბირულ წყლულზე, რაზედაც გაკეთდება შესაბამისი აღნიშვნა გამოკვლევის შესახებ (დადამღვა). ამ ტყავნედლეულისა და ქურქნედლეულის გამოშვება დამამზადებელი ბაზებიდან ციმბირულ წყლულზე გამოკვლევამდე — აკრძალულია.

54. ცხოველთა ლეშის და პირუტყვისა და ფრინველის დაკვლისას მიღებული ნარჩენების უტილიზაცია დაიშვება მხოლოდ სპეციალურად გაწყობილ საუტილიზაციო ქარხნებში (დანადგარებზე), რომლებსაც ეწევათ მუდმივი ვეტერინარულ-სანიტარული ზედამხედველობა. საუტილიზაციო ქარხნებში (დანადგარებზე) ცხოველთა ლეშისაგან გახდილ ტყავს აუცილებლად უნდა გაუკეთდეს დეზინფექცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება VIII

სამკურნალო, პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური და მასტიმულირებელი ბიოლოგიური პრეპარატების წარმოება და გამოყენება მეცხოველეობასა და ვეტერინარიაში და მათი ხარისხისადმი კონტროლი

55. ვეტერინარულ-პროფილაქტიკური და მასობრივ სამკურნალო ღონისძიებათა და დიაგნოსტიკურ გამოკვლევათა, ცხოველთა ზრდისა და განვითარების სტიმულირების ღონისძიებათა განსახორციელებლად დაიშვება ისეთი ბიოლოგიური და სხვა პრეპარატების გამოყენება, რომელთა ხმარების შესახებ გაცემულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის მთავარ სამმართველოს ნებართვა (საჭირო შემთხვევებში შეთანხმებული სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან).

56. მეცხოველეობასა და ვეტერინარიაში გამოსაყენებელი სამკურნალო, პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური და მასტიმულირებელი ბიოლოგიური პრეპარატები დამზადდება სპეციალურ სახელმწიფო საწარმოებში (ბიოფაბრიკებში, ბიოკომბინატებში) ან სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის მთავარ სამმართველოს ნებართვით — სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, ვეტერინარულ ლაბორატორიებში ან ბიოპუნქტებში.

ამ პრეპარატების დამზადება ხორციელდება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციებისა და ტექნიკური პირობების შესაბამისად.

57. სსრ კავშირში გამოშვებული ბიოლოგიური პრეპარატები მეცხოველეობასა და ვეტერინარიაში გამოსაყენებლად აუცილებლად უნდა იქნას შემოწმებული საკონტროლო წესით იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ისინი სტანდარტების მოთხოვნებს (აქტიურობა, სტერილობა, სისუფთავე, უვნებლობა). შემოწმებას განახორციელებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო სამეცნიერო-საკონტროლო ინსტიტუტი. შესაბამისად იქნება შემოწმებული აგრეთვე მეცხოველეობასა და ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ქიმიურ-თერაპიული პრეპარატები იმ ნუსხის მიხედვით, რომელსაც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო განსაზღვრავს.

აღნიშნული ბიოლოგიური პრეპარატების გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღნიშვნა, რომ ისინი შემოწმებულია ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო სამეცნიერო-საკონტროლო ინსტიტუტის სახელმწიფო კონტროლიორის მიერ.

განყოფილება IX

პასუხისმგებლობა ვეტერინარიის საკითხებზე არსებული კანონმდებლობის დარღვევისათვის

58. სსრ კავშირის ვეტერინარული წესდებით გათვალისწინებული ცხოველთა კარანტინის წესების და სხვა ვეტერინარულ-სანიტარული წესების, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრუ-

ლებელი კომიტეტების მიერ ეპიზოოტიების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დარღვევისათვის დამნაშავე პირებს დაედებათ ჯარიმა შემდეგი ოდენობით: თანამდებობის პირებს — 50 მანეთამდე და მოქალაქეებს — 10 მანეთამდე, თუ ეს დარღვევები არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

თანამდებობის პირებს, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ვეტერინარულ ზედამხედველობას, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციული წესით ჯარიმების დადების უფლება, შეუძლიათ ჯარიმის დადების ნაცვლად მისცენ გაფრთხილება დამრღვევს ან გადასცენ მის შესახებ მასალები ამხანაგურ სასამართლოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას მისი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საზოგადოებრივი ზეგავლენის ზომების გამოსაყენებლად.

59. ამ წესდებით 58 მუხლში აღნიშნული დარღვევებისათვის ჯარიმები შეიძლება დაადონ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიებისათვის მიუმართავად:

სსრ კავშირის მთავარმა სახელმწიფო ვეტერინარმა ინსპექტორმა ან მისმა მოადგილეებმა — 50 მანეთამდე თანამდებობის პირებს და 10 მანეთამდე მოქალაქეებს;

მოკავშირე რესპუბლიკების მთავარმა სახელმწიფო ვეტერინარმა ინსპექტორებმა და მათმა მოადგილეებმა — 30 მანეთამდე თანამდებობის პირებს და 10 მანეთამდე მოქალაქეებს;

ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების (მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქების, სამხარეო და საოლქო ცენტრების) მთავარმა სახელმწიფო ვეტერინარმა ინსპექტორებმა, რკინიგზებისა და აუზების მთავარმა სახელმწიფო ვეტერინარმა ინსპექტორებმა — 20 მანეთამდე თანამდებობის პირებს და 10 მანეთამდე მოქალაქეებს;

ქალაქების, რაიონების სახელმწიფო ვეტერინარმა ინსპექტორებმა, სასაზღვრო საკონტროლო ვეტერინარული პუნქტების უფროსებმა, სადეზინფექციო-სარეცხ სადგურებსა და პუნქტებში მყოფმა ვეტერინარული ზედამხედველობის უფროსებმა, უბნის ვეტერინარული სამკურნალოების, ვეტერინარული უბნების გამგეებმა, სატრანსპორტო ვეტერინარულ-სანიტარული უბნების უფროსებმა, ბაზრებში ხორცის, რძისა და თევზის საკონტროლო სადგურების გამგეებმა — 10 მანეთამდე თანამდებობის პირებს და 5 მანეთამდე მოქალაქეებს.

აღნიშნული თანამდებობის პირებს ჯარიმების დადება შეუძლიათ მხოლოდ მათ მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს და მხოლოდ იმ წესების ან გადაწყვეტილებათა დარღვევისათვის, რომელთა დაცვისადმი ზედამხედველობა მათ ეკისრებათ.

ჯარიმის ოდენობა დაწესდება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, დამნაშავის პიროვნებისა და ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

60. ჯარიმები შეიძლება გადახდევინებულ იქნას ადგილზე ამ წესდებით გათვალისწინებული შემდეგი წესების დარღვევისათვის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზრებში — ცხოველების (მათ შორის ფრინველისა და თევზის) ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის და სხვა კვების პროდუქტების ვეტერინარულ-სანიტარული წესებისა;

სარკინიგზო, წყალთა და საჰაერო ტრანსპორტზე, გზატკეცილებსა და გრუნტის გზებზე, ცხოველთა გარეკვის ტრასებზე — ცხოველთა (მათ შორის ფრინვლის, თევზის და ფუტკრის), გადაყვანის, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადაზიდვის ვეტერინარულ-სანიტარული წესებისა, აგრეთვე პირუტყვის გარეკვის წესებისა;

სახელმწიფო საზღვარზე — უცხო სახელმწიფოებიდან ცხოველთა (მათ შორის ფრინვლის, თევზისა და ფუტკრის) გადამდებ სნეულებათა შემოტანისაგან სსრ კავშირის ტერიტორიის დაცვის ვეტერინარულ-სანიტარული წესებისა.

61. ჯარიმების დადება და გადახდევინება, აგრეთვე ამ წესდებით გათვალისწინებული ჯარიმების დადების შესახებ გამოტანილ დადგენილებათა გასაჩივრება წარმოებს, შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის დადგენილებისა „ადმინისტრაციული წესით დასადები ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“.

62. ამ წესდების შესაბამისად გადახდევინებული ჯარიმები ჩაირიცხება საკავშირო ბიუჯეტში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1 1968 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
იურიდიული კომისია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/IV-1968 წ. ქაღალდის ზომა 70×108,
ქაღალდი 24500, ნაბეჭდი თაბახი 7,25, სააღრიცხვო თაბახი 7,0.

წლიური ხელმოწერის ფასი 4 მან.

თარგმნილია რუსულიდან

ტირაჟი 3400 შეკვეთა 376

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

ინდექსი — 76187
ეროვნული
ბიბლიოთეკა